მე ის ლანსი აღარა ვარ A6
ვახტანგ კიკაბიძე - 65 A7
TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 20 ივლისი, 2003 წელი. №197 (409)

ფასი 30 თეთრი

### უცხოეთი

#### ტონი ბლერის შორეულ-აღმოსავლური ტურნე გრძელდება

შორეულ აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის ტურნეს პირველი მასპინძელი ქვეყანა იაპონია იქნება, სადაც ბატონი ბლერი ფუძიამას ძირში მდებარე საკურორტო ქალაქში იაპონიის პრემიერ-მინისტრ ძუნიტირო კოიძუმის შეხვდება.

A5

### ინტერვიუ

#### ევგენი ევტუშენკოს ფორთოხლის ბაღის მონატრება

18 ივლისს ევგენი ევტუშენკომ თავისი დაბადების დღე აღნიშნა. გამოჩენილი რუსი პოეტი 70 წლის გახდა. ბოლო დროს ამერიკაში მცხოვრებ პოეტს, ოთხჯერ დაქორწინებულ ხუთი შვილის მამას ასაკს ვერც შეატყობთ. მოსკოვში ყვავილებით მოჩითული აბრეშუმის ხალათით დადის, მხარზე გობელენის ჩანთა ჰკიდია, კოვბოური "უჭირავს" და სულაც არ აპირებს დაბერებას.

A3

### სამართალი

#### ბავშვებით ვაჭრობაში ბრალდებულს ეძებენ

კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში ყურაშვილების ოჯახში პოლიციის მიერ აღმოჩენილი ორი ახალშობილის უკანონო გასხვისების მცდელობისათვის, გორელ ნათელა კუდუხაშვილს გამომძიებამ წაუყენა ბრალი და მასზე ძებნა გამოცხადდა.

A4

### პოლიტიკა

#### საკანონმდებლო გარანტია „დამბეზღებელთა" საზოგადოებრივი საბჭოებისთვის

ამ დღეებში მოსკოვის საქალაქო დუმამ განიხილა კანონპროექტი "სამართალწესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების შესახებ", რომელსაც პარლამენტარები სექტემბრის პირველ რიცხვებში განიხილავენ.

A3

### უცხოეთი

#### სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე შეტაკებები გრძელდება

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 17 ივლისს სომხეთის შეიარაღებული ძალების დანაყოფებმა ნახიჭევანში, დასახლებულ პუქტ ბარსრუნის მახლობლად, აზერბაიჯანულ არმიაზე იერიში მიიტანეს.

A5

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | |
| ფოთი | 26 | |
| სოხუმი | 25 | |
| ქუთაისი | 28 | |
| გორი | 27 | |
| ბათუმი | 24 | |
| თელავი | 28 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1450 |
| ევრო | 2.4101 |
| გირვანქა სტერლ | 3.4226 |
| რუბლი | 0.0705 |

# უკან არავინ იხევს - არც მოშიმშილე დეპუტატები, არც ხელისუფლება



ლევან ხერხეულიძის ფოტო

კომპრომისის მიღწევას, ჭერჭერობით, ვერც პარლამენტის თავმჯდომარე ახერხებს.

გიორგი ასანიშვილი

საპარლამენტო ფრაქციის, "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის," ექვსი წევრი და "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი ზვიად ძიძიგური იუსტიციის მინისტრის, როლანდ გილიგაშვილის მისაღებ ოთახში შიმშილობის აქციას განაგრძობენ. კვლავ ძალაში რჩება მათი მოთხოვნა, რომ დაკმაყოფილდეს აბაშის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება პენსიების დავალიანების გაცემის აღსრულების თაობაზე. უკან დახევას არც ხელისუფლება აპირებს. იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი "ნაციონალების" პროტესტის გამოხატვის ფორმას მიუღებლად მიიჩნევს და მოითხოვს, რომ დეპუტატები დაემორჩილონ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს ვერდიქტს, რომლითაც აბაშის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი შეჩერებულია. **"თუ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს განაჩენი გაუქმდება, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი აბაშის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე",** - საკმაოდ კატეგორიულია იუსტიციის მინისტრი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# „ეგ შევარდნაძეს უთხარით!"

მაკა ჭაიანი

*"ძალიან კარგი, ძალიან! ძლივს არ ვთავისუფლდებით!" "შეიძლება, ასე? ამ ხალხს რა პასუხს ეუბნებით?" "ნელა, ბიჭო, ეე! ნაძვი არ წააქციო!" - ამ შეძახილების ფონზე გუშინ ბუკიას ბაღის გასწვრივ ჩამწკრივებული ჯიხურებიდან პირველი აიღეს. ქალაქის ადმინისტრაციული ინსპექციის, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები, ჯიხურების მეპატრონეები და, უბრალოდ, მოსეირეები ბაღთან დილის ათის ნახევრიდან შეიკრიბნენ. იქ იყო ანტიკორუფციული საბჭოს ყოფილი წევრი გივი თარგამაძე, რომელსაც, სკვერის გადარჩენის თხოვნით, საბურთალოს მოსახლეობამ თავად მიმართა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

თბილისის ქუჩებში ჯიხურების აღება გრძელდება.

# ბრუნერის მეთოდი

ანუ, როგორ იქმნებოდა მეოცე საუკუნეში მუსიკა კლარნეტისათვის

მადი სერებრიაკოვა

"ხელოვნების ზეიმის" მესამე დღე ბორჯომის ფესტივალზე საკონცერტო პროგრამის გააქტიურებით აღინიშნა. გუშინ ორი ღონისძიება მოეწყო: პირველი ლიკანის სანატორიუმის დარბაზში ლიანა ისაკაძის ახალგაზრდა სტიპენდიანტებმა - კოტე ლემონჯავამ, გივი ნასარიძემ და ქეთევან როინიშვილმა გამართეს; მეორე კი კომპოზიტორთა დარბაზში შედგა.

გუშინდელი კონცერტი გუშინწინდელის ერთგვარი გაგრძელება იყო, პირველ რიგში - პროგრამის თვალსაზრისით. ისევე როგორც გასულ კონცერტზე, ამჯერადაც აქცენტი თანამედროვე ჟღერადობის მუსიკაზე გაკეთდა. ეს რისკიანი ნაბიჯი ლიანა ისაკაძის ინიციატივით გადაიდგა, რომელმაც, თავიდანვე, ფესტივალის "უკომპრომისო პროგრამაზე" გააკეთა აქცენტი.

გაგრძელება A7 გვერდზე



ლიანა ისაკაძის "რისკიანი" შესრულება.

# სანამ პარლამენტარები ვაჭრობენ...

*მაშინ, როდესაც პარლამენტარები ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით კონსულტაციებს კონსულტაციებზე მართავენ, არასამთავრობო სექტორი უკვე კენჭისყრის პროცედურის მონიტორინგისათვის ემზადება. ამ მხრივ, მესამე სექტორმა გაცილებით წინ წაიწია, რადგან პარტიებმა, როგორც ჩანს, დემოკრატიული არჩევნებისთვის სამზადისი, მხოლოდ და მხოლოდ, ცესკო-ში საარჩევნო კომისიებში ადგილების გაყოფასთან გააიგივეს.*

თამარ მჭედლიშვილი

საქართველოში ჯეიმს ბეიკერის ვიზიტის შემგომ, პოლიტიკური სპექტრი ცალსახად აცხადებს, რომ ქვეყანაში არჩევნების დემოკრატიულად გამართვას ალტერნატივა არ აქვს და რომ 2 ნოემბერი საქართველოსთვის ის გამოცდა იქნება, რომელიც აუცილებლად უნდა ჩავაბაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას საერთაშორისო თანამეგობრობისაგან სრული იზოლაცია დაემუქრება.

პარტიების ლიდერები აცხადებენ, რომ კენჭისყრის სამართლიანად გამართვას დიდწილად უზრუნველყოფს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი და რომ სწორედ ამით არის განპირობებული კომისიაში ადგილებისათვის მათი თავგამოდებული ბრძოლა. თუმცა ისიც ცხადია, რომ არჩევნების პროცესი მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციებით არ შემოიფარგლება და მისი სამართლიანად გამართვა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანმა ფაქტორებმა უნდა განაპირობოს. ეს, ამომრჩეველთა რეგისტრაციასა და საარჩევნო სიებთან ერთად, თავად კენჭისყრის პროცესის მონიტორინგია, რომლის გამჭვირვალობაზე დიდწილად იქნება დამოკიდებული საბოლოო და, რაც მთავარია, ობიექტური შედეგები.

გაგრძელება A2 გვერდზე

# აფიორა თერჯოლის შამპანური ღვინოების კომბინატის ხელში ჩასაგდებად

"კომბინატს ვანო ონიანი, ემზარ კვიციანი და ბონდო შალიკიანი დაეპატრონნენ"

*თერჯოლის შამპანური ღვინოების კომბინატის ირგვლივ (იგივე სააქციო საზოგადოება "ვაზისა"), წლების განმავლობაში, უამრავი ჭორ-მართალი ვრცელდება. იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი კარგა ხანია აცხადებს, - კომბინატი ბანდიტებს ჩაუვარდათ ხელშიო, და საწარმოს მეპატრონეებად ქუთაისის საკრებულოს წევრს, ბონდო შალიკიანს, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულს, ემზარ კვიციანსა და ვანო ონიანს ასახელებს.*

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

რამდენიმე წელია, რაც ქუთაისის საოლქოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში "ვაზისას" ირგვლივ სასამართლო პროცესები განუწყვეტლივ მიმდინარეობს. გენერალურ პროკურატურაში კი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. თუ ამ საქმეში ღრმად ჩავიხედავთ, მართლაც, ცხადი ხდება, რომ შამპანურკომბინატის გასხვისების თითოეული ეტაპი სერიოზული დარღვევებით წარმოებდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# კონტრაბანდას ყველა "ებრძვის", პასუხს არავინ აგებს

ზურაბ გარაყანიძე

**(დასაწყისი N189, N190, N192)**

კანონით "უცხოური ინვესტიციების შესახებ" (1995 წლის 30 ივნისი, მუხლი 21.17) უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს "...ნედლეული, ნახევარფაბრიკატები, მაკომპლექტებელი ნაკეთობანი, სათადარიგო ნაწილები, რომლებიც შემოტანილია საქართველოს რესპუბლიკაში უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს საჭიროებისათვის, თავისუფლდება გადასახადებისაგან და მათთან გათანაბრებული მოსაკრებლებისაგან". 1996 წლის 12 ნოემბრის კანონით "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ": "...უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებს, რომლებმაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აიღეს უცხოური ინვესტიციის ლიცენზია, მათი გაცემის დღიდან 5 წლის განმავლობაში უნარჩუნდებათ "უცხოური ინვესტიციების შესახებ" 1995 წლის 30 ივნისის საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები საქმიანობის იმ სფეროში, რომელზეც გაცემულია უცხოური ინვესტიციის ლიცენზია".

ეს შეღავათები გავრცელდა საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ საქონელზე და შემოტანილ ნედლეულზე.

გაგრძელება A2 გვერდზე

# აშშ და თურქეთი ურთიერთობების გაუმჯობესებას ცდილობენ

რევაზ ბახტაძე

ამერიკის ორი ძალზე გავლენიანი გენერალი თურქეთს ეწვია, რათა ორ მოკავშირეს შორის დაძაბული ურთიერთობები განმუხტონ. შეერთებული შტატების ცენტრალური სარდლობის ახალი ხელმძღვანელი გენერალი ჯონ აბიზაიდი, რომელიც ერაყში ამერიკულ ჯარებს კურირებს, თურქ სამხედრო მაღალჩინოსნებთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრების შემდეგ ანკარიდან გუშინ გაფრინდა.

ეს გენერალ აბიზაიდის პირველი ვიზიტი იყო თურქეთში მას შემდეგ, რაც ახალ პოსტზე დაინიშნა. ცენტრალური სარდლობის ხელმძღვანელის პარლელურად, ანკარაში ცალკე მოლაპარაკებების გასამართად გენერალი ჯეიმს ჯოუნსი ჩავიდა. გენერალი ჯოუნსი ევროპაში განლაგებული ამერიკული ჯარების სარდალია.

ამ ორი მაღალჩინოსნის ვიზიტის დეტალები ჟურნალისტებისათვის უცნობი დარჩა. თუმცა, ცხადია, რომ ამერიკელი გენერლები ერთ დროს უახლოეს მოკავშირეებს შორის დღეს არსებული წინააღმდეგობების დასაძლევად ჩავიდნენ თურქეთში.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

## მოკლედ

### ბაბუშერადან მეომრების ცხედრებს გადმოასვენებენ

მომავალ კვირას ბაბუშერადან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს დაღუპული ქართველი მეომრების ცხედრების გადმოსვენების პროცესი დაიწყება.

ტყვეთა გაცვლის და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვლადიმერ დობორჯგინიძის თქმით, ბაბუშერაში სულ 90 ქართველი მეომრის ცხედარი იყო, 1997 წლიდან დღემდე კომისიამ 55 ცხედრის გადმოსვენება შეძლო. გადმოსასვენებელია კიდევ 35 მეომრის ცხედარი.

როგორც დობორჯგინიძე აცხადებს, აფხაზურ მხარესთან მიღწეულია შეთანხმება და მომავალი კვირიდან 35-ვე ცხედრის გადმოსვენება ეტაპობრივად მოხდება და ეს პროცესი გარკვეული პერიოდის განმავლობაში მთლიანად დასრულდება. დაღუპულთა ვინაობა ჯერ დადგენილი არა არის. **პრაიმ-ნიუსი**

### კაზაკები კვლავ აქტიურობენ

აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების გაცემის პროცესში აფხაზეთის კაზაკთა სათვისტომოც ჩაერთო. აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქის საზღვარგარეთული პასპორტების გაცემა სათვისტომოს კონგრესმა 1 ივლისს დაიწყო. პასპორტები იმ პირებზე გაიცემა, რომლებმაც რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღებისთვის საჭირო რეგისტრაცია მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ხელმეორედ გაიარეს. პასპორტების გაცემის პროცესის დასაჩქარებლად, აღნიშნულ პროცესში, ქალაქ გუდაუთასა და გაგრის ზონაში აფხაზეთის კაზაკთა სათვისტომოს ატამანი, აფხაზური პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, გუდაუთაში მცხოვრები ოლეგ პეტროვიც ჩაერთო. **ინტერ-პრესი**

### რჩეულიშვილის მოთხოვნა

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი მთავრობისგან ანტიკორუფციული ღონისძიებების გეგმის წარმოდგენას ითხოვს. მისი თქმით, იგი ამ საკითხს ორშაბათს პარლამენტის რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე წამოწევს, როდესაც მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 135 მილიონი ლარით კორექტირების შესახებ კანონპროექტი განიხილება. რჩეულიშვილი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის საბიუჯეტო კრიზისისთვის მინისტრების შეცვლა შედეგს ვერ მოიტანს, თუ აღმასრულებელი ხელისუფლების ქვედა ეშელონებში, იგივე საგადასახადო და საბაჟო სტრუქტურებში გამეფებული ტოტალური კორუფცია არ მოისპო და ფინანსური დანაშაულისთვის სისხლის სამართლის დევნა არ განხორციელდა. **პრაიმ-ნიუსი**

### ბინა უსახლკაროსათვის

უკვე მესამე წელია სამი შვილის დედა, ეკა ჩხატარაშვილი გლდანში, ერთ-ერთი მობინადრის ავტოფარეხში ცხოვრობს. უბედური შემთხვევის შემდეგ მას სახლი დაეწვა და სხვა თავშესაფარი ვეღარ იპოვა. ამ რამდენიმე ხნის წინათ თავისი გაჭირვების შესახებ მან გლდანში მყოფ საკრებულოს თავმჯდომარეს შესჩივლა და ისიც დაჰპირდა, - ბინით დაგაკმაყოფილებო. გუშინ მიხეილ სააკაშვილი ეკა ჩხატარაშვილს ესტუმრა და მიუტანა საკრებულოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, მისი ოჯახი მუხიანში სამოთახიან ბინას მიიღებს. ორდერს ჩხატარაშვილებს ერთ კვირაში გადასცემენ. **24 საათი**

### ბანაკი უსინათლოთა ბავშვებისთვის

"შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის" დახმარებით, საქართველოში ერთადერთ უსინათლოთა უბანში - ფონიჭალის დასახლებაში, გუშინ უსინათლოების ოჯახების ბავშვებისთვის საზაფხულო ბანაკი გაიხსნა. ორი თვის განმავლობაში 150-მდე ბავშვი იქ 127-ე სკოლაში გახნილ ბანაკში დაისვენებს. ბანაკის გახსნაზე ფონიჭალაში პარლამენტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე გოგა კოხრეიძე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კოალიციის წევრები, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ნანა ბიჭიაშვილი და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ბანაკის ბავშვებმა სტუმრებს ზეიმი გაუმართეს და მზრუნველობისათვის მადლობაც გადაუხადეს. როგორც გოგა კოხრეიძემ განცხადა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ოჯახებზე ზრუნვა მნიშვნელოვანი საქმეა. ქვეკომიტეტმა აღნიშნული ბანაკის არსებობა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარისგან, ნანა ბიჭიაშვილისაგან გაიგო და დახმარება აღუთქვა. გოგა კოხრეიძემ ბანაკისათვის უკვე 4000 ლარი გამოყო და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციასთან ერთად ზაფხულის განმავლობაში კიდევ აპირებს ბავშვებისათვის თანხის გამოყოფას. **ინტერ-პრესი**

# უკან არავინ იხევს - არც მოშიმშილე დეპუტატები, არც ხელისუფლება

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ, მოშიმშილეების სახელით, კობა დავითაშვილი აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა და ჯანდაცვის მინისტრმა მათი აქციის შესახებ შეურაცხმყოფელი კომენტარები გააკეთეს, შიმშილობის შეწვეტა გამორიცხულია და ის და მისი თანაპარტიელები საქმეს საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანენ. მოშიმშილე "ნაციონალები" იქით ასწავლიან ხელისუფლებას აბაშისა და სამტრედიის რაიონების საპენსიო დავალიანებების დაფარვის გზებს. **"გია ჯოხთაბერიძემ თავისი "ბეემვეს" საბურავები რომ გაყიდოს და ფული პენსიონერებს მისცეს, პრობლემა საერთოდ მოიხსნება",** - როგორც ხედავთ, საპროტესტო აქციის მეხუთე დღეს მოშიმშილეები საკმაოდ არაორდინარულად მსჯელობდნენ.

კომპრომისის მიღწევას, ჯერჯერობით, ვერც პარლამენტის თავმჯდომარე ახერხებს: მოშიმშილეებთან და როლანდ გილიგაშვილთან ნინო ბურჯანაძის გუშინდელი შეხვედრა, პრაქტიკულად, უშედეგოდ დასრულდა. მიუხედავად ამისა, პარლამენტის სპიკერი არ კარგავს იმედს, რომ ყველაფერი "მშვიდობიანად" დამთავრდება. **"უახლოეს პერიოდში საქმეში ჩაერთვებიან იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა საპარლამენტო კომიტეტები, იუსტიციისა და ჯანდაცვის მინისტრები, აგრეთვე, საპენსიო ფონდის ხელმძღვანელობა, საქმის კურსში პრეზიდენტსაც ჩავაყენებ. ვფიქრობ, სამართლიანი გადაწყვეტილება მოიძებნება და ინციდენტი ამოიწურება",** - აცხადებს პარლამენტის სპიკერი.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ნინო ბურჭანაძემ მოშიმშილე "ნაციონალები მოინახულა."*

კონფლიქტის იურიდიული დეტალების განხილვაზე ბურჯანაძე უარს ამბობს და არ განმარტავს, მისი აზრით, თუ ვინ დაუშვა ცდომილებები და ვინ მართალია. თუმცა, სპიკერის კომენტარებში მაინც იგრძნობა, რომ შინაგანად ის მოშიმშილეების მხარეზეა.

**"პარლამენტი და მთავრობა ამ საკითხით სერიოზულად უნდა დაინტერესდნენ. ერთი საკითხია, მოგწონს თუ არა, როდესაც დეპუტატები შიმშილობენ, მეორეა ის, რომ ყურადღების გარეშე ამ საკითხის დატოვება არ შეიძლება. მით უმეტეს, მათ მოთხოვნაზე, რომ მოხდეს პენსიების გაცემა, არ შეიძლება, ირონიით ილაპარაკო",** - თვით პრეზიდენტის ბოსტანშიც კი ისვრის კენჭს პარლამენტის თავმჯდომარე.

თავად მოშიმშილეების ჯანმრთელობის მდგომარეობას ყურადღებით ადევნებს თვალს სამედიცინო პერსონალი. მათი თქმით, აქციის მონაწილეთა სიცოცხლეს რაიმე საფრთხე არ ემუქრება, თუმცა იქვე დასძენენ, რომ მათ ორგანიზმში პირველი სერიოზული ცვლილებები, სავარაუდოდ, დღეიდან იჩენს თავს.

# სანამ პარლამენტარები ვაჭრობენ...

პირველი გვერდიდან

ასე რომ, ჯეიმს ბეიკერს შეცდომით არ დაუტოვებია ის რეკომენდაციები, რომელიც ხმების პარალელურ დათვლას და, მთლიანად, არჩევნების პროცესის მონიტორინგს უკავშირდება. თუმცა, რატომღაც, პოლიტიკური სპექტრი ამ რეკომენდაციებს ყურადღებას არ აქცევს და მთლიანად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზეა გადართული.

ამასობაში კი, არასამთავრობო ორგანიზაციები ხმების პარალელური დათვლისთვის აუცილებელი მექანიზმების ძიებაში არიან. მეტიც: "სამართლიანმა არჩევნებმა" უკვე შეიმუშავეს კონკრეტული წინადადებები და ამ ინიციატივით პარლამენტსაც მიმართეს. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, კონსულტაციებით და ვაჭრობით გართულმა დეპუტატებმა მისი განხილვისთვის ჯერაც ვერ მოიცალეს. არადა, "სამართლიანი არჩევნების" წინადადებების მიღების შემთხვევაში, ხმების პარალელური დათვლის პროცესი სერიოზულად იმოქმედებს არჩევნების საბოლოო შედეგის დამტკიცებაზე.

**"ჯეიმს ბეიკერის ვიზიტის დროს შეთანხმებულ დოკუმენტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად, რომელმაც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანობა და დემოკრატიულობა უნდა უზრუნველყოს, დამოუკიდებელი დამკვირვებლების მიერ ხმების პარალელური დათვლის მექანიზმის ამოქმედებაა დასახელებული... ხმების პარალელური დათვლის მექანიზმის განხორციელებას უდავოდ შეუწყობს ხელს იმ ვალდებულების განხორციელება, რაც საქართველოს მთავრობამ და პოლიტიკურმა ძალებმა ბეიკერის დოკუმენტზე თანხმობის მიცემით ივალდებულეს. კერძოდ, არჩევნების დეტალური შედეგები დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს ყველა დონეზე, მათ შორის, საარჩევნო უბნებზე. ეს უზრუნველყოფს, რომ მიუკერძოებელი დამკვირვებლები დაუყოვნებლივ მიიღებენ საარჩევნო უბანზე დაფიქსირებულ შედეგებს... საქართველოს მთავრობის მზაობა, ითანამშრომლოს დამოუკიდებელ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან ამ მექანიზმის განხორციელების პროცესში, დიდწილად გააიოლებს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ ხმების პარალელური და ამომრჩეველთა მონაწილეობის (აქტივობის) დათვლის ორგანიზებას",** - ნათქვამია იმ ოფიციალურ წერილში, რომელიც ორგანიზაციამ პარლამენტს გაუგზავნა. იქვე ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი ხმების პარალელურ დათვლას შემდეგი მეთოდით განახორციელებენ:

**"საზოგადოების ყველა დამკვირვებელს ყველა საარჩევნო უბანზე ექნება სპეციალური ფორმა, რომელშიც აღირიცხება საარჩევნო უბანზე მოსულ ამომრჩეველთა რაოდენობა საათობრივად, საარჩევნო უბნის შედეგები ხმების დათვლის პროცედურის დამთავრებისთანავე (ანუ ფორმაში ჩაიწერება რამდენი ხმა მიიღო არჩევნებში მონაწილე თითოეულმა პარტიამ). ფორმები დაუყოვნებლივ შეიკრიბება სამართლიანი არჩევნების ცენტრალურ ოფისში, დაჯამდება და საზოგადოება არჩევნების მეორე დღეს გამოაცხადებს არჩევნებში მონაწილე თითოეული პარტიის მიერ მიღებული ხმების პარალელური დათვლის, აგრეთვე, ამომრჩეველთა მონაწილეობის (აქტივობის) შედეგებს".**

რაც შეეხება "სამართლიანი არჩევნების" მიერ მომზადებულ კანონპროექტს. იგი რამდენიმე პუნქტისაგან შედგება და პარალელური დათვლის მექანიზმების ამუშავებასთან ერთად, სხვა პროცედურების დახვეწასაც ეხება. (მაგალითად, გასაჩივრების წესს). ამასთან, ორგანიზაციის წევრთა აზრით, კანონმა პარლამენტის წევრობის კანდიდატს ქონებრივი დეკლარაციის შევსებაც უნდა დაავალდებულოს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი ასტამურ თარბა შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს ტერიტორიიდან "ავაქსის" ტიპის ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავების მიერ აფხაზეთის საჰაერო სივრცის დარღვევის გამო". მისი მტკიცებით, აფხაზეთის საჰაერო სივრცეში "ავაქსის" ტიპის სადაზვერვო თვითმფრინავების "გახშირებული ფრენა" საფრთხეს უქმნის არა მარტო აფხაზეთის რესპუბლიკის, არამედ რუსეთის უსაფრთხოებასაც. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ უკვე დადგა დრო, პარლამენტმა სერიოზულად იმსჯელოს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხზე. იგი დაცინვად მიიჩნევს მთავრობის მიერ წარდგენილ 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის მიხეილ სააკაშვილის აზრით, მთავრობა იუსტიციის სამინისტროში მოშიმშილე "ნაციონალების" დაცინვით, თითოეულ მშიერ პენსიონერს დასცინის". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო სიაში კვოტების გადანაწილებაზე კონკრეტული საუბარი, ჯერჯერობით, არ მიმდინარეობს, - განაცხადა ედეპეს ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ქადაგიშვილმა. მისი თქმით, ეს საკითხი, სავარაუდოდ, ორ კვირაში გადაწყდება, როდესაც საბოლოოდ გაირკვევა ბლოკში შემავალი სუბიექტების რაოდენობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ვენა.** ეუთოს დამკვირვებლების მიერ საქართველო-რუსეთის საზღვრის მონიტორინგის პერსპექტივებს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მუდმივი საბჭო, სავარაუდოდ, ოქტომბერში განიხილავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი გიგი წერეთელი აცხადებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა ბიუჯეტის ჩავარდნის გამო პოსტები უნდა დატოვონ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერმა, ფრაქცია "იაბლოკოს" წევრმა ვლადიმერ ლუკინმა და რუსმა დეპუტატებმა, რომლებიც ორშაბათს სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვევიან თბილისს, ახსნა-განმარტებები უნდა გააკეთოს სათათბიროს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის დმიტრი რაგოზინის საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ "უპასუხისმგებლო და ინტრიგანულ" განცხადებებზე - ითხოვს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ზვიად მუკბანიანი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერთიანებული სასაზღვრო სასწავლო ცენტრის "ლილოს" სასაზღვრო რაზმის ტერიტორიაზე შაბათს 87 წვევამდელის ფიცის მიღების ცერემონია გაიმართა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ივნისში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობის გამო, საერთაშორისო ენერგეტიკულმა კომპანიამ "იტერამ" "თბილგაზს" მიწოდებული აირის მოცულობა გაუნახევრა. დღეიდან "თბილგაზს" "იტერასაგან" დღეღამეში მხოლოდ 150 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მოეწოდება. "თბილგაზში" აცხადებენ, რომ თბილისს, ჯერჯერობით, გაზმომარაგებაში შეფერხებები არ ემუქრება, რადგან გაზის საერთაშორისო კორპორაცია აირის დანაკლისს თავად შეავსებს. თუმცა, ამის პარალელურად, "თბილგაზში" მერიასთან ერთად დავალიანებისთვის საჭირო თანხების მოძიებაზე მუშაობენ და იმედი აქვთ, რომ დედაქალაქს გაზმომარაგება არ შეუწყდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა, უშიშროების და შს სამინისტროების მონაწილეობით უახლოეს დღეებში ერთობლივი სამუშაო ჯგუფები შეიქმნება ანტიკონტრაბანდული ღონისძიებების გასატარებლად. ამის შესახებ გადაწყვეტილება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან ფინანსთა და ძალოვანი მინისტრების შაბათს გამართულ შეხვედრაზე მიიღეს. შეხვედრის შემდეგ უშიშროების მინისტრმა, ვალერი ხაბურძანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებული მობილიზებით დაიწყება უახლოეს დღეებში. **პრაიმ-ნიუსი**

# კონტრაბანდას ყველა "ებრძვის", პასუხს არავინ აგებს

პირველი გვერდიდან

დამატებული ღირებულების გადასახადი არ გადაიხადა თითქმის 150-ზე მეტმა ასეთმა ფირმამ. სარგებლობენ რა აღნიშნული შეღავათით, ეს საწარმოები 2001 წლის ნოემბრამდე არ აწარმოებდნენ შემოტანილი ნედლეულისაგან დამზადებული პროდუქციის დღგ-თი დაბეგვრას, ნედლეულის ღირებულებას თიშავდნენ პროდუქციის თვითღირებულებისაგან და დღგ-ს გაანგარიშებას მის გარეშე ახდენდნენ. კანონით კი გადასახადისაგან გათავისუფლებულია "ნედლეული საწარმოს საჭიროებისათვის". უმრავლეს შემთხვევაში ნედლეული (სპირტი, ფქვილი, ყავა და ა.შ.) საწარმოს საკუთარი საჭიროებისათვის კი არ გამოიყენება, არამედ იგი იქცევა საქონლად და რეალიზდება მყიდველებზე, როგორც მზა პროდუქცია, რაზეც მოქმედი საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლით დღგ-სგან გათავისუფლება არ ვრცელდება.

უფრო მეტიც, საქართველოს საგადასახადო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად, 1997 წლის 1 სექტემბრიდან სავალდებულო გახდა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების წარმოება, სადაც ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მოსაწესრიგებლად ცალკე სტრიქონადაა გამოყოფილი გადახდილი და გადასახდელი დღგ-ს ოდენობები. ამასთან, საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, "გადასახადით დაბეგვრისას კოდექსის დებულებასა და კანონმდებლობის სხვა სფეროს აქტების დებულებებს შორის კოლიზიის წარმოშობის დროს გამოიყენება მხოლოდ კოდექსის დებულებები". აღნიშნულ საწარმოებში ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას ამონაგები თანხებიდან გამოთიშულია ნედლეულზე გათვალისწინებული დღგ და ბიუჯეტთან ანგარიშსწორება ნაწარმოებია ჩასათვლელი დღგ-ს გათვალისწინებით, ეს მაშინ, როდესაც მყიდველებისგან გაწერილი ანგარიშ-ფაქტურების შესაბამისად მიღებულია შემოსავალი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით (დღგ შეტანილია პროდუქციის მთლიან ღირებულებაში).

**ამრიგად, სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების უყურადღებობის გამო ბიუჯეტმა, საგადასახადო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, 1997 წლიდან მნიშვნელოვანი შემოსავლები დაკარგა.**

აღნიშნულის გამო, აღრიცხული იმპორტიდან კანონმდებლობით განსაზღვრული შეღავათების გათვალისწინებით სრულად დაბეგრილი იმპორტის კლება შეიმჩნევა. კერძოდ, 1998 წელს სრულად დაბეგრილია საერთო იმპორტის 46 პროცენტი, 1999 წელს – 37 პროცენტი, 2000 წელს - სრულად დაბეგრილია აღრიცხული იმპორტის მხოლოდ 33,1 პროცენტი. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჰუმანიტარული ტვირთების შესწავლით გაირკვა, რომ 1999 წლის დეკემბრიდან 2000 წლის დეკემბრამდე პერიოდში 25 შემთხვევაში გადასახადებიდან უკანონოდ გათავისუფლებულია 5331,5 ათასი ლარის ღირებულების ტვირთი, რითაც ბიუჯეტს საბაჟო გადასახადისა და დღგ-ს სახით დააკლდა ერთი მილიონ 682,7 ათასი ლარი. რიგ შემთხვევებში ჰუმანიტარული ტვირთის სახით ფორმდებოდა საქონელი, რომელზეც ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის მიერ შუამდგომლობები არ იყო გაცემული, მათ შორის, ალკოჰოლურ სასმელებზე და დიზელის საწვავზე. **წლიდან წლამდე იზრდება ჰუმანიტარული და უცხოური ინვესტიციების ხარჯზე იმპორტირებული პროდუქციის წილი საერთო იმპორტში.** კერძოდ, 2000 წელს ჰუმანიტარული ტვირთის იმპორტი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 8,6 მილიონი აშშ დოლარით (16,2 პროცენტით) და მან 61,2 მილიონი აშშ დოლარი, ანუ საერთო იმპორტის 8,9 პროცენტი შეადგინა. უფრო მეტადაა გაზრდილი (27,3 მილიონი აშშ დოლარით) უცხოური ინვესტიციების ფორმით შემოტანილი საქონლის ღირებულება, რამაც 71,3 მილიონი აშშ დოლარი, ანუ მთელი იმპორტის 10,3 პროცენტი შეადგინა. საყურადღებოა, რომ უცხოური ინვესტიციების ფორმით იმპორტირებულია 24,7 მილიონი აშშ დოლარის ელექტრომოწყობილობა და აპარატურა, რაც აღნიშნული სასაქონლო პოზიციის იმპორტის 34,5 პროცენტია, ე. ი. **ინვესტიციების თითქმის ორი მესამედი ნედლეულისა და მასალების ფორმით განხორციელდა. ამან კი მაკონტროლებელი ორგანოების მხრივ, საინვესტიციო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის არაზუსტი ინტერპრეტაციის გამო, ბიუჯეტს წლების განმავლობაში მილიონობით ლარი დააკარგვინა.**

**არაერთხელ ქცეულა მსჯელობის საგნად მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოების კორუმპირებულობა. საქართველოში ზოგმა ფულის "კეთება", ერთი შეხედვით, თითქმის არაფრისაგან ისწავლა. მაგალითად, 1996-1998 წლებში საქართველომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გააფორმა აზერბაიჯანთან, უკრაინასთან, სომხეთთან, ყაზახეთთან. პარლამენტის მიერ მათი რატიფიცირების მიუხედავად, 1996 წლიდან 1998 წლის აგვისტომდე საბაჟო დეპარტამენტის მიერ შესაბამის საბაჟო სამმართველოებამდე არ იქნა დაშვებული საინსტრუქციო წერილი ამ ქვეყნებთან უბაჟო ვაჭრობის შესახებ, რის გამოც 1998 წლის ბოლოს სახელმწიფოს დაუგროვდა შიდა ვალი მეწარმეებისადმი ათეული მილიონობით დოლარის ოდენობით. მაგალითად, აზერბაიჯანიდან 1996 წელს იმპორტირებული ნავთობპროდუქტებისთვის 15 მილიონი დოლარი მეწარმეებისადმი ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი გახდა. ვალის დაბრუნების პროცესში დაიწყო არაჯანსაღი გარიგებები. ამან კი უკრაინის და აზერბაიჯანის სამთავრობო სტრუქტურების გაღიზიანება გამოიწვია, რაზეც უკრაინაში საქართველოს მაშინდელი ელჩი საქართველოს პრეზიდენტისადმი გამოგზავნილ წერილში იტყობინებოდა. ანალოგიური საფრთხეა მოსალოდნელი ახლაც, პარლამენტში დსთ-ს თავისუფალი ვაჭრობის ზონის ხელშეკრულებების რატიფიცირების შემდეგაც.**

ამავე დროს, "გამჭვირვალე" საკანონმდებლო ცვლილებები სწრაფად იძლევა დადებით ეფექტს. ასე მაგალითად, ინვალიდთა სხვადასხვა საზოგადოებების (მაგ., ინვალიდთა და ვეტერანთა "წმინდა თამარ მეფის ორდენი", ინვალიდთა დახმარების კავშირი, ინვალიდთა ლიგა, ყრუთა საზოგადოების პრეზიდიუმი, სამაჩაბლოს ინვალიდთა ლიგა და ა.შ.) ეგიდით განხორციელებული ნავთობპროდუქტების საიმპორტო ოპერაციების ოდენობა 1999 წელს დაფიქსირდა - 235, რაც საერთო რაოდენობის (800 ოპერაცია) 29,3 პროცენტს შეადგენდა; 2000 წელს, შეღავათების გაუქმების შემდეგ, დაფიქსირდა ასეთი საზოგადოებების მხოლოდ 6 საიმპორტო ოპერაცია, რაც საერთო რაოდენობის (306 ოპერაცია) 1,96 პროცენტი იყო; ხოლო 2001 წელს - 8 ასეთი ოპერაცია აღინიშნა, რაც საერთო რაოდენობის (648 ოპერაცია) მხოლოდ 1,23 პროცენტს შეადგენდა.

ქვეყანაში აღურიცხავი კონტრაბანდული გზით შემოტანილი სიგარეტისა და ნავთობპროდუქტების რაოდენობრივად მკვეთრად გაზრდა და საბაჟო შემოსავლების კატასტროფულად შემცირება, ჩვენი აზრით, ძირითადად გამოწვეული იყო ბოლო წლებში საბაჟო გადასახადების მკვეთრად ზრდის დამკვიდრებული არაპოპულარული ტენდენციით, თანაც ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. **ამასთან, საქართველოს პირობებში პოლიტიკურად მეტად სარისკოა ადმინისტრირების გამკაცრება, ანუ სასჯელის დამძიმება კონტრაბანდისათვის, ვინაიდან კონტრაბანდაში ასეულობით ათასი ადამიანია ჩართული (მძღოლიდან - ბაზრობის მოვაჭრემდე) და მათი სოციალური პროტესტი არ დააყოვნებს.**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებეში: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ოქტომბრის ბოლოსთვის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში ელექტრონული ქსელი დაინერგება, რაც ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციის გადაცემა-მიღებას ითვალისწინებს. როგორც სამინისტროში აცხადებენ, "ნოემბრიდან სამინისტროში ქაღალდიანობანა აღარ იარსებებს". ელექტრონული ქსელის დანერგვისთვის სამინისტროს 20 000 შვეიცარულ ფრანკს, გრანტის სახით, "საერთაშორისო ელექტროკავშირი" გამოუყოფს. ეს პროგრამის პირველი ეტაპია, შემდეგი ეტაპი კი აღმასრულებელი ხელისუფლების მთლიანი ელექტრონული ქსელით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" დელეგაცია, სააგენტოს ხელმძღვანელის თემურ ხომერიკის თავმჯდომარეობით, ვარშავიდან თბილისში დღეს დაბრუნდება. საერთაშორისო თანამეგობრობის ინიციატივით, ქართული მხარე პოლონეთის, როგორც ერთ-ერთი პოსტსაბჭოური ქვეყნის, სახელმწიფო შესყიდვების საქმეში არსებულ გამოცდილებას ეცნობა. 2000 წლიდან საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამთავრობო შესყიდვების შეთანხმებაზე დამკვირვებლის სტატუსი აქვს მინიჭებული. ამჟამად ქართული მხარე ამ შეთანხმებაზე მიერთებისთვის მუშაობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკონომიკის სამინისტროში ჩაის გადამუშავებისთვის და ექსპორტისთვის გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიებისთვის, საავანსო სახით, თანხის გაცემა მიმდინარეობს. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 26-მა კომპანიამ, რომლებმაც საბანკო გარანტია წარმოადგინეს, ავანსად 772 644 ლარი უკვე მიიღეს, ამჟამად მიმდინარეობს ხუთი კომპანიისთვის 50 051 ლარის გადარიცხვის პროცესი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეუტელსატთან" შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, შესაძლოა, სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიოს მაუწყებლობა შეწყდეს ევროპის, აფრიკისა და დასავლეთ აზიის ქვეყნებში. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს დავალიანება "ევტელსატის" მიმართ 750 000 ევროა, რაც ქვეყანას 2002 წლიდან დაუგროვდა. სამინისტროს ინფორმაციით, "ეუტელსატთან" ამჟამად ვალის რესტრუქტურიზაციაზე მოლაპარაკებები მიმდინარებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ახალი მემარჯვენეების" ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები დღეს დილიდან შიდა ქართლში წმინდა მამების საფლავების და ისტორიულ-მართლმადიდებლური ძეგლების დასათვალიერებლად და მოსაწესრიგებლად გაემგზავრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ზესტაფონის რაიონის კვალითის დასახლებაში ადგილობრივმა მოსახლეობამ 17 ივლისს ღამის 2 საათზე, იმავე უბანში მცხოვრები 43 წლის გოჩა გუბელაძე ქუჩაში დაჭრილი იპოვა. მას სხეულზე მრავალი ნაჩხვლეტი ჭრილობა აღენიშნებოდა. გუბელაძე თანაუბნელებმა სასწრაფოდ გადაიყვანეს რაიონის ცენტრალურ საავადმყოფოში, თუმცა მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.

ზესტაფონის პოლიციამ მეორე დღესვე გახსნა დანაშაული და აღნიშნულ ქმედებაში ეჭვმიტანილი პირი დააკავა. იგი მოკლულის მეზობელი, 43 წლის ვალერი პირველაშვილი აღმოჩნდა. სამართალდამცველებმა პირველაშვილს ქალაქ ფოთში, მის ნათესავებთან მიაგნეს. მან აღიარა, რომ ურთიერთშელაპარაკების დროს დანით დაჭრა გოჩა გუბელაძე. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ზესტაფონის რაიონის მოსამართლეზე ჰუსეინ მიქაბერიძეზე, ამავე რაიონის სოფელ ქუთში მცხოვრებმა, 76 წლის ვაჟა კუპატაძემ ძალადობა განახორციელა და სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა. ინციდენტი გუშინწინ მოხდა, კუპატაძემ მოსამართლეს ზურგში რკინის არმატურის ნაჭერი ჩაარტყა. კუპატაძე მიქაბერიძის სამუშაო კაბინეტში მას შემდეგ შეიჭრა, რაც სასამართლომ მისთვის არასასურველი გადაწყვეტილება გამოიტანა. მიღებული ტრამვის გამო, მოსამართლე დროებით რაიონის საავადმყოფოში მოათავსეს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადიდან სხვადასხვა სახის ტექნიკის მოპარვაში ეჭვმიტანილი ორი სამხედრო პირი - არველ მამარდაშვილი და ავთანდილ ურიადმყოფელი დააკავეს. ურიადმყოფელმა და მამარდაშვილმა რამდენიმე დღის წინ, კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადიდან თურქეთის სამხედრო უწყების მიერ ნაჩუქარი უცხოური მარკის ტელევიზორი, აუდიო-მაგნიტოფონი და სხვა საგნები მოიპარეს, რომელთა გატანაც სამხედრო ნაწილის ტერიტორიიდან ვერ მოახერხეს და იქვე გადამალეს. ურიადმყოფელი და მამარდაშვილი კოჯრის ბრიგადის ტერიტორიაზე დააკავეს. მათ სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ამ დროისთვის დამნაშავეები თბილისის მე-5 საპყრობილეში არიან გადაყვანილები. **ინტერ-პრესი.**

# „ეგ შევარდნაძეს უთხარით!"

პირველი გვერდიდან

**"რას ერჩიან ამ ხალხს? ვის რას უშავებენ?" "როგორ თუ რას ერჩიან?! თქვენ, ეტყობა, მაგათიანი ხართ! ბავშვი ვერსად გაგვისეირნებია! ტროტუარი აღარ დარჩა ქალაქში, რომ გაიარო და სკამი - რომ ჩამოჯდე! ჰაერი აღარ დაგვიტოვეს!" "აი, ეს ჯიხური გიკავებთ ჰაერს?" "რატომ არ მიკავებს?! ან რას ჰგავს ეს? სამმაგ ფასად ყიდდნენ ყველაფერს! ახია მაგათზე!" "მოგვეცით სხვა სამსახური და არ დავდგებით აქ! დაგვაბრუნეთ 300 ათასი კაცი უკან და აღარ შეგაწუხებთ!" "ეგ შევარდნაძეს უთხარით!"** - ასე ეხმიანებოდნენ ერთმანეთს სკვერში შეკრებილი ადამიანები.

პირველი ჯიხური ბუკიას ბაღთან ამ თორმეტი წლის წინათ ჩაიდგა. მაშინ იგი ერთადერთი იყო და ისეთ ადგილას იდგა, დიდი აღშფოთება არავისში გამოუწვევია. თუმცა, ისიც უკანონო იყო და გუშინ ისიც აიღეს. **"ამ ჯიხურით ვარჩენდი ოჯახს. 50 ლარს სახელმწიფოს ვუხდიდი, 120 ლარი მე მრჩებოდა. მოხუცი მშობლები მყავს, მეუღლე და შვილი. ახლა რა უნდა ვქნა?"** - იკითხა მისმა მეპატრონემ. **"მესმის თქვენი, მაგრამ რა ქნან მოხუცებმა, რომლებსაც ასევე უჭირთ და მოსასვენებელი ადგილიც აღარა აქვთ? ბავშვებმა?"** - კითხვა დაუბრუნა გივი თარგამაძემ.

**"ქალაქში არც ერთი უკანონო ჯიხური არ დარჩება, თქვენ არც პირველები ხართ და არც უკანასკნელები,** - ვითარებას განუმარტავდა სხვებს ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსი, დავით მუმლაძე. - **დავტოვებთ მხოლოდ პრესის ჯიხურებს, რადგან ხალხმა ითხოვა. ბოლოს და ბოლოს, ქალაქი ქალაქს უნდა დაემსგავსოს."** მიუხედავად ამისა, ალაგ-ალაგ ხალხში ამბობდნენ, - ამათ იმიტომ ყრიან, ეს ადგილი სხვებს რომ მისცენო. **"მსგავსი არაფერი მოხდება,** - ამტკიცებდა პარლამენტარი კოტე კემულარია. - **ჩვენ უკვე აღვუდექით წინ მათ, ვისაც აქ სავაჭრო ცენტრის ჩადგმა სურდა."**


ლევან ხერხეულიძის ფოტო
მოხუც მეყვავილეებს არავინ უსმენდა.

ბუკიას ბაღთან მდებარე სკვერში მშენებლობის დაწყების მოსურნედ რეზო ბაკურაძე დასახელდა. ჯიხურების აღების პროცესს გუშინ ისიც ადევნებდა თვალს. **"ეს მიწა, 460 კვადრატული მეტრი, 1998 წლიდან ჩემია და მას ვერავინ წამართმევს, მაღაზია კი არც ერთი არ მეკუთვნის და არც მათ აღებაში ვუშლი ვინმეს ხელს,** - სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა ბაკურაძე. - **ჩემნაირი ქალაქელი აქ ბევრი ვერ იქნება, 3600 კვადრატული მეტრი აქ იჯარით მაქვს აღებული და ყოველ დღე ვასუფთავებ. გავაუქმებ ხვალიდან იჯარას და ნაგავში რომ იქნება აქაურობა, ნახეთ."**

**"ყველას რომ ფულს ართმევ ამ ტერიტორიაზე ვაჭრობაში, ის თქვი! ასუფთავებ, თორემ, ბევრი დაგიჯდება!"** - რამდენიმე ადამიანი ერთად გაეპასუხა ამ განცხადებას. **მომიყვანეთ ერთი, ვის ვართმევ ფულს!"** - გაცხარდა ბაკურაძე. ორიოდ წუთში რამდენიმე მოხუცი მეყვავილე ქალიც მოვიდა, - **"ჩვენ გვართმევ, თვეში 300 ლარს გიხდით."** რეზო ბაკურაძე მეყვავილეებს აღარ უსმენდა. **"ჯიხურების მეპატრონეები 300 დოლარს გიხდიან თვეში!"** - არ ცხრებოდნენ სხვები. პასუხად ბაკურაძე სააკაშვილსა და "გრანტიჭამია" არასამთავრობოებს გადასწვდა, თუმცა - უშედეგოდ.

**"თქვენ იმიტომ ხართ ჩვენი წინააღმდეგი, რომ ჩვენ ვშოულობთ ფულს და არა თქვენ!"** - ასეთი იყო ჯიხურების მეპატრონეების ბოლო ბრალდება. **"როგორ დადგით ეს ჯიხური, ისიც გაგვაგებინეთ? მე 30 ათასი მომთხოვეს აქ ჯიხურის დადგმაში!"** - იყო პასუხი. ბუკიას ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც ადმინისტრაციულ ინსპექციაში აცხადებენ, 11 ჯიხური დგას. უფრო სწორედ, იდგა. იქაურობა მათ ბოლო ერთი წლის განმავლობაში "დაამშვენეს". ნაციონალური მოძრაობა ირწმუნება, რომ მსგავსი "სამშვენისებით" ბაღს ველარავინ დაემუქრება.

# ევგენი ევტუშენკოს ფორთოხლის ბაღის მონატრება


REUTERS
ევგენი ევტუშენკო: "რედაქტორებმა გაზეთების ტაბლოიდიზაცია არ უნდა დაუშვან."

*18 ივლისს ევგენი ევტუშენკომ თავისი დაბადების დღე აღნიშნა. გამოჩენილი რუსი პოეტი 70 წლის გახდა. ბოლო დროს ამერიკაში მცხოვრებ პოეტს, ოთხჯერ დაქორწინებულ ხუთი შვილის მამას ასაკს ვერც შეატყობთ. მოსკოვში ყვავილებით მოჩითული აბრეშუმის ხალათით დადის, მხარზე გობელენის ჩანთა ჰკიდია, კოვბოური "უჭირავს" და სულაც არ აპირებს დაბერებას. ჩვენი საუბრიდან ირკვევა, რომ ევტუშენკოს ცნობილი ფრაზა "პოეტი რუსეთში პოეტზე მეტია" დღესაც აქტუალურია, ოღონდ ესაა, რომ პოლიტიკას ისევ ვერ ურიგდება.*

რუსუდან ნიკურაძე
საქ.კორ.მოსკოვში

ჩვენი საუბარი სწორედ პოლიტიზებულ საზოგადოებაში პოეტის როლით იწყება და საქართველოთი მთავრდება. ალბათ, იმიტომ, რომ საკუთარი იუბილეს შემდეგ, ევტუშენკო რუს ჟურნალისტებთან ერთად ქუთაისში, მაიაკოვსკის დაბადების დღეზე მიფრინავს.

**ევგენი ევტუშენკო**: საქართველოში, ქუთაისში მიმიპატიჟეს, რაც ჩემთვის დიდი პატივია. როცა რუს პოეტებს უჭირდათ და სდევნიდნენ, ისინი საქართველოში პოულობდნენ პოეტურ გასაქანსა და თბილ თავშესაფარს, იქ იბეჭდებოდნენ.

**"24 საათი": ერთი რუსი პოეტის თქმით, როცა საქართველოს უჭირს, რატომღაც, რუსი პოეტები დუმან. რატომ ხდება ასე?**

**ევგენი ევტუშენკო**: ჩემი ლექსითვე გიპასუხებთ: "პრო გრუზიუ ზაბივ ნეოსტოროჟნო, ბიტ ვ როსიი პოეტომ ნევოზმოჟნო" - აი, ახლა საქართველოში სწორედ ამ შეცდომის გამოსასწორებლად მივდივარ. ვთვლი, რომ პოლიტიკა ეშმაკისეული პროფესიაა. როცა რუსულმა ტანკებმა ჩეხოსლოვაკიის გაზაფხული გადათელეს, ეს ფრაზა მაშინ მოვიფიქრე. არა უშავს, დაიმახსოვრეთ, მოვა დრო და ყველა პოლიტიკური პარტია რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა სივრცეში ველურ ბაბილონად მოგვეჩვენება. მრავალპარტიულობა ანაქრონიზმია. ამერიკაში მოგზაურობამ და ცხოვრებამ, იქ ლექციების კითხვამ და იქაური ახალგაზრდობის გაცნობამ დამარწმუნა, რომ პოლიტიკა ჩვენი მანკიერების შედეგია. იგი გათიშულობას ემსახურება. პოლიტიკური პარტიების არსებობა კაცს ზღუდავს, სიცოცხლის ინტერესს აკლებს.

**"24საათი": ამერიკის მერე როგორია თქვენი თვალით დანახული რუსეთი? რა აზრის ხართ იმ პროცესებზე, რაც დღეს აქაურ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდება? მაგალითად, ჩეჩნეთი, აფხაზეთი, "იუკოსი"...**

**ევგენი ევტუშენკო:** დარწმუნებული ვარ, ხდება ახალი რუსი ადამიანის ფორმირება, რომელიც მარტო მატერიალურ ფასეულობებზე არ იქნება ორიენტირებული. ამაში გაზეთებმაც თავისი როლი უნდა შეასრულონ, უფრო ხშირად ბეჭდონ ლექსები, პოეზიის პროპაგანდაზე იფიქრონ. რედაქტორებმა გაზეთების ტაბლოიდიზაცია არ უნდა დაუშვან და ყველაფერი რიგზე იქნება. რა დაგიმალოთ, არ მომწონს ის, რაც გარშემო ხდება. ყველაზე ძალიან იმ წლების რუსეთი მომწონდა, როცა ბებიებს შვილიშვილები ბულატ ოკუჯავას საღამოებზე დაჰყავდათ. მერე გაჩნდნენ პოლიტიკოსი-ცინიკოსები და სატირიკოსები.

როცა ელცინმა ხალხთა მეგობრობის ორდენის მისაღებად კრემლში მიმიწვია, არ მივედი. ეს იქნებოდა ჩეჩენი ხალხის ტკივილის გაუზიარებლობა. ომის დროს მე არც ერთის მხარე არ დამიჭერია. ასე უნდა მოიქცნენ მწერლები და ჟურნალისტები. შორიდან უნდა უყურო და მესამე წერტილი მოძებნო. არ მომწონდა რუსეთში პუტჩის დროს არც თეთრი სახლი და არც ტანკები, სამაგიეროდ, არ მავიწყდება მღვდელი, რომელიც რუსეთის პარლამენტის დაბომბვის წუთებში ხატითა და თეთრი პირსახოცით გამოვიდა იმ ხიდზე, რომელზეც ჩვენი "სასახელო" ტანკები იდგნენ. მას ორი ტყვია ესროლეს: ერთი - ზურგში, მეორე - გულში. აი, სწორედ ის იყო ქრისტეს მოციქული. რაც შეეხება აფხაზეთს, იგი ჩემი ტკივილია. მე იქ მეგობრები დამიხოცეს ორივე მხრიდან. ორი რეკვიემი მაქვს დაწერილი - ქართველ და აფხაზ მეგობრებზე. სსრკ-ს დაშლა ჩემი ტკივილიანი თემაა, არ შეიძლებოდა პოლიტიკის გამო ჩვენი გათიშვა. რუს და ქართველ პოლიტიკოსებს შორის გაუგებრობის გაიგივება ხალხებთან არ შეიძლება. ვერც ერთ ლიდერს ვერ გავაიგივებ ხალხთან. რუსეთსა და საქართველოს იმდენი რამ აკავშირებს, რომ ამის დაშვების უფლებაც კი არა გვაქვს. მსოფლიოში არ მოიძებნება რუსეთ-საქართველოს პოეზიის მსგავსი მეგობრობის ანალოგი...

**"24 საათი": იმისთვის, რომ პოლიტიკური საკითხები გადაწყდეს, რისი გაკეთება შეუძლია, მაგალითად, ქართულ და რუსულ ინტელიგენციას ერთად?**

**ევგენი ევტუშენკო:** იცით, რატომ არ გამოდის არაფერი ? იმიტომ რომ აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებას ჩვენ მარტო პოლიტიკური მეთოდებით ვცდილობთ. დავივიწყოთ პოლიტიკა და გადავჭრათ აფხაზეთის ურთულესი პრობლემა ადამიანურად. და საერთოდ, არსებობს მიტევების გრძნობა. არსებობს მონანიება.

**"24 საათი": თუ იცით, თქვენი სახლი აფხაზეთში რა მდგომარეობაშია?**

**ევგენი ევტუშენკო**: სოჭის "კინოტავრის" შემდეგ მოვინახულე ჩემი ნასახლარი. ნანგრევები დგას, დავინახე და ცუდად გავხდი. იცით, რამ დამწყვიტა გული? ჩემი ხელით ციმბირულად დარგული რამდენიმე ძირი ფორთოხალი ვიღაც ბარბაროსებს ამოუთხრიათ. სახლზე მიდგმული კიბე დავტოვე. ისიც ვიღაცას მოუხერხავს, რომ მაღლა არ ავსულიყავი. საქმე მარტო ჩემში და იმ სახლში არ არის. აფხაზეთიდან სამასი ათასი ქართული ოჯახი აიყარა. მათი წინაპრების საფლავები იქ არის. არ მესმის, რატომ საუბრობენ მარტო გალში ლტოლვილების დაბრუნებაზე? რაღაც სქემა უნდა მოვიფიქროთ, მხარეებმა ამ საშინელ შურისძიებასა და სიძულვილს როგორმე თავი უნდა დააღწიონ. მოდით, ჩავთვალოთ, რომ იყო საშინელი წარღვნა, ახლა შენების დროა. ყველამ ერთად აფხაზეთის ეკონომიკური გაცოცხლების მექანიზმები რომ მოვიფიქროთ, იქ რომ ხალხი დაბრუნდეს და ცხოვრება დაიწყოს, დამიჯერეთ, სიძულვილზე ნაკლებად იფიქრებენ. უმჯობესია, დროებით რაღაც პოლიტიკური სტატუსი მოიძებნოს, შერიგების მაგვარი, ამასობაში ეკონომიკაზე ვიფიქროთ, როცა ხალხი საკუთარი სახლის მშენებლობით იქნება გართული, ომზე ნაკლებად იფიქრებს. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი აფხაზეთის დაბრუნება. აი, რა უნდა იღონოს ინტელიგენციამ. მე ყველაფერს გავაკეთებ ამისთვის.

*მინაწერი: ევგენი ევტუშენკოსთან ინტერვიუ "არგუმენტი ი ფაქტის" რედაქციაში ჩავიწერე, პოეტის პრესკონფერეციის შემდეგ. ჩვენს საუბარს, დანარჩენ ჟურნალისტებთან ერთად, ყურადღებითა და ეჭვით უსმენდა კომუნისტური გაზეთ "პრავდას" ასაკოვანი ჟურნალისტიც. პოეტის ბოლო ფრაზის შემდეგ ბოროტად მკითხა: თქვენ მაინც რომელ ქვეყანას წარმოადგენთ - საქართველოს თუ აფხაზეთსო?*

# საკანონმდებლო გარანტია „დამბეზღებელთა" საზოგადოებრივი საბჭოებისთვის

რუსუდან ნიკურაძე
საქ.კორ.მოსკოვში

ამ დღეებში მოსკოვის საქალაქო დუმამ განიხილა კანონპროექტი "სამართალწესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების შესახებ", რომელსაც პარლამენტარები სექტემბრის პირველ რიცხვებში განიხილავენ.

კანონპროექტის წაკითხვის შემდეგ ნათელი ხდება, რომ მოსკოვის ყოველ რაიონში ათამდე ასეთი საბჭო იფუნქციონირებს. ჩვენი გაზეთი უკვე წერდა მოსკოვში, ტუშინოს სამხედრო აეროდრომზე როკფესტივალ "კრილიას" დროს მომხდარი უკანასკნელი ტერორისტული აქტის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებულ უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებზე.

მოსკოვში არავინ უარყოფს, რომ რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების გადაწყვეტილებით, აუცილებელია საზოგადოების აქტიური ნაწილის გამოყენება ანტიტერორისტულ ღონისძიებებში. ერთ-ერთ ასეთ აქტიურ ფორმად რუსეთის ხელისუფლება მიიჩნევს ინფორმაციის მიმტანთა, შემტყობინებელთა, ანუ, უბრალო ენაზე, "დამბეზღებელთა" საზოგადოებრივი ინსტიტუტის შემოღებას.

საქმე ის არის, რომ საქალაქო დუმის მიერ განხილულ კანონპრექტში ამ "ინსტიტუტს" ოფიციალურადაც "საზოგადოებრივი საბჭოები" ეწოდება. საბჭოები, კანონპროექტის მიხედვით, მოსკოვის სახლმმართველობებისა და უბნის რწმუნებულების ბაზაზე იმოქმედებენ და იქ ნებაყოფლობით გაერთიანდებიან, ძირითადად, საპენსიო ასაკის მოქალაქენი, ვისაც, საკუთარ სადარბაზოებში მცხოვრები მეზობლებისა და მათი სტუმრების თვალთვალის გარდა, სხვა საზოგადოებრივი საქმე არა აქვთ.

მოსკოვის საქალაქო დუმის მიერ შემუშავებული კანონპროექტი ასეთ საბჭოებს იურიდიულ სტატუსს ანიჭებს და მათ "მოღვაწეობას" ახალი წლიდან კანონის ფარგლებში მოაქცევს. კურიოზი ის არის, რომ ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეების "მოქალაქობრივი პოზიციის" მატერიალურ წახალისებასაც აპირებს. თუ, დავუშვათ, იგივე ფუნქციის შესრულება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ყველა ადამიანის ელემენტარული მოქალაქეობრივი ვალია და ამგვარი სიფხიზლე ასეთ ქვეყნებში "არ იყიდება", რუსეთის სინამდვილეში პირიქით ხდება. დაბეზღებაში ას დოლარს გადაგიხდიან. რუსი სამართალდამცველები ამ კანონპროექტის ამოქმედების პარალელურად ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად და ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევად მიიჩნევენ სადარბაზოებსა და ეზოებში სპეციალური ვიდეოდაკვირვების კამერების დამონტაჟებასაც, რაც, სხვათა შორის, ხსენებული კანონპროექტის მთავარი პუნქტია.

ტერორიზმთან ეფექტიანად ბრძოლის მექანიზმს თავისებურად განმარტავს მოსკოვის დუმის კანონმდებლობისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ირინა სვიატენკო:**

- ტერორისტული აქტების გამოსარიცხავად და მოქალაქეთა სიფხიზლის ასამაღლებლად ინფორმატორთა საზოგადოებრივი საბჭოების ფუნქციონირების ექსპერიმენტი უკვე ეფექტიანად მოქმედებს მოსკოვის ტაგანკის რაიონში. ეს ღონისძიება შეთანხმებულია მოსკოვის ხელისუფლებასთან, ასევე მოსკოვის მილიციის ხელმძღვანელთან ვლადიმერ პრონინთან.

ქალბატონი სვიატენკო ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი საბჭოების ღერძს წარმოადგენენ სახლმმართველები, კონსიერჟკები და მეეზოვეები. ასევე, ომის ვეტერანები და პენსიონერები.

მოსკოვის დუმის პლენარულ სხდომაზე ამ საკითხის განხილვისას გამოითქვა მოსაზრება, რომ მოსკოვის ეზოებისა და სადარბაზოების დაცვაზე ქალაქის ბიუჯეტიდან სპეციალური თანხები გამოიყოფა.

ამ თანხების დატაცება რომ გამოირიცხოს, ქალაქის მერის იური ლუჟკოვის სპეციალური განკარგულებით დამტკიცებულია "2003-2005 წლებში დამნაშავეობასთან ბრძოლის ახალი კომპლექსური პროგრამა", რომელშიც უკვე 10 მილიარდი რუბლია ჩადებული. პროგრამა ითვალისწინებს სამი წლის მანძილზე მოსკოვის ყველა სადარბაზოს დომოფონით, მილიციასთან კავშირითა და ვიდეოკამერებით აღჭურვას. ასეთი სპეცსაშუალებები უკვე მოქმედებენ არბატის ტერიტორიაზე, მოსკოვის ცენტრალურ ადმინისტრაციულ ოლქში.

რუსი სამართალდამცავების აზრით, სადარბაზოებში დამონტაჟებული ვიდეოკამერების მიხედვით ადვილად შეიძლება ადამიანის დღის წესრიგის გაგება და სად არის გარანტია, რომ ვიღაცა ამას ბოროტად არ გამოიყენებს? მათი აზრით, აღმაშფოთებელია მეზობლის მიერ მეზობელთან სტუმრად მოსული, ვიღაცის აზრით "საეჭვო" პირის დაბეზღება, რაც აუცილებლად მოხდება.

მოკლედ, ზემოხსენებული კანონპროექტის ამოქმედებით, რუს სამართალდამცველებს სამოქალაქო უფლებების დარღვევების ფაქტების განხილვაზე საქმეები მოემატებათ. მათი აზრით, დამბეზღებელი მოქალაქეების წახალისებაზე გამოყოფილი 10 მილიარდი რუბლი უბნის რწმუნებულთა ხელფასებზე რომ დაემატებინათ, საქმე წინ წავიდოდა და მაშინ მოსკოვის მილიცია ნამდვილად დაიცავდა საკუთარ მოქალაქეებს.

# მთავრობას პენსიების დარიგება პრიორიტეტად არ მიაჩნია

18 ივლისისათვის **ცენტრალური ბიუჯეტის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამები, ექვსი თვის გეგმასთან (!) შედარებით, დაფინანსებულია 62 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმასთან - 30 პროცენტით.** ექვსი თვის გეგმაში გარღვევა 16 მილიონ 817 ათას 400 ლარია. წლიური გეგმა 89,5 მილიონი ლარია. შესაბამისად, წლის ბოლომდე დასაფინანსებელი დარჩა 62 მილიონ 506 ათას 400 ლარი.

18 ივლისისათვის დახარჯულია მხოლოდ 26 მილიონ 993 ათას 600 ლარი. ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების ხარჯებში მოსალოდნელია, დაახლოებით, 20 მილიონი ლარის გარღვევა.

**საზოგადოებამ აუცილებლად უნდა მიიღოს განმარტება - რა ხარჯები არ დაფინანსდება? ეს იქნება სოციალურად საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკის პროგრამა, საპენსიო ტრანსფერი თუ უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალური დახმარების პროგრამა. განმარტებას, ბუნებრივია, უნდა მოჰყვეს იმ ჩინოვნიკთა დასჯა, რომელთა "დიდი ძალისხმევის" შედეგად ვერ ფინანსდება ზემოაღნიშნული ხარჯები.**

ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ხარჯების შეუსრულებლობაში უდიდესი ნაწილი სოციალური ფონდის ტრანსფერზე მოდის. ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 64 პროცენტით, წლიური გეგმა – 32 პროცენტით. ექვსი თვის გეგმაში გარღვევა 14 მილიონ 442 ათასი ლარია - ანუ გარღვევის, დაახლოებით, 86 პროცენტი სოციალური ფონდის ტრანსფერზე მოდის. **ე. ი. მთავრობას პენსიების დარიგება პრიორიტეტად არ მიაჩნია. აქედან გამომდინარე, ძველი დავალიანებების გასტუმრებაზე საუბარიც კი ზედმეტია. მთავარია, დღევანდელმა მთავრობამ მოახერხოს, და მიმდინარე დავალიანებები დიდი ოდენობით არ დააგროვოს.**

**საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"**

ცენტრალური ბიუჯეტის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ხარჯები 18 ივლისისათვის

ათასი ლარი

| პროგრამის დასახელება | წლის გეგმა | ექვსი თვის გეგმა | შესრულება | % წლის გეგმასთან | % ექვსი თვის გეგმასთან |
|---|---|---|---|---|---|
| ცენტრალური ბიუჯეტის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები | 89500 | 43811 | 26993.6 | 30% | 62% |
| [illegible] | 4622 | 1942 | 886.1 | 19% | 46% |
| [illegible] | 688 | 248 | 83.2 | 12% | 34% |
| [illegible] | 2857 | 1273 | 649.7 | 23% | 51% |
| [illegible] | 977 | 379 | 111.2 | 11% | 29% |
| [illegible] | 100 | 42 | 42 | 42% | 100% |
| [illegible] | 5878 | 2053 | 733.5 | 12% | 36% |
| [illegible] | 1100 | 508 | 385.1 | 35% | 76% |
| [illegible] | 550 | 234 | 161.1 | 29% | 69% |
| [illegible] | 2298 | 854 | 103.8 | 5% | 12% |
| [illegible] | 165 | 53 | 17.5 | 11% | 33% |
| [illegible] | 1365 | 279 | 43.5 | 3% | 16% |
| [illegible] | 200 | 55 | 0 | 0% | 0% |
| [illegible] | 200 | 70 | 22.5 | 11% | 32% |
| სოციალური ფონდის ტრანსფერი | 79000 | 39816 | 25374 | 32% | 64% |
| [illegible] | 26775 | 14671.9 | 12085 | 45% | 82% |
| [illegible] | 32195 | 14789.1 | 7039 | 22% | 48% |
| [illegible] | 775 | 390 | 390 | 50% | 100% |
| [illegible] | 14400 | 7200 | 4800 | 33% | 67% |
| [illegible] | 4065 | 2055 | 882 | 22% | 43% |
| [illegible] | 400 | 400 | 100 | 25% | 25% |
| [illegible] | 390 | 390 | 98 | 25% | 25% |

# აფიორა თერჯოლის შამპანური ღვინოების კომბინატის ხელში ჩასაგდებად

## ˝კომბინატს ვანო ონიანი, ემზარ კვიციანი და ბონდო შალიკიანი დაეპატრონნენ˝

პირველი გვერდიდან

საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტისა და კონტროლის პალატის მასალებით ირკვევა, რომ კანონდარღვევები “ვაზისას" პრივატიზაციის საქმეში ჯერ კიდევ 1998 წელს დაფიქსირდა. საწარმო, რომელიც სახელმწიფოს შესაბამისი სურვილის შემთხვევაში, მეტად მომგებიანად გაიყიდებოდა, 1998 წლის 23 თებერვალს, პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის გადაწყვეტილებით, სააქციო საზოგადოება “დავით სარაჯიშვილი და კომპანიას" თურქმენეთის ვალის ანაზღაურების სანაცვლოდ გადასცეს. აღნიშნული სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელმა მაშინ “ვაზისას" 336 855 აქცია (საწესდებო კაპიტალის 39,68%) მიიღო. კონტროლის პალატამ დაადგინა, რომ აღნიშნული ოპერაცია უკანონო გზით განხორციელდა. **“აღნიშნული გადაწყვეტილება, პრაქტიკულად, წარმოადგენს “დავით სარაჯიშვილისა და კომპანიისთვის” აქციების პირდაპირი წესით მიყიდვას. ეს, მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის პრეროგატივას წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი არ ითვალისწინებდა, შიდა სახელმწიფო ვალის ამ წესით დაფარვას; აღნიშნული ფაქტი საჭიროებს ცალკე შემოწმებას”,** - ნათქვამია კონტროლის პალატის დასკვნაში. ვის, ვის და, საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტს კი უნდა სცოდნოდა, რას ითვალისწინებდა კანონი. მიუხედავად ამისა, კომპანიის ხელმძღვანელის, ელგუჯა ბუბუტეიშვილის “ვაზისაში" შემოსვლა იმერეთში დადებითად აღიქვეს. იმედი ჰქონდათ, რომ ბუბუტეიშვილი საწარმოს აამუშავებდა, თუმცა მან ეს ვერ შეძლო და იძულებული გახდა, საწარმო დაეტოვებინა. ამის მიზეზად შაშიაშვილი კრიმინალებსა და “შავ ძალებს” ასახელებს. **“ვაზისას" პრივატიზება არ მომხდარა, იგი ბუბუტეიშვილს თურქმენეთის ვალში ჩაუთვალეს. ჩვენ იგი მოვიწვიეთ, საწარმოს ამუშავება ვთხოვეთ და მხარდაჭერასაც შევპირდით. თუმცა, მას ადგილზე იმდენი შავი ძალა დახვდა, გაგიჟდა კაცი. საბოლოოდ ბუბუტეიშვილი “ვაზისადან” წავიდა. მას შემდეგ კიდევ ორი ძალა ფლობდა საწარმოს, მერე კი იგი ემზარ კვიციანმა, ბონდო შალიკიანმა და ვანო ონიანმა ჩაიგდეს ხელში”, -** აცხადებს შაშიაშვილი

ბუბუტეიშვილის შემდეგ “ვაზისას" თავს უცნაური მოვლენები დატრიალდა. საგადასახადო დეპარტამენტის მიერ მოკვლეული მასალებით ირკვევა, რომ 1997 წელს შპს “მნ"-მა 342 841 დოლარი და 70 500 ლარი “ინტელექტბანკიდან" კრედიტით აიღო. აღნიშნულ ფირმას კი ვალის დაფარვის თავდებად “ვაზისას" აქციონერი, ჯუმბერ შოთაძე დაუდგა, რომელმაც, კრედიტის სანაცვლოდ, ბანკში 391 730 ცალი აქცია დატოვა. ამავე დროს “ვაზისას" დირექტორმა გასცა საგარანტიო წერილი და “მნ"-ის მიერ ვალის ვერდაფარვის შემთხვევაში ვალის გასტუმრება ითავა. “მნ"-მა ვალი არ დააბრუნა, რის გამოც, “ინტელექტბანკმა" 1999 წლის 27 ივლისს გამოიტანა გადაწყვეტილება “ვაზისას" ქონებისა და ღვინო-მასალების აუქციონის წესით გაყიდვის თაობაზე. ბანკის მოთხოვნა, აუქციონის წესით გაეყიდათ “ვაზისა", თერჯოლის სასამართლომ არ დააკმაყოფილა. სამაგიეროდ, გაყიდვაზე თანხმობა ქუთაისის საოლქო სასამართლომ გასცა. თუმცა, კონტროლის პალატის დასკვნის თანახმად, ბანკს უფლება არ ჰქონდა, გაეყიდა “ვაზისას" ქონება და, მით უმეტეს - ღვინო მასალები, რომელიც “ვაზისას" საკუთრება არ იყო და მისი ფლობის უფლება მხოლოდ სახელმწიფოს ჰქონდა. **“1999 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ბანკმა მოახდინა არა გარანტად ჩადებული აქციების, არამედ საზოგადოების კუთვნილი ქონებისა და ღვინო მასალების უკანონოდ რეალიზაცია. აღნიშნული ქმედებით დარღვეულია მეწარმეთა შესახებ კანონის 57.2 მუხლი. ამით “ვაზისას" დარჩენილი ქონება და საბრუნავი საშუალებები გადახდისუუნარო გახდა კრედიტორებისა და, ასევე, ბიუჯეტის წინაშე, რომლის მიმართ დავალიანება 2 მილიონ ლარს შეადგენს. ასევე, სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ორგანოების თანხმობის გარეშე, საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანიდან სრულ პრივატიზაციამდე რეალიზებულია 85000 კუპონის 124,2 დოლარის ქონება, ხოლო ჩამოწერილია 21 711 დოლარის ქონება. საწესდებო კაპიტალი შემცირებულია 112 779 დოლარით”,** - ნათქვამია კონტროლის პალატის მასალებში. დამატებით, საგადასახადო დეპარტამენტის მოკვლევის მასალებში მითითებულია, რომ 1999 წლის 13 ივლისის აუქციონზე გაიყიდა ცქრიალა ღვინო “იბერია" (66250 ლარი) და ღვინო მასალა (125750 ლარი). დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელი, ჩიკვილაძე აღნიშნავს, რომ პრივატიზებულ საწარმოში არსებული ნედლეული (ღვინო, ღვინომასალები საკონიაკე სპირტები) წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას. აღნიშნული საქონელი რეალიზებული იქნა დამატებითი ღირებულების გადასახადისა და აქციზის გადახდის გარეშე, რითაც სახელწმიფო ბიუჯეტს დააკლდა 300 000 ლარი. 1999 წლის 31 დეკემბერს საგადასახადო დეპარტამენტმა შეიტანა სარჩელი ქუთისის საოლქო სასამართლოში, სადაც აუქციონის შედეგების გაუქმებას და “ინტელექტბანკსა” და “ვაზისას" შორის გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას მოითხოვდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, საგადასახადო დეპარტამენტის თხოვნა არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, “ვაზისას," საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის სასარგებლოდ, მხოლოდ 2 179 885 ლარის გადახდა დაეკისრა. ამასთან დაკავშირებით იმერეთის გუბერნატორი, თემურ შაშიაშვილი აცხდებს, რომ ქუთაისის საკრებულოს წევრის, ბონდო შალიკიანის, ემზარ კვიციანისა და ვანო ონიანის მიერ “ვაზისას" ხელში ჩასაგდებად ფინანსური აფიორა განხორციელდა. რწუნებულის განმარტებით, სესხი ამ პირებმა გამოიტანეს, იგივე თანხა “დაატრიალეს" და მათივე ვალში გაყიდული “ვაზისა" იმავე ფულით იყიდეს.

**“თერჯოლის შამპანურ კომბინატში აფიორა გაკეთდა, რის საფუძველზეც, იგი ვანო ონიანს, ემზარ კვიციანს და ბონდო შალიკიანს ჩაუვარდა ხელში. მანამდე კი კომბინატმა რამდენიმე კრიმინალური დაჯგუფება გამოირა. ამ ხალხმა ბანკიდან 700 000 ლარი სესხი გამოიტანა, სანაცვლოდ კი, ბანკში საწარმოს ძირითადი საშუალებები ჩადეს. შემდეგ ვალდებულება არ შეასრულეს, რის გამოც, ბანკმა “ვაზისა” გაყიდა, მათ კი იგი ბანკიდან გამოტანილი სესხით იყიდეს. ანუ იგივე ფული დააბრუნეს უკან. იმ პერიოდში პრეზიდენტი ზესტაფონში იმყოფებოდა და ამის თაობაზე მოვახსენე. ვუთხარი, რომ თერჯოლაში კატასტროფა ხდებოდა. მან აიღო ყურმილი და მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს, თარგამაძეს დაუკავშირდა. უთხრა, - რასაც შაშიაშვილი მეუბნება, ეს კატასტროფაა და საქმე შეისწავლეთო. მე როგორც ვიცი, მათ აბსოლუტურად არაფერი არ გაუკეთებიათ. ამჟამად “ვაზისას” მილიონ ნახევარი სახელმწიფოს ვალი აჰკიდეს, არც ამუშავებენ და არც გვაყიდინებენ”,** - აცხადებს შაშიაშვილი. რწუნებულის მიერ დასახელებულ ვანო ონიანს სამართალდამცავები ტარიელ ონიანთან დაახლოებულ პიროვნებად მიიჩნევენ. მათივე მტკიცებით, ტარიელ ონიანთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს ბონდო შალიაკიანსაც. აქედან გამომდინარე, ასკვნიან, რომ ქართველ ავტორიტეტსაც აქვს თერჯოლის შამპანურკომბინატში საკუთარი ინტერესები.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები ასახულია კონტროლის პალატისა და საგადსახადო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალებში. უახლოეს მომავალში ვეცდებით, ბონდო შალიკიანისა და ემზარ კვიციანის კომენტარებიც შემოგთავაზოთ.

# საქართველოში ციფრული სეისმოლოგია დაიწყო

გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგიურ ცენტრში პროექტის პრეზენტაცია მოეწყო. პროექტი “თბილისის სეისმური სადგურის მოდერნიზაცია”, “ღია საზოგადოება საქართველოს” მიერ 17 000 დოლარით იყო დაფინანსებული. “სოროსის გრანტი მიწისძვრის შემდეგ მივიღეთ. ამ თანხით შევიძინეთ სეისმური სადგური მთაწმინდაზე, სადაც დავდგით უახლესი ტექნოლოგიური აპარატი და მიწის რხევის სიგნალს ჩვენთან, ინსტიტუტის მეექვსე სართულზე ვიღებთ. დღეს ამ დანადგარის პრეზენტაცია გვაქვს”, -თქვა ერთიანი სეისმური სამსახურის უფროსმა ზურაბ ჯავახიშვილმა.

საქართველოში არ იყო ციფრული ხელსაწყოები, რომელთა ტექნოლოგიური სიმძლავრე წარმოუდგენლად აღემატება მანამდე არსებულს. სეისმოლოგიას საქართველოში ას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ თანამედროვე აპარატურის გარეშე, მას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა შერჩებოდა.

საქართველო კი სეისმურად აქტიურ ზონაშია. მიწისძვრებს საქართველოში დიდი “ისტორია” აქვს, ცნობილია თმოგვის, სამცხის, ალავერდის დიდი მიწისძვრები, მეცხრამეტე საუკუნის გორის მიწისძვრა და გასული საუკუნის ბოლოს რაჭის მიწისძვრა, რომელიც სპიტაკის მიწისძვრაზე ძლიერი იყო.

მართალია, კავკასიონი და ჯავახეთის ზეგანი სეისმურად ყველაზე საშიში ზონებია და თბილისი 7-8 ბალის ზონაშია, რაც არ ითვლება განსაკუთრებით საშიშ ზონად, მაგრამ ქალაქის სიდიდის და სიმჭიდროვის გამო შედეგები უფრო საზარალოა. ამიტომ არჩევანი, თუ სად დადგმულიყო პირველი ციფრული დანადგარი, თბილისზე შეჩერდა.

**24 საათი**



ვახო ხაბელიას ფოტო

*ახალი ტექნიკა სეისმოლოგიის ინსტიტუტში.*

# სასამართლო გადაიდო

ვასიკო გაგუა

პარასკევს თბილისის საოლქო სასამართლოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სარჩელის განხილვა დაიწყო, რომელიც თსუ რექტორის არჩევნების ბათილად ცნობას მოითხოვს. მოპასუხე მხარეა ქვეყნის პრეზიდენტი, განათლების სამინისტრო და თავად რექტორი.

სხდომას მოპასუხეთაგან ორი მხარე, პრეზიდენტის წარმომადგენელი დავით სუხიტაშვილი და რექტორის წარმომადგენელი დავით ჯანდიერი ესწრებოდნენ. განათლების სამინისტროს, წარმომადგენლის გამოგზავნით, თავი არ შეუწუხებია. სხდომაზე, რომელიც ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის გამო ისედაც გადასადებად იყო განწირული, სტუდენტებმა სასამართლო კოლეგიის თავჯდომარის, ტარიელ ზამბახიძის აცილების საკითხი დააყენეს. როგორც აღმოჩნდა, ტარიელ ზამბახიძე და მისი უფროსი შვილი თამარ ზამბახიძე თსუ იურიდიული ფაკულტეტის ლექტორები არიან, მოსამართლის უმცროსი შვილი კი, ამავე ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია. ამ გარემოებების გათვალისწინებით, მოსამართლე დაინტერესებული მხარე გამოდის. პრეზიდენტის წარმომადგენელი დავით სუხიტაშვილი, რომელიც ასევე თსუ იურიდიული ფაკულტეტის ლექტორია, სტუდენტთა შუამდგომლობას არ დაეთანხმა, - ვერ ვიპოვით მოსამართლეს, ვისაც უნივერსიტეტი არა აქვს დამთავრებულიო. ორი მოსამართლე გადაწყვეტილების გამოსატანად გავიდა, თუმცა, უკან გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე დაბრუნდნენ - ერთ-ერთი მხარის, განათლების სამინისტროს წარმომადგენლის მოსაზრება არ მოგვისმენიაო. სასამართლო 31 ივლისისთვის გადაიდო.

# ენციკლოპედია "ბელურებისთვის"

ამ წიგნში მხოლოდ ინფორმაცია არ არის ადამიანისა და სამყაროს შესახებ. წიგნი თავად არის უმთავრესის - ადამიანების ერთმანეთზე მზრუნველობის მაგალითი.

პარასკევს ბავშვთა თავშესაფარ “ბელურებში” მოეწყო საბავშვო ენციკლოპედიის “სამყარო ჩვენი სახლი” პრეზენტაცია.

ორგანიზაცია “ბავშვი და გარემოს” ხელმძღვანელმა, ნანა იაშვილმა წიგნი საზოგადოებას წარუდგინა. წიგნი დაფინანსებულია გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ. ენციკლოპედია გამოსცა გამომცემლობა “დიოგენემ”.

ენციკლოპედიის ავტორები არიან თამარ აბულაძე, იათამზე კოტეტიშვილი, ნინო ლორთქიფანიძე და მარინა შოსტაკი.

ენციკლოპედია განსაკუთრებულია იმით, რომ იმ მოზარდებისთვისაა განკუთვნილი, რომლებმაც ვერ მიიღეს მინიმალური ცოდნა. ავტორებმა მატ მარტივად და საინტერესოდ უამბეს ცოტა რამ ყველაფრის შესახებ. წიგნი გულისხმობს მასალის ინტერაქტიური მეთოდით მიწოდებას, ბავშვის უშუალო მონაწილეობას შემეცნების პროცესში.

**24 საათი**



ვახო ხაბელიას ფოტო

*საბავშვო ენციკლოპედიის პრეზენტაციაზე.*

# მაშველი

**ნამდვილი ამბავი**

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", - აგრძელებს "ნამდვილი ამბავის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები - ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ ცხოვრებაზე. პროექტის საშუალებით შესაძლებელია მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ. დღევანდელი ამბის გმირები ნუნუ და ლაშა არიან.*

56 წლის ნუნუ მაისურაძე ჟურნალისტია. წარსულში თანამშრომლობდა გაზეთ "თბილისის" რედაქციასთან, ჟურნალ "საქართველოს ქალთან". ამჟამადაც თავისი პროფესიით მუშაობს. "უნიჭო არ ვარ, მაგრამ ვერაფერს ველარ ვაკეთებ. მომივა კარგი იდეები, მაგრამ თავს ვანებებ, როცა ვიცი, რომ ფული მაქვს სასწრაფოდ საშოვნი. მატერიალურ მდგომარეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ანადგურებს ადამიანს",- ამბობს ქალბატონი ნუნუ.

ხვადაგიანების ოჯახს - "ბებიას კმაყოფაზე რომ ცხოვრობენ," დიდი დიღმის დასახლების ერთ ნაწილში, ბევრი იცნობს. მეზობელი, სკოლის პედაგოგი ნათელა გიგაშვილი ასე აღწერს მათ საცხოვრებელ პირობებს: " ოჯახში რომ შეხვიდეთ, გამოიქცევით. საწოლი არ უდგათ, იატაკზე წვანან. სკამების ფუნქციას გადმობრუნებული ბოთლების ჩასაწყობი ყუთები ასრულებენ. ოჯახის მარჩენალი ბებიაა, ჟურნალისტი ქალბატონია".

შვიდნი ცხოვრობენ ერთად. ბებია, სამი გოგონა - 11, 12, 15 წლისანი და 14 წლის ლაშა; ბავშვების დედა - ნუნუ მაისურაძის ქალიშვილი, პროფესიით კვების ტექნოლოგი, უმუშევარი და ბავშვების მამა - სიძე, მეორე ჯგუფის ინვალიდი, ასევე უმუშევარი.

ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი ბებიის ხელფასისს( 35 ლარი ) და სიძის პენსიისაგან (14 ლარი) შედგება. ბავშვებს დახმარება დაენიშნათ განათლების სამინისტროსთან არსებული თბილისის სოციალურ მუშაკთა ჯგუფის მიერ. დახმარება პრევენციული ხასიათისაა, სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებაში ბავშვების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად. დახმარება ყოველთვიურად კვების ხარჯებს ითვალისწინებს. თითო ბავშვზე 60 ლარს. ოჯახმა თანხა, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოიყოფა, ჯერჯერობით მხოლოდ ერთხელ მიიღო.

როგორც სოციალურ მუშაკთა ჯგუფის ხელმძღვანელი ეთერ ცხაკაია აღნიშნავს, დაგვიანებული გადმორიცხვების გამო, ხშირად უწევს თანხის წასაღებად მოსული ადამიანის უკან ხელცარიელი გაბრუნება ან ტელეფონით უარის თქმა.

ხვადაგიანების მრავალშვილიანი ოჯახის საერთო შემოსავალი მათ ელემენტალურ საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს. "ნათესავები მეხმარებიან ხანდახან, მაგრამ ეხლა იმათაც გაუჭირდათ. მარტო კი გავიდოდი ფონს. ვილაცასთან მივიდოდი და მაჭმევდა, მაგრამ 4 ბავშვით ვის უნდა მივადგე?"- კითხულობს ნუნუ მაისურაძე.

"2 წელია შუქი არ ანთებულა ჩემს სახლში. კაპიკი არ გადამიხდია, რას გადავიხდიდი",- წუხს ქალბატონი ნუნუ.

ეთერ ცხაკაიას თქმით, ვერცერთ ინსტანციაში, ვერ მიაღწიეს იმას, რომ ოჯახისათვის შეღავათი გაეწიათ და შუქი მიეცათ.

უშუქობის გამო, საჭიროებისას ნუნუ მაისურაძე საღამოს წნევას სადარბაზოს კიბეზე იზომავს. ერთხელ ზამთარში, იმის გამო, რომ იქაც გამორთული იყო სინათლე, წნევის გაზომვა მეორე სახლის სადარბაზოში მოახერხა. "ზოგჯერ 35 თეთრი არ მაქვს, რომ სანთელი ვიყიდო", - ამბობს ქალბატონი ნუნუ.

დღეს რომ შვილიშვილები ბავშვთა სახლში არ ცხოვრობენ, სოციალურ მუშაკებთან ერთად ქალბატონი ნუნუს ძალისხმევით ხდება. ის განსაკუთრებით ლაშათი ამაყობს. მართალია, სკოლაში სამებიც მიიღო და მასწავლებელიც ამბობს, ცელქიაო, მაგრამ ბებია ლაშაში პირველ რიგში კეთილშობილებას აფასებს. ლაშას რომ ბავშვთა სახლში ეცხოვრა, ალბათ თავისი მეზობლების გადარჩენასაც ვერ მოახერხებდა.

ნუნუ მაისურაძე ერთ ამბავს მოგვითხრობს: "მაისის თვე იყო. ლაშა შინ სველი დაბრუნდა. ბებია, რას მიშვები, რომ გაცივდე ვინ არის შენი პატრონი მეთქი - ვუთხარი. ზურა და კიკი გადავარჩინეო, ასე მიპასუხა. დიღმის დასახლების ერთ-ერთ უბანში მიტოვებული ბუნკერია, სადაც წყალი დგება. ერთ-ერთმა ბავშვმა გაცურა და იძირებოდა. მისი უმცროსი ძმაც გადახტა - ძმას მივეხმარებიო და ისიც იძირებოდა. ჩემი ბიჭი 150 მეტრის მოშორებით თამაშობდა. დაუძახეს, ყველამ იცოდა, რომ ცურვა იცოდა. გამოქცეულა და წყალში გადამხტარა. ერთს თმაში მოჰკიდა ხელი და ამოაყურყუმელავა, მეორეს ფეხი ამოარტყა, რომ ჰაერი ჩაეყლაპა. ორივე მას ჩამოეკიდა და ნაპირამდე ძლივს მოაღწია. ხალხი დაეხმარა ამოყვანაში. ამის მერე 20 წუთი იწვა მიწაზე გულაღმა. მე დავტუქსე, შენც რომ დამხრჩვალიყავი, ვინ გიშველიდა, ხომ ხედავ როგორ გვიჭირს და კაციშვილი ჩვენი დამხმარე არ არის მეთქი? შენო, ნუნუკა, ბოროტი ხარო, ეს როგორ თქვიო, ორი დღე არ მელაპარაკებოდნენ ბავშვები".

ამ ამბავმა უბნის მაცხოვრებლები აალაპარაკა.

მეზობელი ნათელა გიგაშვილი ლაშას სხვა ისტორიასაც იხსენებს: "ქალბატონ ნუნუკას მეზობელს, ლაშას ამხანაგია, მამა გარდაეცვალა. წავიდა მისი შვილიშვილი, აკრიფა ჯართი. ჩაბარებულ ჯართში აღებული ფულით იყიდა ლიმონათები, სალეჭი რეზინები, ნამცხვრები და გამოუზოგა ამ ბავშვს, სიმწარე რომ გადაეტანა. ალბათ, ადამიანს რომ უჭირს, მან უფრო იცის სხვა ადამიანის გაჭირვება და დახმარება".

**PS. თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით" კოორდინატორს ირინა სიგუას. მობ: 899555113 ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე: stagesngo@hotmail.com**

ასოციაცია საფეხურები

# ბავშვებით ვაჭრობაში ბრალდებულს ეძებენ

კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში ყურაშვილების ოჯახში პოლიციის მიერ აღმოჩენილი ორი ახალშობილის უკანონო გასხვისების მცდელობისათვის, გორელ ნათელა კუდუხაშვილს გამოძიებამ წაუყენა ბრალი და მასზე ძებნა გამოცხადდა.

შიდა ქართლის ოლქის პროკურორის ამირან ნოზაძის განცხადებით, გამოძიების მონაცემებით, ნათელა კუდუხაშვილი ბავშვების გაყიდვის ორგანიზებაში იმხილება.

53 წლის ნათელა კუდუხაშვილი წარმოშობით გორელია, იგი 18 წლის ასაკში უკრაინაში სამხედრო მოსამსახურეზე გათხოვდა და 25 წლის განმავლობაში იქ ცხოვრობდა. გორში საცხოვრებლად, დაახლოებით, რვა თვის წინ დაბრუნდა. უკრაინაში მას რაიმე თანამდებობა არ ჰქონია და იგი ნაყინის გამყიდველად მუშაობდა. როგორც ნოზაძე ამბობს, დადგენილია ერთ-ერთი ჩვილის მშობლების ვინაობაც, რომლებიც ამბობენ, რომ ბავშვი უსახსრობის გამო ნებაყოფლობით გაასხვისეს, თუმცა რაიონულ პოლიციაში არ გამორიცხავენ, რომ ბავშვის გაშვილების საფასურად მშობლებს გარკვეული თანხა გადაუხადეს.

როგორც ნოზაძე აღნიშნავს, საქმესთან დაკავშირებით მოწმის სახით დაკითხულნი არიან, როგორც ყურაშვილების ოჯახის წევრები, ასევე მათი მეზობლებიც.

ჯერჯერობით, კუდუხაშვილის გარდა სხვა პირებს ბრალი წაყენებული არ აქვთ, თუმცა საუბარია დამნაშავეთა საკმაოდ ფართო წრეზე, მათ შორის - როგორც ორგანიზატორებზე და შემსრულებლებზე, ასევე ბავშვების ძიძებზე, რომლებიც ახალშობილებს გაყიდვამდე გარკვეული გასამრჯელოს საფასურად უვლიდნენ.

აღნიშნული დანაშაული, მოქმედი კანონის შესაბამისად, 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციას გააჩნია, აგრეთვე, ოპერატიული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში ყურაშვილების ოჯახიდან საზღვარგარეთ 5 ბავშვი გაყიდეს.

გამოძიება, ჯერჯერობით, ვერ ადასტურებს ნამდვილად მიჰყავდათ თუ არა ბავშვები უცხოეთში ტრანსპლანტაციისათვის, რადგან სამედიცინო წრეებში აღნიშნავენ, რომ მსგავსი მიზნებისათვის ასეთი ჩვილი ბავშვების ორგანოები არ გამოიყენება; **"მაგრამ ეს ვერსია ჯერ გამორიცხული არაა,"** - თქვა ნოზაძემ.

**პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროში მოშიმშილე “ნაციონალი“ პარლამენტარის, აკაკი ბობოხიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. მას მაღალი ტემპერატურა აქვს, თუმცა, შიმშილობის აქციის შეწყვეტას არ აპირებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროში მოშიმშილე “ნაციონალებს" გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდა. დახურული შეხვედრის შემდეგ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ საკითხს იურიდიული და საპროცედურო კომიტეტები განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორშაბათს, 12 საათზე იუსტიციის სამინისტროს წინ ნაციონალური მოძრაობა, გაუცემელი პენსიების გამო, მიტინგს ჩაატარებს. მოშიმშილე დეპუტატების მხარდასაჭერად, მოეწყობა მჯდომარე აქცია. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დასავლეთ საქართველო მალარიის გავრცელებისთვის საშიშ ზონად რჩება. სპეციალისტების განმარტებით, შესაძლებელია, საკურორტო სეზონზე აჭარის რეგიონში დაავადება სხვა რეგიონიდან შესულმა პირმა შეიტანოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, წინამძღვრიშვილის ქ. N137, ჯიქიას ქ. N6, ვაჟა-ფშაველას ქ. N36 და სანზონის დასახლებაში ნაგვის ბუნკერები ისევ ცუდად იცლება. **ინტერ-პრესი**

# "ნოკიას" შემოსავალი ეცემა

ადამ მჭედლიძე

მობილური ტელეფონების უდიდესი მწარმოებლის, "ნოკიას" მოგება მკვეთრად დაეცა. ეს წარუმატებლობა ფინურმა კომპანიამ დოლარის კურსის დაცემას და გლობალური ეკონომიკის სისუსტეს დააბრალა.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, "ნოკიას" მოგებები 28 პროცენტით დაეცა და მხოლოდ 624 მილიონი ევრო შეადგინა. კომპანიამ ანალოგიური წარუმატებლობა იწინასწარმეტყველა მომავალი კვარტლისათვის. ყოველივე ამის ფონზე ფინური გიგანტის აქციები, დაახლოებით, 7 პროცენტით დაეცა.

"ნოკიას" წარმომადგენელთა განცხადებით, გლობალური ეკონომიკის ჩავარდნის გამო, მობილურ ტელეფონებზე მოთხოვნილება ერთობ დაბალი ტემპით იზრდება. წელს კომპანია მოთხოვნილების 4 პროცენტით ზრდას წინასწარმეტყველებდა, მაგრამ ზრდა სინამდვილეში 2-პროცენტიანია. "ნოკიას" გაყიდვებს საზღვარგარეთ მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა დოლარის კურსის დაცემამ, რის გამოც ევროპული საქონელი ნაკლებად კონკურენტუნარიანი გახდა.

მიუხედავად ამ წარუმატებლობებისა, "ნოკიამ" კვლავაც შეინარჩუნა წამყვანი ადგილი მობილურების ბაზარზე, სადაც იგი 39 პროცენტს აკონტროლებს. ვინ მოდის ფინური გიგანტის შემდეგ, ეს ცოტა რთული საკითხია. აქამდე მეორე ადგილი "მოტოროლას" ეჭირა, მაგრამ სპეციალისტები ეჭვობენ, რომ ახლა ვითარება შეიცვალა. "მოტოროლამ" ახლახან თავისი შედეგები გამოაქვეყნა, საიდანაც ცხადი გახდა, რომ ატიპური პნევმონიის გამოისობით ამერიკულ კომპანიას საგრძნობი ზარალი მიადგა – ჩინეთში, რომელიც მობილურების უდიდეს ბაზარს წარმოადგენს, "მოტოროლას" აპარატებზე მოთხოვნილება მკვეთრად დაეცა. ამასთან, "მოტოროლამ" ტრადიციას ულალატა და არ გამოაქვეყნა ბოლო მონაცემები საკუთარ ბაზრის წილზე. ეს შეიძლება იმას მოასწავებდეს, რომ კომპანიამ მეორე ადგილი დაკარგა. თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ "ნოკიას" უახლოეს მდევრად "სამსუნგი" იქცეოდა, რომელმაც ბოლო დროს ერთობ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. ამ კომპანიებს ფრანგული "ალკატელი" მისდევს.

მობილური ტელეფონების ერთადერთი მწარმოებელი, რომელიც ბოლოდროინდელი შედეგებით კმაყოფილია, "სონი ერიქსონი" გახლავთ. ეს ერთობლივი საწარმო, რომელიც დღიდან დაარსებისა აქამდე წაგებაზე მუშაობდა, ირწმუნება, რომ მისი საბაზრო წილი 6,4 პროცენტამდე გაიზარდა.

# მოტაცება პალესტინურად

პალესტინის რადიკალური დაჯგუფების "ალ-აქსას წამებულთა" ბრიგადებმა მორიგი აქტი განახორციელეს. მათ შაბათს დილით პალესტინის ქალაქ ჯენინის გუბერნატორი ჰაიდერ ირშეიდი მოიტაცეს. პალესტინელი მებრძოლები გუბერნატორის ავტომანქანას მაშინ დაესხნენ თავს, როდესაც ის ჯენინის ცენტრში გამოჩნდა. "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადების" ჯენინის ფრთის ლიდერმა ზაქარია ზუბეიდმა განაცხადა, რომ ამჟამად გუბერნატორი მისი მებრძოლების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ექსტრემისტები მას კოლაბორაციონიზმში და ღალატში დებენ ბრალს და მის სასამართლოსათვის გადაცემას მოითხოვენ.

როგორც ცნობილი გახდა, პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციის ლიდერმა იასირ არაფატმა უკვე მოთხოვა ექსტრემისტებს დატყვევებული გუბერნატორის გათავისუფლება. თუმცა, "ალ-აქსას ბრიგადების" მებრძოლები აცხადებენ, რომ მართალია ისინი არაფატს დიდი პატივს სცემენ, მაგრამ ამ თხოვნას ვერ შეუსრულებენ.

ჯენინის მაცხოვრებლები ამ ფაქტზე პირველ კომენტარებს აკეთებენ, ისინი აცხადებენ, რომ გუბერნატორზე თავდასხმა მაშინ გადაწყდა, როდესაც პალესტინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადების" რამდენიმე მებრძოლის წინააღმდეგ სპეცოპერაცია განახორციელეს და დააპატიმრეს.

# აშშ და თურქეთი ურთიერთობების გაუმჯობესებას ცდილობენ


აბდულა გული ვაშინგტონში ურთიერთობების გასარკვევად ჩავა

პირველი გვერდიდან

აშშ-სა და თურქეთს შორის ურთიერთობები მას შემდეგ დაიძაბა, რაც ანკარამ ამერიკელებს ერაყის წინააღმდეგ ჯარების გატარებაზე უარი უთხრა. თუმცა, მოკავშირეებს შორის ურთიერთობები ვერც ომის დასრულებამ გამოასწორა. ამერიკა ეჭვობს, რომ ანკარა ძირითადად ქურთებით დასახლებულ ჩრდილოეთ ერაყში გავლენის შენარჩუნებას მონათესავე თურქმენი უმცირესობის მეშვეობით ცდილობს და რეგიონის სტაბილურობას ემუქრება. თავის მხრივ, თურქეთი შიშობს, რომ ერაყელი ქურთები ამერიკელებთან კარგი ურთიერთობებით ბოროტად სარგებლობენ და, შესაძლოა, თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებში სეპარატისტული განწყობა გააღვივონ.

ანკარას მოლოდინების მიუხედავად, ერაყში ამერიკის ჯარებმა საშუალება მისცეს ქურთ მებრძოლებს ნავთობით მდიდარი ქალაქები კირკუკი და მოსული დაეკავებინათ.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თურქულ-ამერიკული ურთიერთობები ასეთ დაბალ დონეზე პრაქტიკულად არასოდეს არ ყოფილა. "თუმცა, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თურქებსა და ამერიკელებს შორის არსებული პრობლემა ორ მთავრობას შორისა არაა, არამედ ამ ორი ქვეყნის სამხედროებს შორის", - აღნიშნა პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰენრი ბერკიმ.

"ამერიკის მთავრობა ერაყის ომის დროს და შემდეგ თურქი სამხედროების ქცევით არის განაწყენებული", - დასძინა მან.

ამერიკელი გენერლების ვიზიტის დროს, სავარაუდოდ, თურქეთსა და ამერიკელებს შორის მომხდარი უკანასკნელი ინციდენტი განიხილეს, რომელმაც ვითარება უკიდურესად დაძაბა. ივლისის დასაწყისში ჩრდილოეთ ერაყის ქალაქ სულეიმანიაში ამერიკელმა სამხედროებმა 11 თურქი სამხედრო დააკავეს და რამდენიმე დღიანი პატიმრობის შემდეგ ანკარას გადასცეს.

თურქი სამხედროების დაკავება თურქულმა მედიამ და სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე მემარცხენე და მემარჯვენე პარტიებმა გააკრიტიკეს. თურქების თქმით, მათ ჯარისკაცებს "ალქაიდას ტერორისტებივით მოეპყრნენ", რაც საზოგადოებამ განსაკუთრებით დამამცირებლად აღიქვა, რადგან არმია თანამედროვე თურქული საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთ-ერთ ბურჯად ითვლება.

თურქეთის ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ დენიზ ბაიკალმა განაცხადა, რომ ამერიკელებმა "თურქებისა და მათი შეიარაღებული ძალების ღირსება შეურაცხყვეს".

აღსანიშნავია, რომ ამერიკელებს თურქი ჯარისკაცების დაკავების დასაბუთებული მიზეზები არ წარმოუდგენიათ. ამერიკელებმა მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ თურქ ჯარისკაცებს ერთ-ერთი ქალაქის ქურთი მერის მოკვლა ჰქონდათ განზრახული.

საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულა გულმა ორი დღის წინ ამერიკის თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის მიერ თურქეთის პრემიერ-მინისტრისათვის გამოგზავნილი წერილი საჯაროდ წაიკითხა, სადაც ერაყის ქალაქ სულეიმანიაში მომხდარი ინციდენტის გამო წუხილია გამოთქმული.

თუმცა, თურქული პრესის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რამსფელდის წერილმა თურქები არ დააკმაყოფილა. "თურქიშ დეილი ნიუზი" წერს, რომ თურქები ნათელ განმარტებებს ელოდნენ და არა უბრალო მობოდიშებას.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ამერიკელ გენერლებთან თურქები აუცილებლად განიხილავდნენ, არის ქურთების მუშათა პარტიის მოღვაწეობის აღკვეთა ერაყში. გულმა არაერთხელ მიანიშნა ამერიკელებს, რომ თურქეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყვანს საკუთარ ჯარს ჩრდილოეთ ერაყიდან, თუ რეგიონი ამ სეპარატისტული ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან გაიწმინდება.

ამ საკითხს რამდენიმე დღის წინ დონალდ რამსფელდიც გამოეხმაურა თურქულ გაზეთ "ჰარიეთში" გამოქვეყნებულ სტატიაში. რამსფელდმა თავის სტატიაში აღნიშნა, რომ აშშ ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიის თურქეთზე თავდასასხმელ ბაზად გადაქცევას არ დაუშვებს.

ამერიკელები ცდილობენ, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აბდულა გულის ვაშინგტონში ვიზიტის წინ პოზიციები მაქსიმალურად შეაჯერონ. აბდულა გული შეერთებულ შტატებს 24 ივლისს ესტუმრება და, სავარაუდოდ, ორ მოკავშირეს შორის მომავალი ურთიერთობების საბოლოო კონტურები გამოიკვეთება.

# ჩრდილოკორეული საფრთხე სერიოზულია



ელბარადეი: "ჩრდილოეთ კორეაში არსებული ვითარება კრიტიკულია".

საინფორმაციო სააგენტო "როიტერმა" სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ფხენიანმა იაპონიის მიმართულებით დამატებითი ბომბები განალაგა. აღნიშნულმა ცნობამ, შორეულ აღმოსავლეთში არსებული ვითარება კიდევ უფრო დაძაბა.

ამავდროულად, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დირექტორის მოჰამად ელბარადეის თქმით, ის ძალიან შეშფოთებულია ინფორმაციით, რომ ფხენიანმა ატომური ბომბებისათვის პლუტონიუმის ახალი პარტია დაამზადა.

ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ იმდენი პლუტონიუმი აქვს, რომ ატომური ბომბების დიდი რაოდენობის დასამზადებლად ეყოფა.

გუშინვე ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ტაი პინკუო ვაშინგტონში სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელს, ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინისა და პრეზიდენტის მრჩეველს უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისს შეხვდა.

ტაი ამერიკელებს კორეის ნახევარკუნძულზე შექმნილ მდგომარეობაზე ესაუბრა. ჩინეთს სურს, რომ პეკინში მოლაპარაკებების მეორე რაუნდი გაიმართოს, სადაც ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა და ამერიკა მიიღებენ მონაწილეობას. ვაშინგტონს კი მოლაპარაკებებში თავისი მოკავშირეების სამხრეთ კორეისა და იაპონიის მონაწილეობაც სურს.

ადრე ამერიკელები ამბობდნენ, რომ ჩრდილოეთ კორეა, შესაძლოა, საკუთარი ბირთვული პროგრამების შესახებ განზრახ ცრუობდა, რათა ამერიკელები მეტ დათმობაზე დაეთანხმებინა.

"ჩემი აზრით, ჩრდილოეთ კორეაში არსებული ვითარება ამჟამად ყველაზე კრიტიკულია და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმს ყველაზე სერიოზულ საფრთხეს სწორედ ფხენიანი უქმნის", - განაცხადა ელბარადეიმ. "მე გულწრფელად მჯერა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ჩრდილოეთ კორეას საერთაშორისო წესების დაცვას აიძულებს".

# სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე შეტაკებები გრძელდება

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 17 ივლისს სომხეთის შეიარაღებული ძალების დანაყოფებმა ნახიჭევანში დასახლებულ პუქტ ბარსრუნის მახლობლად აზერბაიჯანულ არმიაზე იერიში მიიტანეს. აზერბაიჯანის თავდაცვის უწყების ინფორმაციით, ინტენსიური შემოტევა აზერბაიჯანის არმიამ უკუაგდო და მოწინააღმდეგეს მძიმე დანაკარგები მიაყენა. თუმცა, რა სახის ზიანი მიადგა სომხურ მხარეს, არ დაუკონკრეტებიათ.

აზერბაიჯანის მხრიდან ერთი ჯარისკაცი ჯაფარ ადილ ოღლი დაიღუპა და ნაგიევ ელჩინ იასინ ოღლი დაიჭრა.

მეორე ღამეს შეტაკებები განახლდა, თუმცა, მსხვერპლის შესახებ არანაირი ცნობები არ არის.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში აზერბაიჯანული მხარე რეგულარულად აცხადებს, რომ ყარაბაღის მიმდებარე რაიონებში შეტაკებები მიმდინარეობს. თუმცა, სომხური მხარე აზერბაიჯანთან შეტაკებებს არ ადასტურებს. ერთი კვირის წინ სომხეთის თავდაცვის სამინისტრომ სასაზღვრო ინციდენტები კატეგორიულად უარყო.

# ტონი ბლერის შორეულაღმოსავლური ტურნე გრძელდება


ტონი ბლერი და ძუნიჩირო კოიძუმი

ლევან ღირსიაშვილი

შორეულ აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის ტურნე დაიწყო. მისი პირველი მასპინძელი ქვეყანა იაპონია იქნება, სადაც ბატონი ბლერი ფუძიამას ძირში მდებარე საკურორტო ქალაქში იაპონიის პრემიერ-მინისტრ ძუნიტირო კოიძუმის შეხვდება. ცნობილია, რომ მათ შორის გამართული მოლაპარაკებათა უმთავრესი თემა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული შეიარაღების გარშემო შექმნილი კრიზისი იქნება. ისინი ასევე დეტალურად განიხილავენ ერაყის აღდგენის და რეკონსტრუქციის საქმეში იაპონის შესაძლო მონაწილეობას.

გუშინ დილითვე, ტონი ბლერმა შეხვედრა გამართა იაპონიის სამას უმსხვილეს ბიზნესმენთან. მან ყველასათვის გასაგებად განაცხადა, რომ ევროზონაში დიდი ბრიტანეთის გასაწევრიანებლად ის აქტიურად იმუშავებს. **"მთავარია, ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაფერი ნორმალურად წარიმართოს. აი, სწორედ მაშინ, ჩვენ გამოვალთ რეკომენდაციით, რათა შევუერთდეთ ევროზონას. მანამდე კი, ჩვენ ვიმუშავებთ ამ პროცესის ეკონომიკური ნაწილისათვის,"-** განაცხადა ბრიტანეთის ლიდერმა. მისი თქმით, ევროზონაში შესვლას მოსამზადებელი პერიოდი სჭირდება. სააგენტო "ბიბისის" ცნობით, იაპონელ ბიზნესმენებს ბლერის ეს განცხადება საკმაოდ მოეწონათ. საქმე იმაშია, რომ დიდი ბრიტანეთი იაპონიის ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. შესაბამისად, ტოკიო მოწადინებულია, რომ თავის საქონლის საფასურად მან მიიღოს არა გირვანქა სტერლინგი, არამედ ევრო, რაც ხელს შეუწყობს მისი ვალუტის კურსის დაცვას.

როგორც ცნობილია, ტონი ბლერი იაპონიაში ვაშინგტონიდან ჩაფრინდა, სადაც ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს შეხვდა და კონგრესში სიტყვითაც გამოვიდა. ამერიკელი კანონმდებლების წინაშე გამოსვლისას, მან ყველასათვის გასაოცარი განცხადება გააკეთა. კერძოდ, ტონი ბლერმა აღნიშნა, რომ შესაძლოა ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი ნაპოვნი ვერ იქნეს, მაგრამ ისტორია აშშ-ის და დიდ ბრიტანეთს აპატიებს სამხედრო კამპანიის დაწყებას ერაყის ყოფილი რეჟიმის წინააღმდეგ. ამის თაობაზე, სააგენტო "ბიბისი" იუწყება. **"იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ არ ვიყავით მართლები, ჩვენ მსოფლიო გადავარჩინეთ საფრთხისაგან, ვიხსენით რეჟიმისაგან, რომელსაც საკუთარი მოქალაქეების მიმართ არაადამიანური მოპყრობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება,"-** განაცხადა ტონი ბლერმა.

ტონი ბლერის შორეულაღმოსავლური ტურნე პირველ რიგში ჩრდილოეთ კორეის გარშემო შექმნილი კრიზისის განმუხტვას მიეძღვნება. როგორც ცნობილია, ლონდონი და ვაშინგტონი ამ საკითხშიც ერთიან პოზიციაზე დგანან და თვლიან, რომ ოფიციალური ფხენიანი თავისი მოქმედებით მსოფლიოსათვის ისეთივე საფრთხეს წარმოადგენს, როგორც რამდენიმე თვის წინათ სადამ ჰუსეინი იყო.

ბრიტანეთს და აშშ-ის აბსოლუტურად ეთანხმება ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური დირექტორის მოჰამედ ელ-ბარადეიც. მან ფხენიანის რეჟიმი საერთაშორისო სისტემისათვის უდიდეს საფრთხედ შეაფასა და შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩრდილოეთ კორეა აქტიურად ამუშავებს ბირთვულ საწვავს. როგორც ცნობილია, ამას თავად ჩრდილოეთ კორეაც არ უარყოფს. კიმ ჩენ ირის რეჟიმის წარმომადგენელმა რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად დაადასტურა, რომ მის ქვეყანას უკვე გააჩნია საკმარისი რაოდენობის პლუტონიუმი ბირთვული იარაღის შესაქმნელად. ამდენად, ტონი ბლერის შორეულ აღმოსავლურ ტურნეს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ტონი ბლერი სამხრეთ კორეასაც ეწვევა, საიდანაც ჩინეთში გაემგზავრება. ტურნეს დასასრულს, ტონი ბლერი ჰონგ-კონგსაც ეწვევა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი საგარეო მიღწევების ხარჯზე ცდილობს იმ კრიზისის განმუხტვას, რომელმაც გუშინწინ უკვე სერიოზული სახე მიილო და ბლერის მთავრობას რეალურად დაემუქრა. როგორც ცნობილია, გუშინწინ, დიდი ბრიტანეთის პოლიციამ თავდაცვის სამინისტროს გაუჩინარებული ექსპერტი დევიდ კელი ტყეში დაუდგენელ ვითარებაში მკვდარი იპოვა. სწორედ დევიდ კელი იყო ის მაღალჩინოსანი, რომელმაც სააგენტო "ბიბისის" ერაყის დოსიეს გაყალბების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. კელის სიკვდილის შესახებ ბლერმა თავის ტურნეს მსვლელობის დროს შეიტყო და როგორც ტელეკომპანია "სკაის" თვითმხილველი ჟურნალისტი იტყობინება "შოკში ჩავარდა." ბლერმა კარგად იცის თუ რას ნიშნავს ეს. ამდენად, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი საგარეო მიღწევებით ცდილობს თავისი საშინაო კრიზისის კომპენსირებას. აპატიებს თუ არა ამ შეცდომას ტონი ბლერს ისტორია, არავინ იცის. ერთი რამე კი აქედანვე ცხადია, რომ შორეულ აღმოსავლური ტურნედან დაბრუნებულ პრემიერს ბევრ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა.

# ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტმა სტარტი აიღო

ლევან ღირსიაშვილი

ევროპული კონვენციის პრეზიდენტმა ვალერი ჟისკარ დ`ესტენმა იტალიის პრემიერ-მინისტრს და ამჟამად ევროკავშირის თავმჯდომარეს სილვიო ბერლუსკონის ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტი გადასცა. უკვე ა.წ. ოქტომბრიდან ევროკავშირის თხუთმეტი წევრი სახელმწიფოს და კანდიდატი ქვეყნების ლიდერები ამ დოკუმენტის დეტალურ განხილვას შეუდგებიან. სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ ის კონსტიტუციის თაობაზე მოლაპარაკებების დასრულებას დეკემბრის ბოლოსათვის გეგმავს ანუ, როდესაც იტალიას ევროკავშირის თავმჯდომარეობის ექვსთვიანი ვადა ამოეწურება. თავის მხრივ, ვალერი ჟისკარ დ`ესტენმა განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა თუ კონსტიტუციის დასამტკიცებელ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თარიღად 2004 წლის 9 მაისი განისაზღვრებოდა.

როგორც ცნობილია, ევროკავშირის კონსტიტუცია მიზნად ისახავს გაერთიანების მმართველი სტრუქტურების გამარტივებას და გადაწყვეტილების მიღების იოლი მექანიზმის ჩამოყალიბებას, რადგან მას შემდეგ რაც მომავალი წლის მაისიდან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა რიცხვი ოცდახუთამდე გაიზრდება, გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ გართულდება. ამიტომ ევროკავშირის ლიდერები ცდილობენ, რომ ეს პროცესი საკმაოდ გაიოლებული იყოს.

კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა ერთი წელი და ოთხი თვე გაგრძელდა. ჟისკარ დ`ესტენი ევროკავშირის ხელმძღვანელობას სთხოვს, რომ პროექტში შეძლებისდაგვარად არაფერი მნიშვნელოვანი არ შეიცვალოს. თუმცა, პროექტში რამდენიმე "ხვრელი" მაინც არსებობს, რომლებიც, შესაძლოა, გაერთიანების წევრებს შორის სერიოზული დავის საგანი გახდეს. რამდენიმე დღის წინ, დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელმა პიტერ ჰეინმა განაცხადა, რომ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი კვლავ ბევრ კითხვას ბადებს. ოფიციალური ლონდონი თვლის, რომ საგარეო საქმეები და უსაფრთხოება, ძველებურად უნდა დარჩეს ნაციონალური მთავრობების გადასაწყვეტ სფეროდ. ამ საკითხში ლონდონი საზოგადოებრივ და სოციოლოგიურ გამოკითხვებს იშველიებს. ეს მართლაც ასეა. აი რას წერს ამ საკითხთან დაკავშირებით გავლენიანი გამოცემა "ინტერნეიშენალ ჰერალდ ტრიბუნი": **"კონსტიტუცია არ წარმოადგენს რადიკალურ ნაბიჯს ევროპის შეერთებული შტატების შესაქმნელად. კონტინენტის მოსახლეობის უმრავლესობა უფრო მეტად გრძნობს თავის ნაციონალურ კუთვნილებას, ვიდრე ევროპულს. კავშირის დონეზე თანამშრომლობა გონივრული იქნება მხოლოდ ტექნიკურ საკითხებში: სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, ეკოლოგია, ვაჭრობა. ევროკავშირის მოქალაქეთა უმრავლესობა თვლის, რომ მათთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც მათ სახლს და საფულეს ეხება – ომში წასვლა, გადასახადების მომატება, მათთვის კარგად ნაცნობმა ნაციონალურმა მთავრობებმა უნდა გადაწყვიტონ და არა შორსმყოფმა და გართულებულმა ევროკავშირის სტრუქტურებმა."**

## ცრემლმორეული იან ულრიხი

ნინო პირველი

ტურ დე ფრანსის მეთორმეტე ტური დასასრულს უახლოვდება. ფინიში კაპ დე ჟუვეში ელის პელოტონს. ურთულესი ეტაპის გამარჯვებული იან ულრიხი ველოსიპედიდან ხტება და პირდაპირ თავის ძმას უვარდება მკლავებში. შტეფან ულრიხი "ბიანკის" მექანიკოსია და ტურ დე ფრანსის 1997 წლის ტრიუმფატორის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. გერმანელი ველომრბოლელი უსაზღვროდ ბედნიერია. მან მთელი 1 წუთითა და 36 წამით აჯობა ყვითელი მაისურის გამოყოფრილ ლანს არმსტრონგს. ამერიკელი ჩემპიონი გერმანელს ახლა მხოლოდ 34 წამით უსწრებს საერთო ჩათვლაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გასულ სეზონში დოპინგ-კონტროლზე ჩავარდნილ და მთელი წლით დისკვალიფიცირებულ იან ულრიხს ტურ დე ფრანსის მოგების შესანიშნავი შანსი მიეცა.

"მე ძალაგამოცლილი და დაღლილი ვარ, მაგრამ ამავე დროს საოცრად ბედნიერი. ტკივილს აღარაფერს ვგრძნობ. მომავალ რბოლაზე ჯერ არ ვფიქრობ, დღევანდელი გამარჯვებით ვტკბები. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ არმსტრონგს ასე ჩამოვიტოვებდი უკან. არც იმის მჯეროდა, რომ ტურის მოგება შემეძლო. ეს შესანიშნავი გრძნობაა", - თქვა ულრიხმა მეთორმეტე ეტაპის მოგების შემდეგ.

ბედნიერ გამარჯვებულს ცრემლები ახრჩობდა, თითქმის ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ გერმანულმა "ბილდმა" მაინც მოახერხა მისგან ინტერვიუს აღება:

**- როგორი იყო თქვენი ტაქტიკა?**

- მე თავიდანვე მთელი ძალით და შემართებით მივდიოდი, თავის დაზოგვა არც მიფიქრია. ბოლოს უკვე საშინლად დაღლილი ვიყავი.

**- იცოდით, რომ არმსტრონგს ასე ძალიან უსწრებდით?**

- დიახ, ვიცოდი, რომ არმსტრონგზე წინ ვიყავი. რა თქმა უნდა, ამან კიდევ უფრო დიდი სტიმული მომცა.

**- როგორ გრძნობდით თავს, როცა გაიგეთ, რომ წუთით და 36 წამით ჩამოიტოვეთ უახლოესი მეტოქე?**

- შესანიშნავად გრძნობა. ისე მიხარია, ლამის ავტირდე. დღეს ბოლომდე უნდა დავტკბე ამ გამარჯვებით.

**- როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ ტურის მოგება?**

- მართალი გითხრათ, ერთწლიანი პაუზის შემდეგ ამის იმედი არ მქონდა. აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ მონაწილეობა მიმეღო ტურში და ფორმა აღმედგინა. მაგრამ ახლა უკვე ყველაფერი შესაძლებელია.

**- რას ელით არმსტრონგისგან პირენეებში?**

- ჩემი აზრით, ის შეტევაზე უნდა გადავიდეს. ის ახლა მხოლოდ 34 წამითღა მისწრებს. დიდი ხანია, მას ასეთი მცირე უპირატესობა აღარ ჰქონია.

თავად არმსტრონგი ამ წარუმატებლობას მშვიდად შეხვდა და განაცხადა: "იანმა შესანიშნავი დრო აჩვენა. მე მას მუდამ ვთვლიდი ჩემს ყველაზე სახიფათო მეტოქედ. ფავორიტთა შორის ახლა მას ტურის მოგების ყველაზე დიდი შანსი აქვს."

Tour de France

# მე ის ლანსი აღარა ვარ

ირაკლი ბერიაშვილი

თუ არ მეშლება, "პალასში" უნდა ვიყო. კარგა ხანია, ეგრე არ გამმართლებია. როცა ადამიანებს მშვიდად და სერიოზულად ვეუბნები, ასე და ასე იქნება, ჩემი აზრით, ასე მოხდება-მეთქი, ეღიმებათ და ამბობენ, რომ ჩემი ნათქვამი ხუმრობა ჰგონიათ.

სახუმარო ნამდვილად არაფერია. მას შემდეგ, რაც შანსი გაჩნდა, ტურ დე ფრანსს ტელევიზიით ვუყურო, ამგვარი ინტრიგა ერთადერთხელ იყო - 1998 წელს, ულრიხისა და პანტანის დაპირისპირებისას. მერე მოვიდა წყალწყალადაუფლება და გაცრეცილსახიანი ამერიკელი. ტური კი ეწყობოდა ყოველ წელიწადს, მაგრამ ცეცხლი იქ აღარ ენთო. ეს მარტო არმსტრონგის ბრალი არ იყო, ამ საოცარი შეჯიბრების გაფერმკრთალებაში გერმანელ იან ულრიხსაც მიუძღოდა წვლილი. მას შემდეგ, რაც ოცდაოთხი წლისა ტურის ჩემპიონი გახდა, როგორღაც სხვათა შორის დადიოდა თავის ტრეკზე და პროფესიონალ კ. არა, ჩემპიონობის თავში არ ავარდნია, უფრო პირიქით, არაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ თავისი ამ არაორდინარული მდგომარეობისთვის ფასი და მნიშვნელობა შეეძინა. ერთი სიტყვით, ამ სხვათა შორის დამოკიდებულებას ჯერ წვრილმანი ტრავმები, მერე კი სპორტული ფორმისა და საბოლოოდ შედეგების დაკარგვაც მოჰყვა. კრიზისმა ყველაზე მაღალ წერტილს შარშან მიაღწია. მორიგ ტრავმას ავტომობილით თავაწყვეტილი ქროლვა და ღამის ბარებში დროსტარება მოჰყვა – სადმე ხომ უნდა ჩაეკლა ბოღმა! მთელ ამ ამბავში მხოლოდ ერთი რამ ვერ გავიგე: ვის ან რაში დასჭირდა ტესტირება სპორტსმენისა, რომელიც, ალბათ, კარგა ხნით არც ერთ შეჯიბრებაში გამოსვლას არ აპირებდა. ტესტმა სისხლში აკრძალული პრეპარატის არსებობა აჩვენა და ტურ დე ფრანსის, ვუელტასა და ოლიმპიური თამაშების ყოფილ ჩემპიონს ექვსთვიანი იძულებითი დასვენება ანუ დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. და, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, იმის მაგივრად, "ტელეკომის" ხელმძღვანელობას საკუთარი სპორტსმენისთვის მხარი დაეჭირა, მუნდირის ღირსების დასაცავად იქით დასდო ბრალი. გულნატკენსა და გულგატეხილ ულრიხს ისღა დარჩენოდა, სხვა გუნდი ეძებნა. ამ ძებნაში, გაურკვევლობასა და უვარჯიშობაში გავიდა ზამთარი. როგორც იქნა, გუნდიც გამოჩნდა, გაზაფხულიც დადგა და ტურის კონტურებიც გამოიკვეთა ჰორიზონტზე, სადაც ყველასა და ყველაფერს ერთადერთი კაცი - ლანს არმსტრონგი ფარავდა. კაცი, რომელმაც თავის მიზნებს დაუმორჩილა ყველა და ყველაფერი, კაცი, რომელმაც ოთხჯერ მოასწრო ტურის მოგება და წლეულს მეხუთე გამარჯვებითა და დიდი ოთხეულის გვერდში დადგომის შემდეგაც კვლავ გამარჯვებასა და ყველა დროის საუკეთესო ველომრბოლის სახელის დაუფლებაზე ფიქრობდა. ამერიკელის ნებისმიერ საქციელსა თუ სიტყვა-პასუხში აშკარად იგრძნობოდა საკუთარი დაუმარცხებლობის როგორღაც ბრიყვული რწმენა. რა თქმა უნდა, არმსტრონგი დიდი სპორტსმენია, მაგრამ ტალანტით, მე თუ მკითხავს ვინმე, ულრიხთან ნამდვილად ვერ მოვა. თუმცა, ეს ყველაფერი მაინც წყლის ნაყვაა, მთავარი ხომ საქმეა. საქმეს კი ამ წლების მანძილზე ლანსი უკეთ აკეთებდა.

მაგრამ, როგორც ერთ-ერთ წინა წერილში ვთქვი, ყველაფერს აქვს თავისი თავიცა და ბოლოც. ადრე თუ გვიან, ყველაფერი მთავრდება. სხვათა შორის, ისიც ვთქვი, რომ საამისო ნიშნები, შესაძლოა, აშკარად არა, მაგრამ უკვე გამოჩნდა. ალპების სამ მთიან ეტაპზე არმსტრონგს სერიოზული მარცხი არ განუცდია, თუმცა, წინა წლებთან შედარებით გაცილებით უარესად გამოიყურებოდა. ისიც ვთქვით, რომ შეიძლებოდა, ამის მიზეზი ვარჯიშის მეთოდის შეცვლა ყოფილიყო. ლოგიკურად მეჩვენება, რომ, შარშან, ინდივიდუალურ რბოლაში, კოლუმბიელი ბოტეროსგან გაწნულმა სილამ არმსტრონგი აიძულა, მეტი ყურადღება მიექცია სწორედ ინდივიდუალური რბოლისთვის. ცხადია, ამან, შესამჩნევად არა, მაგრამ მაინც დააზარალა ჩემპიონის სამთო შესაძლებლობები. ამ ვარაუდის დადასტურება ან უარყოფა სწორედ ინდივიდუალურ რბოლას შეეძლო.

ახლა, რადგან უკვე ცნობილია მისი შედეგები, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ: არმსტრონგი ის აღარ არის, რაც იყო. ვერც ამ სახეობაში შეძლო ის, რასაც ადრე ახერხებდა. სულ 30 წამი მოუგო ვინოკუროვს და დაახლოებით წუთი - ჰამილტონს. მაგრამ ეტაპზე ულრიხის გამარჯვება მარტო ამით არ აიხსნება, რადგან აღარც ულრიხია ის დაბნეული ულრიხი, ბოლო წლებში მხოლოდ მცირედით, ესე იგი, მეორე ადგილით რომ კმაყოფილდებოდა. თავის უშუალო მეტოქეებს, ვინოკუროვსა და ჰამილტონს, პირველს ორი, მეორეს კი სამი წუთი მოუგო და, რაც მთავარია, ოთხგზის ჩემპიონს მთელი წუთნახევარი ააფცქვნა. არმსტრონგმა მაინც შეინარჩუნა ყვითელი მაისურა, მაგრამ ახლა იმ ოცდაათიოდე წამის განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს.

ეტაპზე გამარჯვებული იან ულრიხი შემაღლებულ ადგილას იდგა და ღიმილით იღებდა მილოცვებს. თუ არ ვცდები, ბოლო ხუთი წლის მანძილზე გერმანელი პირველად იღიმებოდა.

მართალია, ისევ ისეთი, როგორღაც ბიჭური იყო ეს ღიმილი, მაგრამ გაცინებულ თვალებში რაღაც ახალიც ჩანდა.

დიქტატორს ტახტზე მოცილე გამოუჩნდა. დარჩენილ ოთხ მთიან ეტაპზე სასტიკი ბრძოლებია მოსალოდნელი. მე კი, თქვენი მონა-მორჩილი, ობიექტურობანას თამაშს არ დავიწყებ და ალალად ვიტყვი - ფსონს ულრიხზე ჩავდივარ.



იან ულრიხი

REUTERS

**ტექნიკური შედეგები**

**XII ეტაპი. გელაკ - დეკუვერი. ინდივიდუალური რბოლა. 47 კმ.**

| | |
|---|---|
| 1. იან ულრიხი (ბიანკი, გერმანია) | 58 წთ. 32 წმ. |
| 2. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი) | +1 წთ. 36 წმ. |
| 3. ალექსანდრ ვინოკუროვი (ტელეკომი, ყაზახეთი) | +2 წთ. 06 წმ. |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| ლანს არმსტრონგი | 50 სთ. 16 წთ. 45 წმ. |
| იან ულრიხი | +34 წმ. |
| ალექსანდრ ვინოკუროვი | +51 წმ. |
| ტაილერ ჰამილტონი (CSC, აშშ) | +2 წთ. 59 წმ. |
| აიმარ სუბელდია (ეუსკალტელი, ესპანეთი) | +4 წთ. 29 წმ. |
| იბან მაიო (ეუსკალტელი, ესპანეთი) | +4 წთ. 29 წმ. |

რაგბი

## დღეს ფინალია - ყველანი სტადიონზე!



შარშანდელ ფინალში "დათვებს" "ლელო" შეერკინა

გოჩიტა ბახსაძის ფოტო

დღეს რაგბიში საქართველოს თასის მფლობელი გაირკვევა. ფინალურ მატჩში "ლოკომოტივი"-"დათვების" პაექრობით წლევანდელი სარაგბო სეზონის პირველი ნახევარი მთავრდება. ამის მერე გუნდები ცოტას დაისვენებენ და შემდეგ უკვე ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს შეეცილებიან ერთმანეთს.

ამ გუნდების ფინალს ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე წინასწარმეტყველებდნენ, პირველი თამაშების შემდეგ კი უკვე დარწმუნებულები იყვნენ - "დათვები" და "ლოკომოტივი" სხვებზე მთელი თავით მაღლა დგანან. ჯგუფური ეტაპი ორივემ უდანაკარგოდ დაძლია, "ლოკომოტივი" კი სულაც ერთადერთი გუნდია, რომელმაც დღემდე ყველა მატჩი მოიგო. რკინიგზელები კიდევ გატანილი ლელოებით და ქულებით ჯობნიან ზღვისპირელებს. "ლოკომოტივმა" 49-ჯერ დაალელოვა მეტოქე, "დათვებმა" - 21-ჯერ. რაც შეეხება ქულებს, დღემდე რკინიგზელთა მონაგარი 337 ქულაა, მეტოქისა - 208.

სტატისტიკის მიხედვით გარკვეული უპირატესობა "ლოკომოტივის" მხარესაა, მაგრამ ვის მოუბრუნდება ენა, ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი მატჩში ფავორიტად არ დაასახელოს. თანაც, ბათუმელთა რიგებში ხომ კახა მაჩიტიძე თამაშობს, თასის გათამაშების საუკეთესო მექულე და, საერთოდაც, დღევანდელი ქართული რაგბის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა. ბათუმელთა მიერ მოპოვებული 208 ქულიდან 95 მის ანგარიშზეა, მატჩებსაც ხომ ბათუმელები უმეტესად მისი კარგი თამაშით იგებენ. ამ მხრივ "ლოკომოტივში" საუკეთესოა კახა კობახიძე (58 ქულით).

ყოველგვარ სტატისტიკას შევეშვათ და ვთქვათ, რომ დღეს რაგბის მოყვარულს ორი თანაბარძალოვანი გუნდის პაექრობა და კარგი სანახაობა ელის. თასის ფინალს ხიბლს ისიც მატებს, რომ მატჩი "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება და გულშემატკივარს უფასოდ შეეძლება მისი ნახვა - ასეთი საჩუქარი მოუმზადა რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ რაგბის მოყვარულთ. მოკლედ, დღეს ფინალია და ყველანი სტადიონზე!

TV-სპორტი

**კვირა. 20 ივლისი**

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 რუსეთის ჩემპიონატი. "ზენიტი" - "კრილია სოვეტოვი"
15:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ბოავიშტა" - "ბორუსია"
16:40 "საფეხბურთო სამზარეულო"
17:10 "FUTBOL MUNDIAL"
17:40 "დარტყმა გოლისთვის"
17:55 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. მეორე წრე. სლოვენია - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:55 რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "როსტოვი". პირდაპირი ტრანსლაცია
21:55 თავისუფალი დარტყმა
22:10 სახვალიო ტელეპროგრამა
22:20 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
22:55 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ვიტორია" - "სან პაულუ". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**

11:00, 14:40, 17:40, 20:30 პრეს-ცენტრი
11:15, 20:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 "პოსტსკრიპტუმი"
12:45 "დიდი რინგი"
14:55 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. პლეი-ოფი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 კალათბურთი. WNBA ჩემპიონატი
17:55 წყალში ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ტრამპლინი 3მ. სინქრონული ხტომები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:45 "ნადირობის სეზონი"
19:25 წყალში ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. კოშკურა 10მ. სინქრონული ხტომები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
22:50 "საჭადრაკო მიმოხილვა"
23:20 როდეო. "BULL RIDERS"
00:10 "პოსტსკრიპტუმი"
01:10 ახალი ამბები
01:25 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. პლეი-ოფი

**EUROSPORT**

11:30 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
12:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
13:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
14:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
20:30 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
21:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
23:00 ფეხბურთი. იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი ლიხტენშტაინში
00:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
01:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
02:30 ახალი ამბები
02:45 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი ბელგიაში
03:45 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# საფეხბურთო რომანი

პაატა თოთაძე

მეპატრონის შეცვლით გამდიდრებული ლონდონის "ჩელსი" საუკეთესო ფეხბურთელთა ხელში ჩასაგდებად სატრანსფერო ბაზარზე აგრესიულ ქმედებებს განაგრძობს. დღე არ გავა, ბრიტანულმა პრესამ "ლურჯების" მიერ ამა თუ იმ ფეხბურთელის მიმართ დაინტერესების შესახებ არ დაწეროს, თუმცა, რეალურად დღემდე კლაუდიო რანიერის განკარგულებაში მხოლოდ ორი ახალი ფეხბურთელია - "ვესტ ჰემის" ახალგაზრდა მცველი გლენ ჯონსონი, რომელიც აბრამოვიჩმა 6 მილიონ გირვანქად იყიდა და მადრიდის "რეალიდან" 6,9 მილიონ გირვანქად გადმობირებული ჯერემი.

ახალი სეზონის დაწყებამდე ერთი თვე რჩება. ლონდონელთა ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ამ ხნის მანძილზე შემადგენლობას მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

### აბრამოვიჩის სია

ინფორმაცია "ჩელსის" მიერ ამა თუ იმ მოთამაშის მიმართ დაინტერესების შესახებ დღითი დღე მატულობს. "აბრამოვიჩის სიაში" ისეთი ფეხბურთელების გვარებია, როგორებიც არიან ვიერი, რივალდო, შევჩენკო, ჯერარდი, დავიდსი, ანრი და სხვები. ამ ფეხბურთელთა კლუბებმა რუს ოლიგარქს მოთამაშეთა გაყიდვაზე ჯერჯერობით უარი შეუთვალეს.

რომან აბრამოვიჩის ოცნება, გადააქციოს "ჩელსი" "რეალის" ანალოგ ვარსკვლავთკლუბად, ოცნებად რჩება.

წინააღმდეგობების მიუხედავად, "ჩელსი" უკან არ იხევს. ევროპულ ფეხბურთში მომძლავრებული ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ კლუბების ნაწილი მზად იქნება, აბრამოვიჩის წინადადება განიხილოს და ზოგიერთი მათგანი საბოლოოდ მაინც დათანხმდება რომელიმე ფეხბურთელის გაყიდვას. მიზნის მისაღწევად აბრამოვიჩის შემართებას მშვენივრად ახასიათებს ის ბრძოლა, რომელიც ირლანდიელი ნახევარმცველის დამიენ დაფის გარშემო ატყდა. აბრამოვიჩი უკვე სამჯერ შეეცადა დაფის ხელში ჩაგდებას ჯერ 13, შემდეგ კი 15 და 16 მილიონ გირვანქად, მაგრამ ირლანდიელის კლუბ "ბლექბერნისგან" სამჯერვე უარი მიიღო. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი... "17 მილიონი გირვანქა ის თანხაა, რომელზე უარის თქმაც ჩვენი მხრიდან შეცდომა იქნება", - "ბლექბერნის" წარმომადგენლის ეს სიტყვები, რომელიც "The Sun"-მა გამოაქვეყნა, საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ, რომ კლუბი დათანხმდა დაფის გაყიდვას. ასეთი ინფორმაციის მიუხედავად, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დაფი მომავალ სეზონს "ლურჯებში" დაიწყებს. ალექს ფერგიუსონს არასდროს დაუმალავს თავისი სიმპათიები ირლანდიელის მიმართ და, არაა გამორიცხული, "ჩელსისთვის" მისი წართმევა მოინდომოს. ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან "მანჩესტერს" ფეხბურთელის ხელში ჩაგდება მომავალ წელს და გაცილებით ნაკლებ თანხად სურდა, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ "წითელი ეშმაკების" სურვილი მხედველობაში არ მიიღოს. ბოლოს და ბოლოს, "მანჩესტერი" ის გუნდი არაა, დამატებით ხუთი მილიონი გირვანქა ვერ გაიღოს ძალიან სასურველი ფეხბურთელის შესაძენად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თავად დაფის "ჩელსიზე" მეტად "მანჩესტერში" გადასვლა ხიბლავს. არც ის ვარიანტია გამორიცხული, კლუბებს შორის რაიმე დიდი გარიგება შედგეს. გავრცელებული ინფორმაციით, ცოტა ხნის წინ აბრამოვიჩმა "მანჩესტერი" ვერონის გაყიდვაზე დაითანხმა, მაგრამ, ყველას გასაოცრად, ლონდონელთა თავკაცმა კლაუდიო რანიერიმ ვერონზე უარი თქვა, უფრო სწორად, დროებით თქვა უარი, - კარგად უნდა მოვიფიქრო, ვერონი რაში გამომადგებაო. მწვრთნელის ორი დღის წინანდელმა განცხადებამ კი, "მანჩესტერში" ჩემთვის საინტერესო ბევრი ფეხბურთელი თამაშობსო, ახალი ჭორების წარმოშობას შეუწყო ხელი.

### სერიოზული რომანი

რუსი ოლიგარქი არც სხვა ბრძოლაში აპირებს უკან დახევას. "საუთჰემპტონმა" ერთხელ უკვე მოასწრო "ჩელსისთვის" უარი ეთქვა 5 მილიონ გირვანქად ახალგაზრდა მცველის უეინ ბრიჯის მიყიდვაზე. მეორე დღეს "საუთჰემპტონისთვის" გადასახდელი თანხა გაიზარდა 2 მილიონით, რაც, ინგლისელთა თქმით, საკმარისი იქნება, რათა ბრიჯმა კლუბი შეიცვალოს.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელსაც მომავალი სეზონიდან "ჩელსიში" თამაში "ემუქრება", ესპანეთის "დეპორტივოს" ჰოლანდიელი ფორვარდი როი მაკაია. ცოტა ხნის წინ თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ მაკაი მიუნხენის "ბაიერნში" გააგრძელებდა კარიერას, მაგრამ აბრამოვიჩის გადაწყვეტილებამ, ესპანელებისთვის ფეხბურთელის სანაცვლოდ გერმანელებზე 1,7 მილიონი გირვანქით მეტი გადაეხადა, ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

როგორც უნდა დასრულდეს აბრამოვიჩის სატრანსფერო შეტევა, ერთი რამ უკვე ნათელია: მეპატრონის შეცვლით ლონდონელთა აქციები გაიზარდა და "ჩელსიმაც", როგორც მომავალ სეზონში პრემიერლიგის მოგების ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა, ბრიტანული პრესა აალაპარაკა.

მას შემდეგ, რაც აბრამოვიჩმა "ჩელსი" იყიდა, ბევრი გამოთქვამდა ეჭვს, რომ კლუბი მისთვის მორიგი სათამაშო იქნებოდა, მაგრამ ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ოლიგარქს ფეხბურთთან სერიოზული და, ჩანს, ხანგრძლივი რომანი ექნება.

საწყლოსნო სპორტი

X FINA World Championships

# დიდიც და პატარაც წყალს იყოფენ

გიგა გურასაშვილი

ბარსელონაში მიმდინარე საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატის მთავარ ინტრიგამდე - მოცურავეთა ასპარეზობებამდე, მოპოვებული მედლების რაოდენობამ საუკეთესო სამეულში ქვეყანათა ადგილმდებარეობა შეცვალა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოდგა ჩემპიონატის მეხუთე დღე. მართალია, საუკეთესო სამეულს კვლავაც რუსეთი უდგას სათავეში, მაგრამ მეორე ადგილზე მყოფმა იტალიამ ჩინეთთან როქი გაითამაშა. აზიელთა დაწინაურება კი წყალში მხტომელი ვაჟების დამსახურებაა, რომლებმაც 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში პირველი-მეორე ადგილები დაიკავეს. მიუხედავად იმისა, რომ 3-მეტრიანი ტრამლინიდან ხტომები ბევრად პოპულარული და, ამასთან, სანახაობრივიცაა, ერთი რამ უდავოა: 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა ბევრად რთულია. ამიტომაც, ყველას, ვისაც კი შემდგომ რამე განსაკუთრებული მოძრაობის გაკეთება სურს, სწორედ ამ ტრამპლინს მიმართავენ. უფრო სწორად, სავარჯიშოდ 1-მეტრიანი ტრამპლინი მისწრებაა მათთვის, ვისაც, ვთქვათ, 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში წარმატების მიღწევა სურს. მიზეზი კი აუზის ზედაპირსა და სახტომელას შორის მცირე მანძილია, რაც გაცილებით მეტ ძალისხმევას საჭიროებს ჰაერში ბრუნის გასაკეთებლად. თუ წმინდა სპორტულ მხარეს (შედეგებს ვგულისხმობთ) გავითვალისწინებთ, აქ მაღალსა და მძიმე სპორტსმენს წარმატების ბევრად ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე მომცრო ტანისსა და, შესაბამისად, მსუბუქს. ჩინელები კი, მოგეხსენებათ, სკანდინაველებივით მაღლები არ არიან. აქედან გამომდინარე, 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ჩინელების წარმატება ლოგიკურიცაა. უჩვეულო, უფრო სწორად, სიურპრიზი ის იყო, რომ ოქროსა და ვერცხლის მედალოსან ჩინელებს - სიან სუს და კენან ვანს მესამე ადგილზე ფინელი იონა ფუჰაკა შეუამხანაგდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წყალობით ფინელი წყალში მხტომელები ამ დონის ასპარეზობის პირველ მედალს დაეუფლნენ.

რაკი ჩემპიონატის მეხუთე დღეზე ვსაუბრობთ, აქვე სინქრონულ ცურვაზეც ვთქვათ. სოლოში ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიო თასის გამარჯვებულმა, მშვენიერმა ფრანგმა ვირჟინ დედიემ, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და მსოფლიო ჩემპიონის საკადრისად იმოძრავა ბარსელონას წყალში. ამ წარმატებამდე, რუსების გადამკიდეს, ყოველთვის ერთი ნაბიჯი აკლდებოდა. პერტისა (1998 წ.) და ფუკუოკას (2002 წ.) მსოფლიო ჩემპიონატებზე, სოლო პროგრამაში, ორჯერვე მეორე ადგილით დაასრულა ასპარეზობა. ამჯერად დედიეს ჩვეული ადგილი რუსმა ანასტასია ერმაკოვამ დაიკავა, მესამე ადგილზე კი მასპინძელი გემა მენგუალია.

მდგომარეობა არც ჩემპიონატის მეექვსე დღეს შეცვლილა – რუსეთი, ჩინეთი, იტალია.

ჩინელებმა ამჯერად 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მიაღწიეს წარმატებას. წყალში მხტომელი ქალების საუკეთესო სამეული აქაც ერთბაშად ორმა ჩინელმა დაიკავა. ძინძინ კუო ჩემპიონია, მისმა თანამემამულე მინსია უმ კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მათ შორის ადგილი რუსმა იულია პახალინამ დაიკავა. რუსებმა ოქროს მედლები მოიპოვეს სინქრონულ ცურვაში. დუეტში ფინალური ასპარეზობისას აშკარა იყო, რომ პირველობა ანასტასია დავიდოვასა და ანასტასია ერმაკოვას დარჩებოდათ. ისინი მთელი თავით მაღლა იდგნენ დანარჩენებზე. მეტიც, მათი დუეტი ასე შეაფასეს: ერთ მხარეს იყო რუსეთი, მეორე მხარეს - დანარჩენი მსოფლიო. დანარჩენებში უახლოესი მდევრები იაპონელები და მასპინძლები - ესპანელები არიან.



ძინძინ კუოს საჩემპიონო ნახტომი

REUTERS

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ბრაზილიელმა რონალდინიომ იარა, იარა და ბარსელონაში ამოყო თავი. ადვილი შესაძლებელი იყო, მსოფლიო ჩემპიონს კონტრაქტი გაეფორმებინა კატალონიელებთან. ესპანური პრესა იუწყება, რომ "ბარსელონამ" მიაღწია შეთანხმებას და, ამრიგად, "მანჩესტერ იუნაიტედს" დაასწრო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბარსელონას" ფრანგი მცველი ფილიპ კრისტანვალი სამშობლოში დაბრუნდა. მან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა მარსელის "ოლიმპიკთან". აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელი კატალონიურ კლუბში ჯერ კიდევ ორი წლის წინათ "მონაკოდან" გადავიდა, მაგრამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ მოახერხა. ვან გაალისა და ანტიჩის მწვრთნელობისას კი კრისტანვალმა პრაქტიკულად მთელი დრო სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ელისტის "ურალანის" მეკარე იური ოყროშიძე, რომელმაც ჩემპიონატის პირველ წრეში ყბა მოიტეხა, ვარჯიშს შეუდგა. ახალგაზრდა მეკარე ვარჯიშობდა კიდევ ერთ ტრავმირებულ ქართველთან, ზურაბ წიკლაურთან და ვიაზმიკინთან ერთად, რომლისთვისაც კლუბი ახალ სამუშაოს ეძებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რომის "ლაციომ" კონტრაქტები გაუფორმა უსმანო დაბოსა და ლუჩანო ძაურის. ბერგამოს "ატალანტას" ორი ყოფილი ფეხბურთელი ჟურნალისტებს გუშინ წარუდგებოდა და, ადვილი მოსალოდნელია, ორივე მათგანმა მონაწილეობა მიიღოს ამხანაგურ შეხვედრაში ლონდონის "ჩელსის" წინააღმდეგ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური "საუთჰემპტონის" ხელმძღვანელობამ კლუბის გულშემატკივრებს აცნობა, რომ თავის ფეხბურთელს უეინ ბრიჯს უფლება მისცა, მოლაპარაკება აწარმოოს ლონდონის "ჩელსისთან". "წმინდანების" პრეზიდენტის რუპერტ ლოუს თქმით, ბრიჯს დიდი სურვილი აქვს, ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს და კლუბი ფეხბურთელის პროგრესს ხელს არ შეუშლის. ამასთან, "ჩელსიმ" შემოგვთავაზა თანხა, რომელზე უარის თქმაც ნამდვილად არ ღირდა", - განაცხადა ლოუმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ივან სამორანომ, რომელსაც ჩილეს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევენ, საფეხბურთო კარიერა დაასრულა და ეს ამბავი თავის მეგობართან, ქვეყნის პრეზიდენტ რიკარდო ლაგოსთან სტუმრობისას გაამხილა. "მე მოვედი სწორედ ლაგოსთან და მას ფეხბურთიდან ჩემი წასვლის შესახებ ვუთხარი, რადგან ლაგოსი მთელ ჩილელ ხალხს წარმოადგენს", - განაცხადა სამორანომ.

■ ■ ■

**კალათბურთი.** კოლორადოს შტატში ოფიციალური ბრალდება წარუდგინეს "ლეიკერსის" კალათბურთელს კობი ბრაიანტს, რომელსაც 19 წლის ადგილობრივი მცხოვრები გოგონას გაუპატიურება ედება ბრალად. ბრაიანტი, რომელსაც 4-წლიანი პატიმრობა ემუქრება, ყველაფერს უარყოფს.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ჯაკარტაში მიმდინარეობს ფედერაციის თასის მატჩი ინდონეზიისა და გერმანიის ნაკრებებს შორის. პირველი დღის შემდეგ ანგარიშია 2:0 ევროპელთა სასარგებლოდ. იაპონიაში კი იაპონელები შვედებს მასპინძლობენ. იქ შინობუ ასაკომ და აი სუგიამამ გაიმარჯვეს. პირველი დღის შემდეგ მასპინძლები ლიდერობენ - 2:0.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** მიხაილ იუჟნიმ ვერ შეძლო შტუტგარტის ტურნირის ნახევარფინალში გასვლა, რომლის საპრიზო ფონდი 765 ათასი ევროა. ტურნირის მე-12 ნომერი დაამარცხა არგენტინელმა გილიერმო კორიამ, რომელიც მეორე ნომრად არის განთესილი. მატჩის ანგარიშია 6:0, 6:0.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** სილვერსტოუნში გაიმართა ორი თავისუფალი პრაქტიკა დიდი ბრიტანეთის გრან-პრის საკვალიფიკაციო რბოლის წინ. საუკეთესო დრო აჩვენა კოლუმბიელმა ხუან პაბლო მონტოიამ. პარასკევის რბოლების ტრადიციულად უიღბლო რუბენს ბარიკელო მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო მისი თანაგუნდელი მიხაელ შუმახერი - მესამეზე.

■ ■ ■

**ჭადრაკი.** მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის კასპაროვ-პონომარიოვის მატჩი, სავარაუდოდ, 19 სექტემბერს დაიწყება. ფიდეს პრეზიდენტის თანაშემწის ბერიკ ბალგაბაევის თქმით, ორგანიზატორები აპირებენ, მატჩის გახსნაზე მოიწვიონ რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტები ვლადიმირ პუტინი და ლეონიდ კუჩმა, აგრეთვე, დსთ-ის დანარჩენი ქვეყნების პრეზიდენტები, რომლებიც იალტაში ტრადიციული სამიტის ჩასატარებლად იკრიბებიან. რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტებს უფლება ექნებათ, კასპაროვისა და პონომარიოვის ნაცვლად პირველი სვლა გააკეთონ.

■ ■ ■

**ჰოკეი.** რუსმა ჰოკეისტმა სერგეი ფიოდოროვმა, რომელიც 13 წლის განმავლობაში იცავდა "დეტროიტ რედ უინგზის" ღირსებას, ახალი კონტრაქტი გააფორმა სტენლის თასის ფინალისტ "ანაჰაიმთან".

## ამბები

### სპილბერგი სპეცეფექტების გარეშე

სტივენ სპილბერგი ახალ პროექტზე მუშაობს. მისი კინოკომპანია Dream Works Pictures იღებს ფილმს სახელწოდებით "ტერმინალი", რომელშიც მთავარ როლს 2002 წლის საუკეთესო ამერიკელი მსახიობი ტომ ჰენქსი შეასრულებს. ფილმის სიუჟეტი ასეთია: იუგოსლავიელი ლტოლვილი ამერიკაში ერთ-ერთი სატრანზიტო გაჩერების დროს აღმოაჩენს, რომ მისი პასპორტი ანულირებულია. დოკუმენტების გარეშე დარჩენილი გმირი ვეღარც სამშობლოში ბრუნდება და ვერც შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გადმოდის. ის აეროპორტის სატრანზიტო დარბაზში დასახლდება, დაუმეგობრდება მებარგულებს, საბაჟოს თანამშრომლებსა და სტიუარდესებს. ერთ-ერთი სტიუარდესას როლში "ოსკარის" წლევანდელი ლაურეატი ქეთრინ ზეტა-ჯონსი მოგვევლინება. ფილმში ასევე ვიხილავთ სტენლი ტუჩისა და ჩი მაკბრაიდს.

სპილბერგი მაყურებელს ჰპირდება, რომ კინოსურათი კამერული იქნება, მინიმალური სპეცეფექტებით. გადაღებებისთვის მხოლოდ ორი შენობაა გამოყოფილი. "ტერმინალის" ეკრანებზე გამოსვლას 2004 წლისთვის ვარაუდობენ. მაყურებელი კი უკვე მოუთმენლად ელის სპილბერგ-ჰენსკის ერთობლივ ნამუშევარს. ისინი ხომ წარმატებით თანამშრომლობენ. სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგია ფილმები - "რიგითი რაიანის გადასარჩენად" და "დამიჭირე, თუ შეძლებ".

### ქვის დღიურები კანადიდან

მას შემდეგ, რაც კეროლ შილდსმა პულიცერის პრიზი მიიღო, მის რომანებს კიდევ უფრო მეტი მკითხველი გაუჩნდა. პულიცერს ბუკერის ორი ნახევარფინალიც მოჰყვა და კანადაში დასახლებული ამერიკელი ავტორი მთელმა მსოფლიომ გაიცნო. შესაბამისად, გუშინ "ბი ბი სით" გავრცელებულ ცნობას შილდსის გარდაცვალების შესახებ ბევრი მისი მკითხველი გამოეხმაურა. იქვე გახსნილ ონლაინ ფორუმში შილდსის თაყვანისმცემლები იგონებდნენ მწერალს და მის შემოქმედებას.

"ქვის დღიურები" ის ნაწარმოებია, რომლის საშუალებითაც შილდსი, როგორც ენამახვილი და საზრიანი მწერალი მთელმა მსოფლიომ გაიცნო. შემდეგ უკვე იოლად კითხულობდნენ მის სხვა რომანებს, მოთხრობებს, ლექსებსა და პიესებს. მწერალი, რომელიც გემოვნებით შერჩეული ირონიით აღწერს ჩვეულებრივი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას და მათ არაჩვეულებრივს ხდის – ასე ახასიათებენ მოკლედ შილდსის წერის სტილს.

აღსანიშნავია, რომ კეროლმა პირველი რომანი 40 წლის ასაკში გამოაქვეყნა. მანამდე ის შინ იჯდა, ბავშვებს ზრდიდა და, როგორც ყველა დიასახლისი, კითხულობდა ბეტი ფრიდენის "ქალურ საიდუმლოს". სწორედ ამ ნაწარმოებმა წააქეზა შილდსი და წერაც უფრო აქტიურად დაიწყო.

მკერდის კიბოს დიაგნოზი მწერალს 1998 წელს დაუსვეს. მას იმხელა პატივს სცემდნენ კოლეგები, რომ როდესაც ტორონტოში გამართულ 2002 წლის მწერალთა კონფერენციაზე კეროლმა გაუარესებული ჯანმრთელობის გამო ჩასვლა ვერ შეძლო, მარგარეტ ეტვუდმა და სხვებმა შილდსის შემოქმედებიდან ნაწყვეტები წაიკითხეს და მას საქებარი სიტყვები გაუგზავნეს. კეროლ შილდსი 68 წლის იყო.

### ჰილარის მორიგი წიგნი

ჰილარი კლინტონმა ჯერ კიდევ ორიოდე კვირის წინ განაცხადა, რომ გაყიდულია მისი ახლადდასტამბული მემუარების მილიონი ეგზემპლარი. აგვისტოდან კლინტონის ავტორობით კიდევ ერთი წიგნი გამოვა. ოღონდ ამჯერად გამოცემა უფრო კონკრეტულ თემას – ბილ და ჰილარი კლინტონების საყვარელ კერძებს შეეხება.

სამზარეულოს წიგნი, რომელიც 35 დოლარი ეღირება, შეიცავს ცოლ-ქმრის პირად რეცეპტებს და ასევე გაზქურასთან გასათვალისწინებელ რჩევებს მათი მეგობრებისგან, მათ შორის, მუჰამედ ალის, ბარბრა სტრეიზანდის, ელიზაბეტ ტეილორის და ვუპი გოლდბერგისგან. წიგნში შევა იმ პუდინგის რეცეპტიც, რომელსაც მუჰამედ ალი თვითონ ამზადებს, იქვე იქნება სტრეიზანდის სამხრეთული ლიმონის ღვეზელი, ქუინსი ჯონსის ქათამი მჟავე კომბოსტოს თანხლებით, მადლენ ოლბრაიტის რჩევა, თუ როგორ მჟავდება კომბოსტო ჩეხურად. თვითონ ექს-პრეზიდენტი კი მკითხველს ქათმის მექსიკური ენჩილადას საკუთარ ვარიანტს შესთავაზებს.

კლინტონებს იმედი აქვთ, რომ წიგნის გაყიდვიდან შესულ თანხებს ლიტლ როკში, კლინტონის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის ფონდში გადარიცხავენ. ამ შენობის აგება ყოფილ პრეზიდენტს 160 მილიონი დოლარი დაუჯდება.

# ბრუნერის მეთოდი

## ანუ, როგორ იქმნებოდა მეოცე საუკუნეში მუსიკა კლარნეტისათვის



ირაკლი გედევანიშვილის ფოტო

ედუარდ ბრუნერი "ხელოვნების ზეიმზე" ბორჯომში

პირველი გვერდიდან

სასიამოვნოა, რომ ასეთ წამოწყებას პროექტის სპონსორმა, „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ" დაუჭირა მხარი. ამ ორ კონცერტს ასევე სოლისტი ედუარდ ბრუნერი აერთიანებდა. თუკი წინა კონცერტზე იგი ლიანა ისაკაძესთან, ივან მონიგეტისა და ირმა ისაკაძესთან ერთად ბრწყინვალე ანსამბლით წარსდგა, ამჯერად იგი სოლისტის ამპლუაში მოგვევლინა.

ედუარდ ბრუნერის მუსიკალურ ბიოგრაფიაზე წინა ნომერში უკვე ვისაუბრეთ. მსოფლიოში მას იცნობენ, როგორც თანამედროვე მუსიკის საუკეთესო ინტერპრეტატორსა და დახვეწილი გემოვნების ოსტატს. საქართველოსთან მას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს: „საქართველოში პირველად ოცი წლის წინათ ვიყავი. თელავში ფესტივალი იმართებოდა, რომელსაც ელისო ვირსალაძე ხელმძღვანელობდა. მაშინ კონცერტები გვქონდა კაგანთან, ბაშმეტთან, ნატალია გუტმანთან, თავად ელისო ვირსალაძესთან ერთად. მაშინდელმა ფესტივალმა იმდენად კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რომ შემდეგ სამჯერ ჩამოვედი საქართველოში. მათ შორის, თბილისში ბატონ კახიძის ორკესტრთან ერთად დავუკარი".

ბორჯომის მეორე საერთაშორისო ფესტივალზე ედუარდ ბრუნერი ლიანა ისაკაძის მოწვევით ჩამოვიდა: „უცნაური დამთხვევაა, მაგრამ როდესაც ლიანა პირველად ჩამოვიდა გერმანიაში თავის ორკესტრთან ერთად, პირველი კონცერტი სწორედ ჩემთან ერთად გამართა".

მიუნჰენში გამართული ამ კონცერტის შემდეგ ბრუნერი და ისაკაძე არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს. თუმცა მესიანის „დროის დასასრულს", რომელიც მეოცე საუკუნის მუსიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა, მათ პირველად ბორჯომში შეასრულეს ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ბრუნერი თანამედროვე მუსიკის აღიარებული შემსრულებელია, კლასიკური რეპერტუარი მისთვის ასევე ორგანულია: „უმეტესად კონცერტებზე სწორედ კლასიკური პროგრამით გამოვდივარ, მაგრამ კლარნეტისთვის შექმნილ მუსიკალურ ლიტერატურას ერთი თავისებურება გააჩნია: კლასიკოსები საფორტეპიანო, სავიოლინო, ან საორკესტრო ნაწარმოებებს ზოგადად ბევრს წერდნენ. კლარნეტისთვის შექმნილი მათი ნაწარმოებები კი ძირითადად ერთი კონკრეტული კლარნეტისტისთვის იქმნებოდა. ვებერი წერდა ბერმანისთვის, ბრამსი - იუეფელდისთვის, თანამედროვე მუსიკის დიდი ნაწილი კი ბენი გუდმენისთვისაა შექმნილი. იმის გამო, რომ კლარნეტისთვის ლიტერატურა ცოტაა, ახალგაზრდობაში ხშირად ვთხოვდი კომპოზიტორებს დაეწერათ ჩემთვის ნაწარმოები. ასე მოვაგროვე ორმოცდაათამდე ნაწარმოები: ანსამბლები, კონცერტები. კლარნეტის ლიტერატურის გასამდიდრებლად ეს ძალიან კარგი მეთოდია და ყველა მუსიკოსს ვურჩევ იგივე გააკეთოს".

აღსანიშნავია, რომ იმ კომპოზიტორებს შორის, რომლებიც სპეციალურად ბრუნერისთვის წერდნენ, დენისოვი, შნიდკე, ლაჰენმანი და სხვა უმნიშვნელოვანესი თანამედროვე კომპოზიტორები არიან. ბრუნერისთვის შექმნა ნაწარმოები გია ყანჩელმაც. „ჩემთვის ძალიან ახლობელია მისი მუსიკა, დრამატული ჟღერადობა, დიდი მუსიკოსი და ადამიანია".

განსხვავებით მესიანის „დროის დასასრულისგან", რომელმაც საკმაო აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია კონცერტის მრავალფეროვან მსმენელებს შორის, კოპლენდის "კონცერტი კლარნეტისა და ორკესტრისათვის", უფრო თბილად მიიღეს. ჯაზურ და ატონალურ ჟღერადობათა სინთეზი, ბრუნერის ფენომენალური ბგერა, და ასევე ჩვენი ორკესტრი, რომელიც დიდებულ სოლისტს კარგ პარტნიორობას უწევდა, ყველანაირი მუსიკალური ბეგრაუნდის მქონე მსმენელისათვის მისაღები აღმოჩნდა.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ესტონელი დირიჟორი ერი კლასი. მართალია გუშინ იგი ავად გახდა (ამის გამო კონცერტის პროგრამა ოდნავ შეიცვალა კიდეც), მაგრამ მის მიერ ორკესტრთან ორდღიანი მუშაობაც ყველასათვის თვალსაჩინო იყო. ერი კლასი საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფიის პატრონია. იგი მოკრივე იყო, ესტონეთის ჩემპიონიც გახლდათ და დღემდე ესტონეთის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია. მიუხედავად სპორტით სერიოზული გატაცებისა, მან უდიდეს წარმატებას მიაღწია სადირიჟორო ასპარეზზე. ამჟამად იგი ნიდერლანდების რადიოს ორკესტრის მთავარი დირიჟორი და ფინეთის ფილარმონიის ორკესტრების დირექტორია. ერი კლასს საინტერესო მუსიკალური გამოცდილება აკავშირებს ლიანა ისაკაძის პირველ ორკესტრთან. ახალი ორკესტრის ახალგაზრდული შემადგენლობა მან ასევე დადებითად შეაფასა, თუმცა ისიც დასძინა, რომ ასეთ მცირე დროში საერთო ენის გამონახვა ძნელია. ეს მომენტი მსმენელისათვის კი სრულიად შეუმჩნეველი იყო. მთელი კონცერტის განმავლობაში (ერი კლასმა უდირიჟორა გრიგის „ჰოლბერგ სუიტას") ორკესტრი, დირიჟორი, სოლისტიცა და მსმენელიც მუსიკის ერთ ყველასათვის გასაგებ ენაზე საუბრობდნენ.

# გოგიტა ბუხაიძის „შვიდკაცა რაგბი"



ლევან ხერხეულიძის ფოტო

შვიდკაცა რაგბი გოგიტა ბუხაიძის (მარჯვნივ) შესრულებით

ანა კორძაია-სამადაშვილი

გოგიტა ბუხაიძე რაგბის იღებს. ცხადია, მხოლოდ რაგბის არა. გოგიტა არის არქიტექტორ-რესტავრატორი, მოგზაური – რომელი ერთი ჩამოვთვალო!? და, რაც ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია, პროფესიონალი ფოტოგრაფი გახლავთ. შესაბამისად, მას არამარტო ის "გამოსდის", რაც უყვარს, მაგალითად, დავით გარეჯის ხედები, არამედ ისიც, რასთანაც შემთხვევით მოუწია შეხვედრა, ვთქვათ, სირაქლემებთან – თუკი გასულ წელს საქართველოში პირველი ციფრული ფოტოგრაფიის გამოფენაზე ბრძანდებოდით, აუცილებლად გეხსომებათ გოგიტას სირაქლემები, ყელმოღერებული, არნახულად ჩერჩეტი არსებები. ისე, კაცმა არ იცის, ალბათ გოგიტას სირაქლემებიც შეუყვარდა, თორემ ამ უბადრუკი არსებისგან ასეთი სიმპატიური პერსონაჟის მიღება საკმაოდ ძნელი საქმე უნდა იყოს.

რაგბის დავუბრუნდეთ. გამოფენა, რომელიც გუშინ ქარვასლაში გაიხსნა, სწორედ რაგბის ეძღვნება, კერძოდ – ამიხსნეს, რომ ეს მნიშვნელოვანია, თორემ მე ნამდვილად ვერასოდეს მივხვდებოდი – შვიდკაცა რაგბის. ფოტოები წელს, ივნისში იყო გადაღებული. მიუხედავად იმისა, რომ (ალბათ, მიხვდით) რაგბისა არაფერი გამეგება, და თან ჩემი კოლეგის, გოგიტა ბუხაიძის მიმართ არაობიექტური ვარ (ამასაც მიხვდებოდით), გულწრფელად შემიძლია იმის თქმა, რომ გამოფენაზე ფრიად ვისიამოვნე. ძალიან დინამიური, სიცოცხლით სავსე ფოტოსურათებია, და საერთოდ, გამარჯვება კარგი რამაა – ერთი მოგების შემდეგ მეც კი რაგბის გულშემატკივარი გავხდი და ექსპოზიციის დათვალიერებისას აღტაცებას ვერ ვმალავდი: ყოველი ნამუშევარი გამარჯვების სულისკვეთებითაა გამსჭვალული, და ეს არ არის სპორტული ფოტორეპორტაჟი, ეს ფოტოხელოვნებაა.

ისიც უნდა ვთქვა, რომ თბილისური ვერნისაჟებისთვის ჩვეული საზოგადოების – ხელოვანების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ხელოვნებისა თუ მსგავსი თავყრილობების დაუდგენელი პროფესიის მოყვარულების გარდა, გუშინდელ ვერნისაჟს უამრავი მამაკაცი დაესწრო. სწორედ მამაკაცები – შესანიშნავია, რამდენნი ყოფილან! მთამსვლელებისა და რესტავრატორების ნაწილს ვიცნობდი, რაგბისტების ამოცნობა კი, მოგეხსენებათ, დიდი პრობლემა არაა: გოგიტას ფოტონამუშევრების გმირები თუ არ იყვნენ, იმას მაინც მივხვდი, რომ ამ აღნაგობის კაცები კონსერვატორიის სტუდენტები არ იქნებოდნენ.

ხოლო თუკი თბილისში არ ცხოვრობთ ან ამ დღეებში ქარვასლაში მოხვედრას ვერ შეძლებთ, გოგიტა ბუხაიძის ხელოვნების შესახებ არასრულ, მაგრამ მაინც წარმოდგენას გაზეთი "24 საათი" შეგიქმნით; ცხადია, გამოფენაზე მოხვედრა აჯობებდა, მაგრამ მაინც.

# ფრანგი მაესტრო და ზაფხულის 12 დღე

თამარ სუხიშვილი



ჟერომ პერნო თავის მოწაფესთან - იანთან ერთად

ამ ორიოდე დღის წინ ერთ-ერთ კაფეში ვიჯექი მეგობრებთან ერთად, გვერდით მაგიდასთან გოგონები ისხდნენ და ხალისიანად საუბრობდნენ. ჩემდა უნებურად ყური მივუგდე. გამოგიტყდებით, უფრო მეტად იმიტომ "გავისარჯე", რომ საუბრის თემამ დამაინტერესა. ლაპარაკობდნენ მუსიკაზე, კომპლექსის მოხსნაზე, ახსენებდნენ რაღაც ექვსსაათიან მუსიკალურ ღამეს და ვიღაც ჟერომს... როგორც გაირკვა, მეზობელ მაგიდასთან მსხდომნი კონსერვატორიის სტუდენტები იყვნენ, ჟერომი კი სულაც არ იყო ვიღაც ჟერომი, ის ცნობილი ფრანგი მუსიკოსი აღმოჩნდა, ვიოლონჩელისტი ჟერომ პერნო, რომელიც ამ ზაფხულს თბილისს ეწვია, ჯერ ქართველი მსმენელი დაატკბო თავისი დახვეწილი ოსტატობით, არაორდინარულობითა და ზღვა ენერგიით (ხუმრობა საქმე ხომ არ გახლავთ, ბარე ხუთჯერ დაუზარელად დაუკრა ბისზე, მეტჯერ თუ არა), მერე კი დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში თორმეტდღიანი მასტერ-კლასები გამართა ათი ქართველი სტუდენტისთვის, ისინიც სასიამოვნოდ გააკვირვა და სულ რამდენიმე დღის წინ პარიზში გაფრინდა, იმ პირობით, რომ კვლავაც ჩამოვა ჩვენს ქალაქში.

ჟერომ პერნოს მასტერ-კლასები თბილისში სხვა უცხოელი მუსიკოსების მიერ გამართული მასტერ-კლასებისგან საგრძნობლად განსხვავდებოდა. ეს არ ყოფილა უბრალო მეცადინეობები, მათ ექსპერიმენტის სახე ჰქონდა, შეიძლება ისიც ექსპერიმენტში ივარაუდებოდა, რომ მასტერ-კლასებს უცხო პირები (არათუ ჟურნალისტები, მასწავლებლებიც კი) არ დასწრებიან. ეს ყველაფერი კი მეზობელი მაგიდის ერთ-ერთმა თანამესაუბრემ, ჟერომ პერნოს ექსპერიმენტის მონაწილემ მიამბო და თავისი შთაბეჭდილებებიც გამიზიარა.

"უკვე კონცერტის შემდეგ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ჟერომ პერნოსთან 12-დღიანი ურთიერთობა ბევრს შეგვმატებდა. თუმცა დასაწყისში ცოტა დავიბენით, ვერ გავიგეთ, რისთვის დაგვავალეს მასტერ-კლასზე პირსახოცის მიტანა, ან რა საჭირო იყო რაიმე ლექსის ცოდნა რომელიმე ენაზე.

- რა ზომის პირსახოცი მოიტანე?

- ნეტავი რაში დაგვჭირდება?

- ლექსი ისწავლე?

- ვაიმე, ჩემი ლექსი რომ ძალიან გრძელია? – გაისმოდა კითხვა-შეძახილები დიუმას ცენტრში.

ამასობაში ჟერომ პერნოც გამოჩნდა თავის მოწაფე იანთან ერთად. გაგვიცნო და, ჩვენდა გასაკვირად, პირველივე დღეს დაიმახსოვრა ჩვენი სახელები. პერნომ გამოგვიცხადა, რომ ჩვენს ურთიერთობას პატარ-პატარა ექსპერიმენტების სახე ექნებოდა. ოღონდ არ უნდა გვეფიქრა ექსპერიმენტის შედეგზე, უბრალოდ თამაშში უნდა ჩავრთულიყავით.

მაესტროს ექსპერიმენტები ძალიან სახალისო და საინტერესო გამოდგა – როგორ უნდა მოვახდინოთ ყურადღების კონცენტრაცია, როგორ უნდა დავხვეწოთ ფიზიკური მოძრაობები... აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი მოძრაობა უფრო ჰაეროვანი, მოქნილი და შთამბეჭდავი ხდება, როცა მასში რაიმე შინაარსი დევს, როცა იგი არაა მექანიკური. შემსრულებლის თითოეული ჟესტი შინაარსის გამოხატვას, გახსნას უნდა ემსახურებოდეს. ამიტომ მუსიკოსმა წინასწარ უნდა იცოდეს, რისი თქმა სურს; გაიაზროს თითოეული მუსიკალური ფრაზა, შეუსაბამოს მას ფერი, დეკორაცია... მხოლოდ მაშინ შედგება კონტაქტი მსმენელთან.

სტუდენტებსა და მუსიკოსებს შორის ძალიან თბილი და მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ჟერომ პერნო, როგორც ჩანს, ვერ იტანს ერთფეროვნებას და ყოველდღე ახალ-ახალ ექსპერიმენტს გვთავაზობდა: იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა (აქ თარჯიმანი გვეხმარებოდა), ერთმანეთს ენაცვლებოდა სხვადასხვა მუსიკალური ნაწყვეტები, იცვლებოდა ოთახში სკამების განლაგებაც. ხან კედელთან, ხან – ოთახის შუაგულში, ხანაც ხალიჩაზე მოვკალათდებოდით ხოლმე. ასე რომ არ ყოფილიყო, ალბათ გაგვიძნელდებოდა ყოველდღე 6-6 საათი ერთ გარემოში გაძლება. მრავალფეროვნებისთვის ერთი მეცადინეობა ღამითაც ჩატარდა; ღამის 12-დან დილის 6-მდე. ღამის წვიმის ხმაურის ფონზე ვეცნობოდით სხვადასხვა მუსიკალურ ეპოქებს – ბაროკოს სტილით დაწყებული მე-20 საუკუნით დამთავრებული. მუსიკალური ეპოქების მიმოხილვის შემდეგ პერნომ დაასკვნა, რომ ალბათ მუსიკის მწვერვალს მაინც ბახი წარმოადგენს. და 6-საათიანი მუსიკალური ღამეც ბახის სარაბანდით დასრულდა, მე-3 სავიოლონჩელო სიუიტიდან.

გაგვაოცა პერნოს მოწაფის ნათქვამმა: ქართველები უფრო თავისუფლები ხართ, ვიდრე ფრანგებიო. ისინი ნამდვილად არ დათანხმდებოდნენ ღამით მოსვლაზეო. თორმეტმა დღემ სწრაფად გაიარა; აქტიურად და საინტერესოდ. მგონი, ჟერომ პერნო კმაყოფილი დარჩა, მადლობა გადაგვიხადა, რომ გავუგეთ და ამ თამაშში ჩავებით, ჩვენ კიდევ უფრო კმაყოფილები ვიყავით. მხოლოდ პირსახოცის საკითხი დარჩა გაურკვეველი. ის არავის დასჭირვებია, თუმცა (იცინის) ზოგიერთმა სტუდენტმა ერთგულად ატარა მთელი 12 დღის მანძილზე."

გულთბილად დავემშვიდობე ასე სახელდახელოდ მოძიებულ რესპონდენტს. ვფიქრობ, რომ ინტერვიუ შედგა. რედაქციისაკენ მიმავალს ყველასათვის ცნობილი ქართული გამოცანის ასეთი ვარიანტი გამახსენდა: "ერთი პირსახოცი მაქვს, ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე", ალბათ ძნელი მისახვედრი არ არის, რა მიზნით დაავალა ფრანგმა ვიოლონჩელისტმა მასტერ-კლასის მსმენელებს პირსახოცის ტარება, მაგრამ მე ის პირსახოცი რატომღაც გზის მეტაფორად მინდა გავიაზრო და ჟერომ პერნოს მასტერ-კლასის ათივე მსმენელს წარმატება ვუსურვო პროფესიული დახელოვნების გზაზე.

# ვახტანგ კიკაბიძე 65



Мои года - мое богатство

გუშინ ცნობილ ქართველ მომღერალს, მსახიობსა და რეჟისორს ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძეს 65 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით, გუშინვე რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მილოცვის ტექსტი, სადაც წერია: "თქვენი შემოქმედების თაყვანისმცემლები გაფასებენ, როგორც ნიჭიერ მსახიობსა და რეჟისორს, რომელმაც ნათელი კვალი დააჩნიეთ კინემატოგრაფს. რასაკვირველია, გაფასებენ, როგორც შესანიშნავ საესტრადო მომღერალს. თქვენმა სიმღერებმა სხვადასხვა თაობის ადამიანების გულები დაიპყრო და დღეს ისინი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და პოპულარულია".

ვახტანგ კიკაბიძემ საიუბილეო თარიღი მეგობრების ვიწრო წრეში ქობულეთში აღნიშნა.

## TV პროგრამა
### 20 ივლისი

**რუსთავი - 2**

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** მულტსერიალი **10.20** საბ.ფილმი „ნაითმენი“ **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ.ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.10** სერიალი „კოლომბო“ **18.00, 01.00** კურიერი **18.20** სერიალი „კოლომბო“ **19.00** მხ. ფილმი **21.00** კურიერი **21.45** ჩვენი ეზო **22.00** 60 წუთი **23.00** „ჯეოსელის კინოკლუბი“ - „იოლი ფული“ 877 45-79-25 მარლონ ბრანდო, ჩარლი შინი,“მოუსვენარი მოწმე“ 877 45-79-26, ჯენიფერ ტილი, ფრანჩესკა ბრაუნი, „მკვლელობანას თამაში“ 877 45-79-27 რობერტ კერედინი, ლინდა ჰამილტონი. **01.20** მხ.ფილმი „ეშმაკის ხერხემალი“. მთ. რ-ში: მარისა პარედესი.

**პირველი არხი**

**08.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი „ერთი ეპიზოდი პოლიციელის ცხოვრებიდან“ **09.50** დიდი დასვენება **10.20** დოკ. ფილმი „ეშმაკის კუნძული“ **11.15** „ტვ-ლოტო“ **12.00** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.30** „სპა“ **12.55** მხ. ფილმი „სათამაშო“ **14.25** არათბილისური ამბები **15.00** მოამბე **15.15** სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“ **16.55** საკვირაო გამოფენა **17.15** მულტსერიალი „ჯაშუშები“ **17.40** ტელეზღაპარი **18.00** ტაიმ-აუტი **18.20** ფრაგმენტები სურათისათვის **18.50** ჩემპიონი **19.25** ჩვენი მისამართია **20.00** ტაიმ-აუტი **20.55** „ჩიკო და ჯიფსი“ **22.05** მეალომანია **22.35** ქართ. მხ. ფილმი „კეთილი ადამიანები“ **23.40** ტაიმ-აუტი **00.10** მხ. ფილმი „დიდიე“.

**პირველი სტერეო**

**09.00** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი „აგენტი სახელად „სპოტი“ მთ. რ-ში დევიდ არკეტი, პოლ სორვინო. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** უცხ. მუსათეული **22.30** პროფათეული **22.55** მუსიკა **23.15** სოლო **00.00** „ბრავო“ „მატრიცა. გადატვირთვა“ მთ.რ-ში კიანუ რივზი, ლოურენს ფიშბერნი. **01.40** „ღამურა“ „ომის ძაღლები“ მთ.რ-ში ლიამ კანინგემი, შონ პერტვი. **03.45** პაუზის გარეშე.

**მეორე არხი**

**19.00** მხიარული კარუსელი **19.30** დიზაინი **19.50** ტალანტები და თაყვანისმცემლები **20.30** რამდენიმე სურათი პორტრეტისთვის **21.00** დოკ. ფილმი **21.50** ვარსკვლავები გვამცნობენ **22.00** შვიდეული **23.00** მხ. ფილმი „მალე ყველაფერი მოგვარდება“.

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი „გადამზიდავი“ **13.30** მხ. ფილმი „ფიორინა“ **15.00** მხ. ფილმი „ლტოლვილი მატარებელი“ **16.50** მხ. ფილმი „ეპიდემია“ **19.00** ინდ. მხ. ფილმი „მოხიბლული ვარ შენით“ **22.00** მხ. ფილმი „პრეზიდენტის თვითმფრინავი“ **00.10** მხ. ფილმი „კაიროს ლალი“.

**იბერია**

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.20** აღსავალი **08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50** მუსიკა **08.30** ახალი ამბები **09.00** მხ. ფილმი „თამაში“ **10.20** მულტფილმი **12.30** გადაცემა - მურადა (განმ.) **17.00** ოპერა **19.30** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი „დაწყევლილი გზა“ **22.00** ტელე-სინე-ვიდეო **23.00** მხ. ფილმი „საყვარელი მოლლი“ **01.00** ღამის ფილმი.

**მეცხრე არხი**

**09.30** მულტფილმი „მხიარული მელოდიები“ **09.55, 19.15, 20.15, 22.15, 00.20** მუსიკა **10.00** სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“ **10.25** მულტსერიალი „სიმბა მეფე ლომი“ **11.00** „საუბრები სტუდიაში“ **12.00** „ცხელი ცხრიანი“ **12.50** მხ. ფილმი „მეხიკო სითი“ **14.15** „ტელემეტრი“ **14.30** „ოლიმპი“ **15.15** დოკ. ფილმი „ქიმერა“ **16.35** მხ. ფილმი „სიცრუის ქსელი“ **19.00** „ბელისიმო“ **19.30** „მსოფლიო ფეხბურთი“ **20.00** „ოსტატები“ - მხატვარი **20.15** „ჩემი ქვეყანა“ **20.40** რუს. სერიალი „რუსი ამორძალები“ მე-5 ს. **22.00** მარიონეტების ფილმი „ყორჩაღები“. „ძეგლი“ **22.30** მხ. ფილმი „მღვრიე წყალი“ **00.20** მხ. ფილმი „გველის დღე“.

**იმედი**

**08.55** ქრონიკა **09.05, 16.00, 18.00, 02.50** იმედის მელოდიები **10.20** ანიმაციური სერიალი „მითიური მეგობრები“ **10.50** სერიალი „ყველაფერი იმ ღამის შესახებ“ მე-2 ს. **12.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **13.00, 15.00, 16.45, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.15** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **13.40** თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე“ **14.30** სპორტ. პროგრამა „ასი“ **15.15** ქართ. ფილმი „ალავერდობა“ **16.45** „საღამოს ღიმილი“ **17.15** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“ **18.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **19.30** სერიალი „იმპერია „ნოუბლ ჰაუზი“ მე-2 ს. **20.30** ჩ-კლუზივი **21.05** ქართ. სერიალი „მგლების ხორუმი“ **22.45** მუღამები **23.10** კონცერტი - ტრიო „თბილისი“ **00.25** მხ. ფილმი „ბასკერვილების ძაღლი“ **03.00** ქრონიკა.

**აჭარა**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00, 19.00** საინფორმაციო გამოშვება **09.15** მულტფილმი „ტომი და ჯერი“ **09.45** „ყველანი ვართ პატარები“ **09.55** ისტორიული ფილმი „დაკები“ **11.30** Слово (ავტორი თ.დუმბაძე) **12.10** „სამყარო მშვენიერია.“ ბავშვები და ხელოვნება **12.15** თრილერი „წყალქვეშა ნავი-მოჩვენება“ **14.00** მუსიკა **14.10** კომედია „წმინდანი“ **16.10** „სამყარო მშვენიერია.“ ბავშვები და ხელოვნება **16.20** მულტფილმი „ლედი და მაწანწალა“ **17.30** სათავგადასავლო ფილმი „ზვიგენები-2“ **19.20** დოკუმენტური ფილმი **20.10** კომედია „ბევრნი“ **22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **22.20, 00.20** „Новости в воскресенье“ **22.40** „Величественное наследие“ **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.40, 03.20** მუსიკა **01.10** კომედია „მკურნალი ადამსი“ **03.30** დრამა „ამისტადი“.

**VII არხი**

**16.00** ფორმულა-1. ბრიტანეთის გრან-პრი. **17.50** კომპიუტერული თამაშები **18.00** „ლა-ლა-ლა **19.00** „აჩიკუდა“ **19.20** მობილურები **20.10** ავტოტრეკინგი **21.00** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **21.30** რაგბი. სამი ერი - სამხრეთ აფრიკა - ახალი ზელანდია **23.05** კომპიუტერული ტექნიკა **23.45** „კინოკლუბი „ - „პატარა ჩეროკი „ მძაფრსიუჟეტიანი . რეჟ- რიკი ევერი . როლებში: ჯეფ სპიკმენი, რონ სილვერი. **01.20** აუდიო-ვიდეო-ტელე.

**ОРТ**

**07.00, 08.00, 11.00, 15.00** Новости **07.10 Сериал „Китайский связной“ 08.10** Сериал „Приключения Геркулеса“ **09.00** Сериал „Твинисы“ **09.20** „Служу Отчизне!“ **09.50** Диснейклуб: „Легенда о Тарзане“ **10.10** „В мире животных“ **11.10** „Непутевые заметки“ **11.30** „Пока все дома“ **12.05** „Дог-шоу“ **12.50** „Алексей Герман - Львиное Сердце“ **13.20** „Прыжок из космоса“ **13.50** „Искатели“. „Ломоносов. Пропавшая „История“ **14.20** „Клуб путешественников“ **15.15** Дисней-клуб: „Мышиный дом“ **15.40** „Снежный человек. Русский след“ **16.10 Боевик „Финт ушами“ 17.40** „Ералаш“ **18.10 Док.сериал „Живая природа“ 19.05** Концерт „Между прошлым и будущим“. А.Пугачева, М.Боярский, Л.Долина **22.00** „Время“ **22.25 Триллер „Бездна“ 00.50** Бокс. Джо Кальзаге - Байрон Митчелл **01.05** Чемпионат мира по водным видам спорта **01.35 Боевик „Живая мишень“.**

**РТР**

**07.00 Худ.фильм „Тайная крепость“ 08.30** Мультфильм „Бабочка“ **08.40** Мультсериал „Джеки Чан“ **09.20** „Русское лото“ **10.05** „ТВ Бинго-шоу“ **10.35** Местное время. Вести - Москва. Неделя в городе **11.15** „Городок“. Дайджест **11.45 Комедия „Оскар“ 13.15** „Вокруг света“ **14.05** „Диалоги о животных“ **15.00, 21.00** Вести **15.20** „Мир на грани“ **15.50** „Комната смеха“ **16.55** Чемпионат мира по автогонкам „Формула-1“. Гран-При Великобритании **18.55** Маленькие комедии „Ха“ **19.10 Детектив „Голова над водой“ 21.20 Боевик „Чистильщики“ 23.20 Худ.фильм „Шизофрения“ 02.25** „Сборная России“.

**НТВ**

**06.50 Худ.фильм „Фантастическая пицца“ 08.35 Худ.фильм „Полундра!“ 09.00, 13.00, 17.00** „Сегодня“ **09.15 Сериал „Голубое дерево“ 10.00** Сериал „Бушующая планета. Лавины“ **10.45** Лотерея „Шар удачи“ **11.20 Сериал „Любовь вдовца“ 12.15** „Растительная жизнь“. Л.Ярмольник **12.50** Играем в „Кено“ **13.15** Шоу „Фактор страха“ **14.05 Комедия „Здравствуй и прощай!“ 15.55** „Вкусные истории“ **16.05** „Своя игра“ **17.20** „Женский взгляд“. М.Калкин **17.55** Мультфильм „Кот в сапогах“ **18.05** „Истории охотника за крокодилами“. „Несчастье на копытах“ **18.30 Боевике „Уберечь до понедельника“ 20.45 Боевик „Агент национальной безопасности 2“ 22.00** „Намедни „. Лучшие репортажи **23.30 Худ.фильм „С меня хватит!“ 01.55 Боевик „Бессмертный“.**

# ვისია სერგეი შჩუკინის კოლექცია?

*რუსი მეწარმისა და მეცენატის, სერგეი შჩუკინის შვილიშვილმა ამერიკის სასამართლოს მიმართა. ის მოითხოვს, რომ ლოს ანჟელესის მუზეუმმა კომპენსაცია გადაუხადოს გამოფენის ორგანიზებისთვის, რომელზეც ოქტომბრის რევოლუციამდე მისი ოჯახის კუთვნილი ნამუშევრებია წარმოდგენილი.*

ანდრე-მარკ დელოკ-ფურკომ, სერგეი შჩუკინის შვილიშვილმა, სარჩელი ამჟამად მოსკოვის პუშკინის მუზეუმის კოლექციაში დაცული კლოდ მონეს, პოლ სეზანის, ანრი მატისისა და პაბლო პიკასოს ნამუშევრების გამო შეიტანა. თავის გადაწყვეტილებას ის შემდეგნაირად ასაბუთებს:

1918 წელს სერგეი შჩუკინი საფრანგეთში გაიქცა, სადაც 1936 წელს გარდაიცვალა და მთელი თავისი ავლა-დიდება თავის სამ ქალიშვილს უანდერძა, მათ შორის – დელოკ-ფურკოს დედას, ირინა შჩუკინასაც. მაგარმ შჩუკინის კოლექცია სსრკ-ში დარჩა და 1948 წელს საგანძური მოსკოვის პუშკინის მუზეუმმა და პეტერბურგის ერმიტაჟმა გაინაწილეს. არადა, შჩუკინის კოლექცია სახუმარო ნამდვილად არ ყოფილა, ის პიკასოს 50, მატისის – 37, გოგენის – 16, დერენის – 16, მონეს – 13, და ასევე სეზანის, დეგას, მარკესა და ვან გოგის ნამუშევრებს მოიცავდა. მისი ფასი სპეციალისტებმა დაასახელეს – მილიარდობით დოლარით განისაზღვრება.

შჩუკინის მემკვიდრე, 60 წლის დელორკ-ფურკო, საფრანგეთში, ქალაქ ანგულემში ცხოვრობს. ის ადრეც “ერჩოდა” გამოფენების ორგანიზატორებს. ასე, გასული წლის ბოლოს მან ტეხასის შტატში, ჰიუსტონში მოწყობილი ექსპოზიციის წინააღმდეგ გაილაშქრა, სადაც გამოფენილი 76 ნამუშევრიდან 24, მათ შორის სეზანის “პიერო და არლეკინი” კონფისკაციამდე შჩუკინის საკუთრება იყო.

ამჟამად მისი კამპანია უფრო ფართომასშტაბიანია. დელორკ-ფურკო მთელი მსოფლიოს მუზეუმებისთვის ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ბოლშევიკების, ნაცისტების თუ ნებისმიერი სხვა ხალხის მიერ ნაყაჩაღარი საკუთრების აქეთ-იქით ტარება სრულიად დაუშვებელია. და თუკი შჩუკინის ჩამომავალს კომპენსაციას არ გადაუხდიან, ის გამოფენის აკრძალვისთვის დაიწყებს ბრძოლას.

თავად პუშკინის მუზეუმი არ უარყოფს, რომ ნამუშევრების თავდაპირველი მფლობელი სერგეი შჩუკინი იყო, და კოლექციის ექსპროპრიაციის ფაქტსაც აღიარებს. მაგრამ ლოს ანჟელესის მუზეუმის მრჩეველები თვლიან, რომ კოლექცია შეერთებულ შტატებში სავსებით კანონიერად მოხვდა, და საერთოდ, ეს მათი კი არა, მათი ქვეყნისა და რუსეთის მთავრობის გადასაწყვეტი პრობლემაა.

საინტერესო ამბავია: 1995 წელს ამერიკის შეერთებული შტატები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და რუსეთს მკაცრად უხსნიდა, რომ რესტიტუცია, ანუ ხელოვნების ნიმუშების კანონიერი მფლობელებისთვის დაბრუნება აუცილებელია, რომ ნატოსა და ევროკავშირში შესვლის მსურველი ქვეყნებისთვის ეს “ცივილიზებულობის” ერთ-ერთი კრიტერიუმი გახლავთ. აშშ-მ 30-40-იან წლებში გერმანელების მიერ “ამოღებული” და ომის შემდგომ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების კომუნისტური რეჟიმების მიერ მითვისებული საკუთრების დაბრუნებისთვის გაილაშქრა, მაგრამ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში ექსპროპრიირებული ხელოვნების ნიმუშების შესახებ კრინტი არ დაუძრავს.

ანდრე-მარკ დელოკ-ფურკო ჰიტლერისა თუ ლენინის რეჟიმების მიერ მითვისებულ შედევრებს შორის განსხვავებას ვერ ხედავს. “ის, რომ ქურდი ლენინი იყო, ქურდობას არ ამართლებს,” განაცხადა შჩუკინის მემკვიდრემ. ის მხოლოდ იმის გამო ვერ იწყებს “დიდ ბრძოლას”, რომ ადვოკატებისთვის ფულის გადახდას ვერ მოახერხებს, სახელმწიფო მოხელის ხელფასის გარდა სხვა შემოსავალი არ გააჩნია.

...

სერგეი შჩუკინი თავის თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებს აგროვებდა – საუბარია დღეს მთელ მსოფლიოში ცნობილ იმპრესიონისტებზე, პოსტიმპრესიონისტებზე, სიურრეალისტებზე, აბსტრაქციონისტებზე და მე-19 საუკუნის მიწურულის სხვა სკოლების წარმომადგენლებზე. თავად შჩუკინი მოსკოველი იყო, ის 1854 წელს დაიბადა.

პირველად ის პარიზში 1893 წელს ჩავიდა, სადაც მის ძმას, ივანს, სამხატვრო სალონი ჰქონდა. ივანი თავდადებული კოლექციონერი და ძალიან ემოციური ადამიანი იყო, და როცა მისი ელ გრეკოს შესანიშნავი კოლექცია ყალბი გამოდგა, მან თავი მოიწამლა.





*მატისის კლასიკური ნამუშევრები*

ფერწერამ სერგეიც გაიტაცა, მაგრამ წარსულის დიდოსტატები მას ნაკლებად იზიდავდნენ. გარდა იმისა, რომ ძალიან მდიდარი კაცი ბრძანდებოდა (მისი წინაპრების ოთხი თაობა რუსეთში მსხვილი მეწარმე იყო), ის ფენომენალური ინტუიციითაც გამოირჩეოდა – უმალ გრძნობდა ჭეშმარიტ ტალანტს. ასე დაიწყო შჩუკინის კოლექციის ისტორია.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ დიდ მხატვარს შორის შჩუკინს ყველაზე მეტად ანრი მატისი მოსწონდა. კომერციული ინტერესების გარდა, მასთან მეგობრობაც აკავშირებდა. შჩუკინმა მისგან 38 ტილო შეიძინა, ხოლო საგანგებოდ თავისი მოსკოვის სახლისთვის ორი დეკორატიული პანო შეუკვეთა – დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი “მუსიკა” და “ცეკვა”.

ამ უკანასკნელი შეკვეთის შესასრულებლად მატისი გულმოდგინედ ემზადებოდა: 1909-1910 წლებში ცეკვებს სწავლობდა, სახალხო დღესასწაულებზე დადიოდა და უამრავი ჩანახატიც გააკეთა. მაგრამ პირველი ესკიზები შჩუკინმა უმალვე დაიწუნა: “ჩემს სახლში შიშველ სხეულებს ვერ გამოვფენ. მე ხომ სამი გოგო მეზრდება! არა, რუსეთში ასეთი რამ დაუშვებელია”, და მხატვარს მოცეკვავეთა შიშველი სხეულების დაფარვა სთხოვა. მატისი უარზე იყო. საბოლოოდ შჩუკინი დანებდა და ერთი თვის შემდეგ საფრანგეთში მცხოვრებ მეგობარს მისწერა: “ეს ტილო ისეთი მოხდენილი, ისეთი კეთილშობილურია! მოკლედ, საზოგადოებრივი აზრი არ მადარდებს, ის ჩემი სახლის მშვენება იქნება!”

1918 წელს კოლექციისა და მისი მფლობელის გზები გაიყო. ფაბრიკანტსა და ქარხნების მფლობელს, “ექსპლუატატორ” შჩუკინს სამშობლოს დატოვება მოუწია და მისი სახელი საბჭოთა ენციკლოპედიებშიც კი არ იყო ნახსენები – თითქოს საერთოდ არც უარსებია...




სიახლე!!!

ზაფხულის მცხუნვარებას ყველაზე უკეთ ცივი ხილი უმკლავდება. მიირთვით კახეთის მადლიან მიწაზე მოყვანილი

უკურკო საზამთრო

რომელიც ბაზარზე ივლისის ბოლოს გამოჩნდება. უკურკო საზამთრო - არაფერი დგას თქვენსა და სიამოვნებას შორის!

დაგვიკავშირდით:

8 99 96 51 70; 899 56 11 61; 877 42 37 71; 899 56 55 81

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდსასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.






# ბრიჯი

## გურამ ბერიშვილი

დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს წინა პუბლიკაციებს ინტერნეტით: www.berishvili.pvt.ge

საკუთარი მოსაზრებები შეგიძლიათ გამოაგზავნოთ guram@berishvili.pvt.ge

N16

მაგიდასთან ცნობილი ბრიჯისტებია.

შეგახსენებთ აუქციონსაც, იგი ნატურალური სისტემით არ წარმართულა.

| E | S | W | N |
|---|---|---|---|
| Cohen | Balicki | Berkowitz | Zmudski |
| 1 უთულფო | 2♣ | პას | 2♡ |
| პას | 2♠ | პას | 3♠ |
| პას | 4♠ | პას | პას |
| პას | | | |

ჩვენს მიერ აღწერილი ნატურალური სისტემით აუქციონი შემდეგნაირად წარიმართებიდა:

| E | S | W | N |
|---|---|---|---|
| 1♡ | 1♠ | პას | 3♠ |
| პას | 4♠ | პას | პას |
| პას | | | |

შედეგი როგორც ხედავთ ერთი და იგივეა. აუქციონის გამართული სისტემებისათვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

W-მ დაიწყო ♣D-თი.

N: ♠A 7 5 3 ♡D V 6 ◇7 2 ♣K 10 7 4
W: ♠6 ♡8 5 4 ◇V 9 8 6 3 ♣D V 9 6
E: ♠K 9 4 ♡A 10 7 3 ◇K 10 ♣A 8 5 2
S: ♠D V 10 8 2 ♡K 9 2 ◇A D 5 4 ♣3

ყველა ფერში თითო დანაკარგი ჩანს. Balicki-ს დიდი დრო არ უნდა დასჭირვებოდა იმის დასადგენად, რომ D-ზე K არ უნდა დადოს. ჯვრის K-ზე როდესაც იქნება მაინც ტუზი დაიდება და ჯობს სვლა W-სთან დარჩეს. E აგდებს ჯვრის 8-ს. ეს პარტნიორისათვის შემდეგი სვლის პრიორიტეტის მინიშნებაა. ამ სინგნალიზაციის შესახებაც მოგვიწევს საუბარი. თულფისა და ჯვრის გარდა დარჩა ორი ფერი, აგური და გული. E თუ პატარა კარტს ჩამოაგდებს, მას სურს აგური და თუ დიდს - გული. W-ც იღებს პარტნიორის მითითებას და მეორე სვლაზე გამოდის ♡8-ს. N-დან 6, E-დან A და ისევ გული. N იღებს გულს და გამოდის აგურს, E-დან 10, S-დან D, რომელიც იღებს.

S აძლევს თულფის D-ს E-ს K-ს. E თამაშობს გულს და N თულფს. ვიღებთ პოზიციას.

N: ♠A 7 ♡- ◇7 ♣10 7
W: ♠ ♡- ◇V 9 8 ♣V 9
E: ♠9 ♡10 ◇K ♣5 2
S: ♠10 8 ♡- ◇A 5 4 ♣-

S-დან თულფის სვლაზე W-ს პრობლემა უჩნდება. თუ W ჩააგდებს ჯვარს, მაშინ აიღებს N-ის ჯვარი. თუ W ჩააგდებს აგურს, მაშინ აიღებს S-ის მესამე აგური. სვლების სრული მიმდევრობაა.

| | W | N | E | S |
|---|---|---|---|---|
| 1 | ♣D* | ♣4 | ♣8 | ♣3 |
| 2 | ♡4 | ♡6 | ♡A* | ♡K |
| 3 | ♡5 | ♡V* | ♡3 | ♡2 |
| 4 | ◇3 | ◇2 | ◇10 | ◇D* |
| 5 | ♠6 | ♠3 | ♠K* | ♠D |
| 6 | ◇3 | ♠5 | ♠4 | ♠V* |
| 7 | ♡8 | ♡D* | ♡7 | ♡9 |
| 8 | ♣6 | ♣K | ♣A | ♠2* |
| 9 | ◇8 | ♠7 | ♠9 | ♠10* |
| 10 | ◇9 | ◇7 | ◇K | ◇A* |
| 11 | ◇V | ♠7* | ♣2 | ◇4 |
| 12 | ♣9 | ♣10 | ♣5 | ♠8* |
| 13 | ♣V | ♣7 | ♡10 | ◇5 |

ამჯერადაც არც ერთი გამოგზავნილი პასუხი არ იყო გამართული.

ილეთს, რომელსაც ახლა აღვწერ ვენურს უწოდებენ, რადგან პირველად აქ იყო იგი აღნიშნული. ეს სახელი წარმოიშვა ემოციური დისკუსიისა და დიდი სანაძლეოს შედეგად. როგორც ბევრი სხვა ილეთი, ესეც ალბათ ბევრჯერ გამოიყენებოდა, ზოგჯერ შემთხვევითაც. მაგრამ რაკი შემჩნეულ და აღნიშნულ იქნა ბევრმა იგი ძალიან ძნელად ჩათვალა. დღეს მას ბევრი იყენებს და იგი ძნელად აღარ ითვლება.

N: ♠A 10 8 7 5 ♡9 7 3 ◇D 2 ♣9 5 3
W: ♠K D ♡D V 10 4 ◇K 7 4 ♣V 10 8 6
E: ♠V 6 2 ♡8 6 5 ◇V 9 8 6 5 ♣D 2
S: ♠9 4 3 ♡A K 2 ◇A 10 3 ♣A K 7 4

ხელი, რომელსაც მაგალითად შემოგთავაზებთ პირველად დაიბეჭდა New York Times-ში გასული საუკუნის პირველ ნახევარში.

გამთამაშებელია S, კონტრაქტია 3 უთულფო და W იწყებს ♡D-თი.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ როდესაც გეგმას ადგენენ უთულფო კონტრაქტისას ითვლიან თავის ნაღდ აღებებს, ხოლო თულფიანი კონტრაქტისას უფრო სასარგებლოა დანაკარგების დათვლა. ამის გარკვევის შემდეგ დგება გათამაშების გეგმა. ამჯერად ნაღდი აღებებია 1 ყვავში, 2 გულში, 1 აგურში და 2 ჯვარში, სულ 6. თუ ყვავი ნორმალურადაა განაწილებული უნდა ვივარაუდოთ კიდევ 2 ყვავში. ეს იძლევა 8 აღებას. კონტრაქტის შესასრულებლად მეცხრე აღება უნდა ვეძებოთ ჯვარში. რაოდენ პარადოქსალურიც არ უნდა იყოს ამჯერად უნდა ვივარაუდოთ არანორმალური განაწილება, ეს გამთამაშებლისათვის უფრო სასარგებლოა.

გამთამაშებელი ♡D-ს არ იღებს. W აგრძელებს ♡V-თი, რომელსაც S იღებს და იწყებს ყვავში ვითარების გარკვევას, ♠3-ით. W იღებს და კიდევ ერთხელ გული, რათა მისი მეოთხე გული ამღები გახდეს. S იღებს და იმეორებს ყვავს, რომელსაც უთმობს W-ს. W იღებს თავის გამონთავისუფლებულ გულს და ჩამოდის ჯვარს. S იღებს ჯვარს, იღებს ◇A-ს და გადის ყვავს N-ის A-სათვის. N იღებს გამონთავისუფლებულ ყვავს და პოზიცია შემდეგია

N: ♠8 ♡- ◇D ♣5
W: ♠- ♡- ◇K ♣10 8
E: ♠- ♡- ◇V 9 ♣D
S: ♠- ♡- ◇- ♣A 7 4

რა ჩაიტანოს W-მ ყვავის 8-ზე?

თუ ჩაიტანს ◇K-ს, იღებს ◇D და ♣A. თუ ჩაიტანს ♣8-ს იღებს S-ის ორივე ჯვარი. სვლების მიმდევრობა შემდეგია

| | W | N | E | S |
|---|---|---|---|---|
| 1 | ♡D* | ♡3 | ♡5 | ♡2 |
| 2 | ♡V | ♡7 | ♡6 | ♡K* |
| 3 | ♠D* | ♠5 | ♠2 | ♠3 |
| 4 | ♡10 | ♡9 | ♡8 | ♡A* |
| 5 | ♠K* | ♠7 | ♠6 | ♠4 |
| 6 | ♡4* | ♣9 | ◇6 | ◇3 |
| 7 | ♣V | ♣3 | ♣2 | ♣K* |
| 8 | ◇4 | ◇2 | ◇5 | ◇A* |
| 9 | ♣6 | ♠A* | ♠V | ♠9 |
| 10 | ◇7 | ♠10* | ◇8 | ◇10 |
| 11 | ♣8 | ♠8* | ◇9 | ♣4 |
| 12 | ♣10 | ♣5 | ♣D | ♠A* |
| 13 | ◇K | ◇D | ◇V | ♣7* |

N17

ბრიჯის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახელია Charlie Goren. მან ძალიან სწრაფად გაითამაშა შემდეგი ხელი, რომელშიც შეკვეთილია 4♡. Charlie Goren გამთამაშებელია S-ზე. W-მ გათამაშება წამოიწყო ♠6-ით.

როგორ შეასრულა Charlie Goren-მა დანაპირები?

შეეცადეთ იპოვოთ გათამაშების იმგვარი გეგმა, რომელიც გამოდგება კარტის ყოველგვარი განაწილებისათვის.

გათამაშება არ უნდა იყოს დამოკიდებული შემთხვევითობაზე. მოწინააღმდეგემ როგორც არ უნდა ითამაშოს S-მა კონტრაქტი უნდა შეასრულოს.

N: ♠A 5 ♡4 2 ◇V 4 3 ♣A D 10 6 4 2
S: ♠10 3 2 ♡K D V 9 8 3 ◇A K 5 ♣V